პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი—მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34), პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

ოთხშაბათი, 29 აპრილი 1931 წ.
ყოველდღიური გაზეთი
№ 98 (3053) ფასი 5 კაპ.

დღიური

— ამხ. ლიტვინოვის პასუხი ერთა ლიგის გენერალურ მდივანს.
— დროებითი შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.
— საზღვაო შეიარაღების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში.
— საბჭოთა შეკვეთები გერმანიაში.
— მიწისძვრა ამიერ-კავკასიაში.

სანარდო მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს

საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობის დადგენილების თანახმად, ნაძლიერებული მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობების ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სანარდო სისტემაზე გადასაყვანად. კოლმეურნეები აღფრთოვანებით ხვდებიან სანარდო სისტემის შემოღებას და ყოველმხრივ ხელს უწყობენ მის საჩქაროდ გატარებას.

კოლმეურნეობებში მუშაობის სანარდო სისტემაზე გადასვლამ პირველ დღეებიდანვე გამოიღო მეტად თვალსაჩინო ეფექტი: საგრძნობლათ შემცირდა დღეების გაცდენა და სამუშაოზე გასვლის დაგვიანება, გადიდდა შრომის ნაყოფიერება და განმტკიცდა საწარმოო დისციპლინა. გორის რაიონის სოფ. ხიდის-თავის კოლმეურნეობაში სანარდო სისტემის შემოღებამდე თვითეული კოლმეურნე ხილის დასარგავათ დღეში 20 ორმოს იღებდა, ამჟამად, სანარდო სისტემის შემოღების შემდეგ კი თვითეული კოლმეურნე იღებს 35—40 ორმოს. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები დღეში ჩაის პლანტაციებისათვის ამუშავებდნენ 20 კვადრატიულ საჟენ მიწას, სანარდო მუშაობაზე გადასვლის შემდეგ კი, დღეში ამუშავებენ 30 კვადრ. საჟენს. ბათომის რაიონის ჩაის პლანტაციებში ერთი ჰექტარი მიწის გადაბრუნებაზე იხარჯებოდა 60 შრომა-დღე. სანარდო სისტემაზე გადასვლის შემდეგ კი იხარჯება 30 შრომა-დღე და სხვა.

სანარდო სისტემაზე გადასვლამ გააძლიერა ღარიბი და საშუალო გლეხების მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. სანარდო მუშაობაზე გადასვლის შემდეგ ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეებს შემატა 603 ახალი წევრი, სანარდო მუშაობის შემოღების შემდეგ კოლმეურნეობებში მასიურათ ბრუნდებიან ის ღარიბი და საშუალო გლეხები, რომელნიც აღრიცხვის და მოსავლის განაწილების საკითხების მოუგვარებლობის გამო გავიდნენ კოლმეურნეობებიდან.

ამ უდიდეს წარმატებასთან ერთად, კოლმეურნეობების სანარდო სამუშაოზე გადაყვანის დარგში გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა დაუყოვნებლივ გამოსწორების გარეშე შეუძლებელია სანარდო სისტემის დროზე და სწორად გატარება.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ რაიონის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები სათანადოთ ვერ აფასებენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც სანარდო სისტემას აქვს საკოლმეურნეო მშენებლობის მიღწევათა განმტკიცებისათვის: ბორჩალოს, ქიათურის, აღბულაღ-მანგლისის და სხვა რაიონებში დღემდე არ მიუღიათ საჭირო ზომები საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში სანარდო სისტემის შემოსაღებათ; ამ რაიონებში არ ჩატარებულა სპეციალური თათბირები სანარდო სისტემაზე გადასვლის პრაქტიკული საკითხების გასარკვევათ, — ლიუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობებში, კი სანარდო სისტემის გატარების სახელმძღვანელოთ არც ერთი მუშაკი არ გაუგზავნიათ სოფლებში. იმავე ლიუქსემბურგის რაიონში სანარდო სისტემის გატარების დროს არ სწარმოებს ბრიგადების ჩამოყალიბება და სხვა.

რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზაციების მხრივ სანარდო სისტემის გატარების საქმისათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაუწევლობის გამო, ადგილი აქვს მთელ რიგ დამახინჯებებს: ლიუქსემბურგის რაიონში ცალკე სამუშაოთა აღრიცხვა ტარდება არა შრომა-დღეების, არამედ საათების მიხედვით. წალკის რაიონის კომუნებში არ აპირობენ სანარდო სისტემის შემოღებას; სტალინისის რაიონში შემოღებული აქვთ შრომის აღრიცხვის სამარკო სისტემა, რაც დიდი ხანია უარყოფილია კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრის მიერ. არ სწარმოებს ახსნა-განმარტებები ამ ცვლილებების გასარკვევათ, რომელიც საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილების თანახმად შეტანილია არტელის წესდების 14 და 15 მუხლში და სხვ.

ყოველივე ეს აბრკოლებს საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობის დადგენილებათა გატარებას კოლმეურნეობებში სანარდო მუშაობის შემოღების შესახებ. ეს კი გავლენას ახდენს მინდვრათ მუშაობის ნაყოფიერებაზე. აბრკოლებს თესვის მიმდინარეობას და არევ-დარევა შეაქვს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საქმეში.

კულაკები გაფთრებულ პროვოკაციას ეწევიან სანარდო სისტემის წინააღმდეგ. მემარჯვენე ოპორტუნისტები აგვიანებენ და აბრკოლებენ სანარდო სისტემის შემოღებას და მით დეზორგანიზაცია შეაქვთ საკოლმეურნეო მშენებლობაში.

საჭიროა მედგარი ბრძოლა კულაკების პროვოკაციისა და მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის წინააღმდეგ. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ კოლმეურნეობებში სანარდო სისტემის გატარების და შრომის ორგანიზაციის მოგვარებას, საქმე დაყენებული უნდა იქნეს ისე, რომ „საბჭოების მე-6 ყრილობის დადგენილებანი ნამდვილათ განიხილოს ყოველმა კოლმეურნეობამ. წესდებაში შეტანილი შესაფერი ცვლილებანი განიხილონ და მიიღონ კოლმეურნეობათა საერთო კრებებმა, გამომუშავების ნორმები და სხვადასხვა სამუშაოს შეფასება შრომა-დღეებში დაამუშავონ, განიხილონ და მიიღონ თვით კოლმეურნეებმა". (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 აპრილის დადგენილებიდან).

სანარდო სისტემის გატარებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ საბჭოთა მეურნეობები: გორის, სიღნაღის, ბორჩალოს და სხვა. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში დღემდე არ შესდგომიან საჭირო ღონისძიებათა გატარებას სანარდო მუშაობაზე გადასასვლელად. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილებაში ნათქვამია: „რაკი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით სანარდო მუშაობის საკითხი გადაიქცა ძირითად საკითხათ, სრულიად დაუშვებელია საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენა ამ მხრივ. საბჭოთა მეურნეობებმა სანარდო მუშაობის გატარების მხრივ მაგალითი უნდა გვიჩვენონ".

სანარდო მუშაობის გატარების სახელმძღვანელოთ ადგილებზე მიმაგრებული უნდა იქნან პასუხისმგებელი პირნი. დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს ცხოვრებაში საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილება ამ საკითხზე.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის, თესვის და მოსავლის აკრეფის წარმატებით ჩატარება წელს დამოკიდებულია კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სანარდო მუშაობის გატარებისაგან და ამიტომ ის პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი უნდა გახდეს.

ევროპის კავშირის შემსწავლელი კომისიის მე-3 სესიის წინ

ამხ. ლიტვინოვის პასუხი ერთა ლიგის გენერალურ მდივანს

მოსკოვი, 28 აპრილი. საგარეო საქმეთა კომისრის ამხ. ლიტვინოვის სახელზე მიღებულ იქნა ერთა ლიგის გენერალური მდივნის დრუმონდის წერილი, რომლითაც იგი იუწყება, რომ ევროპის კავშირის შემსწავლელი კომისიის მესამე სესია გაიხსნება 15 მაისს ჟენევაში. წერილს დართული აქვს წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც სამი პუნქტისაგან შესდგება:

1) საორგანიზაციო ქვეკომისიის მოხსენება კომისიის კონსტიტუციის, ორგანიზაციისა და მუშაობის მეთოდების შესახებ.

2. წინადადება თავისუფალი ქალაქის დანციგის მონაწილეობის შესახებ კომისიის ზოგიერთ მუშაობაში.

3) ეკონომიური საკითხები—მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რამდენადაც იგი აინტერესებს ევროპის სახელმწიფოებს საერთოდ.

მე-3 პუნქტს აქვს შენიშვნა, რომ, კომისიის იანვრის სესიის დადგენილების თანახმად, ისლანდიის, თურქეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები წარმოდგენილნი იქნებიან კომისიაში მაშინ, როდესაც იგი დღის წესრიგის ამ პუნქტს განიხილავს.

„როგორ უნდა გავიგოთ ეს შენიშვნა? ნათქვამია ამხ. ლიტვინოვის საპასუხო წერილში,—ისე ხომ არა, რომ პირველი ორი პუნქტის განხილვის დროს დასახელებული სამი სახელმწიფო არ უნდა იქნას წარდგენილი? ასეთი გაგება, ჩემის აზრით, ეწინააღმდეგება კომისიის თავდაპირველ დადგენილებას. ამ უფლების სადაოდ მიჩნევა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, რომელიმე სახელმწიფოს მონაწილეობა რომ განსაზღვრულიყო ცალკე საკითხით. მაგრამ მსგავსი დადგენილება საბჭოთა კავშირის, თურქეთისა და ისლანდიის მიმართ ევროპის კავშირის შემსწავლელ კომისიას არ მიუღია. თუ ამგვარად, საორგანიზაციო ქვეკომისიის დადგენილება მოასწავებს სამი სახელმწიფოს ჩამოშორებას დღის წესრიგის პირველი ორი პუნქტის განხილვაში მონაწილეობის მიღებისაგან, ამ შემთხვევაში ეს ან ეწინააღმდეგება კომისიის იანვრის პლენუმის დადგენილებას, ან წარმოადგენს იმ საკითხის წინასწარ გადაჭრას, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ღიად იქნა დატოვებული. თქვენ, — განაგრძობს ამხ. ლიტვინოვი,—იწვევთ ევროპის სამი სახელმწიფოს დელეგაციებს ჩამოვიდნენ ჟენევაში, მაგრამ არ ასახელებთ გარკვეულ ვადას. თუ, პან-ევროპასთან დაკავშირებით, თქვენი პირველი მოწვევის შე[illegible]. მე, როცა მივუთითებდი კომისიის იანვრის სესიის დადგენილების გაურკვევლობასა და ორაზროვანებაზე, შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, რომ „მიწვეულები" იძულებულნი გახდებიან გაემგზავრონ ჟენევაში იმისათვის, რომ ნამდვილად გაიგონ, რისთვის იწვევენ მათ, ამჟამად, როცა მიღებულია თქვენი მეორე წერილი, უნდა განვაცხადო, რომ „მიწვეულებს" წინადადებას აძლევენ გაემგზავრონ ჟენევაში იმისათვის, რომ გაიგონ ისიც, თუ რა დროისათვის არიან ისინი იქ მიწვეულნი. მე ვფიქრობ, რომ მიწვევის მსგავსი მეთოდების სხვა მაგალითს საეჭვოა შეხვდეთ არა თუ ევროპის, არამედ ევროპის გარეშე ქვეყნების შესწავლის დროსაც. მსგავსი მიწვევა შეიძლებოდა ობიექტიურად განგვემარტა ისე, როგორც მოწვევაზე უარის განცხადების პროვოკაცია, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის გულწრფელობა და გულახდილობა, რომელიც აუცილებლად საჭიროა გამოიჩინონ ისეთი საყურადღებო საქმის ორგანიზატორებმა, როგორსაც წარმოადგენს ევროპის გაერთიანება.

გთხოვთ ზემოაღნიშნული გადასცეთ კომისიის მაისის სესიის ორგანიზატორებს. ამასთან გაცნობებთ, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია მზად არის ჩამოვიდეს ჟენევაში 15—25 მაისში, იგი დაუცდის ნამდვილ ცნობას იმის შესახებ, თუ რა დროისათვის არის ის მიწვეული ჟენევაში. გთხოვთ ამასთან იქონიოთ მხედველობაში, რომ მას არ შეუძლია მოსკოვიდან ჟენევაში ჩავიდეს მეოთხე დღეზე ადრე იმ მომენტიდან, როცა მიღებული იქნება ცნობა" (ადს).

საბჭოთა კავშირი და ესპანეთი

დროებით მთავრობას ესპანეთში განზრახვა აქვს იცნოს საბჭოთა კავშირი

ბერლინი, 27 აპრილი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი მადრიდიდან იუწყება, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გერუსმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს იცნოს საბჭოთა კავშირი და უცდის მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევას. (ადს).

თურქეთის მთავრობის წერილი

ერთა ლიგის გენერალურ მდივანს

ანკარა, 27 აპრილი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, თურქეთის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრ თევფიკ **რუშდი-ბეის** ხელმოწერით ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„მაქვს პატივი გაუწყოთ თქვენი წერილის მიღება, რომელშიაც თავაზიანად მაცნობებთ, რომ ევროპის კავშირის შემსწავლელი კომისიის მახლობელი სესია გაიხსნება 15 მაისს ჟენევაში. ამასთან თქვენ მიუთითებთ, რომ თუმცა წინასწარი დღის წესრიგი დაწესებულია საორგანიზაციო ქვეკომისიის მიერ, რომელიც პარიზში შეიკრიბა, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ აღნიშნოთ დრო, როდის შეუდგება კომისია დღის წესრიგის მესამე პუნქტში დასმული საკითხების განხილვას, რადგან ზოგიერთმა მთავრობამ თავისი მოსაზრება წარმოადგინა ამის შესახებ.

გიცხადებთ რა მადლობას ამ ცნობისათვის, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თქვენს 1931 წლის 23 იანვრის წერილში, რომელიც იწვევს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას მონაწილეობის მისაღებად ევროპის კავშირის შემსწავლელ კომისიის მუშაობაში, თქვენ მაცნობებდით, რომ კომისიის სესია გაიხსნებოდა მაისში, რომ მისი გახსნის ზუსტი ვადა განსაზღვრული იქნებოდა შემდეგ, რომ კომისიის წინაშე დასახული ამოცანა (გამოტოვებულია)... მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს, რომლისაც იგი ეხება ყველა ევროპიული ქვეყნების ინტერესებს.

ამავე დროს, საორგანიზაციო ქვეკომისიის მიერ დაწესებული დღის წესრიგი, რომელსაც თქვენ უწოდებთ წინასწარ დღის წესრიგს, არ გამომდინარეობს, როგორც ვფიქრობ, ამ რეზოლიუციიდან, რომლის საფუძველზე თქვენ თავაზიანად მიიწვიეთ ჩემი მთავრობა ევროპის კავშირის შემსწავლელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან საჭიროა აღვნიშნოს, რომ კომისიას, რამდენადაც ამ წინასწარი დღის წესრიგის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მოუხდება თავისი მუშაობის მეთოდების განსაზღვრა. ასეთ პირობებში მე არა მაქვს წარმოდგენილი, როგორ შეიძლებოდით ჩვენ ნაყოფიერ თანამშრომლობას იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც მიიღებდა კომისიის ზოგიერთ წევრის დაუსწრებლად დაწესებულ მეთოდებს ამ მუშაობისათვის. რესპუბლიკის მთავრობა წინანდებურად ფიქრობს, რომ კომისიის მოსამზადებელი მუშაობა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განზრახული კავშირი თავიდანვე დაეყრდნობა მტკიცე საფუძვლებს და მასში მონაწილე ყველა ქვეყნების სრულ თანასწორობას. მაგრამ ჩემი მთავრობა, გამსჭვალულია რა მტკიცე გადაწყვეტილებით — გამოიჩინოს მისწრაფება საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ, რომელსაც იგი არასოდეს არ გაურბოდა, მზად იქნება გაგზავნოს თავისი დელეგაცია ჟენევაში 15—25 მაისში. მე მადლობელი ვიქნები, თუ თქვენ საჭირო მომენტში მაცნობებთ იმ ნამდვილ ვადას, რომლისთვისაც თურქეთის დელეგაცია მიწვეულია ჟენევაში.

ამავე დროს გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ თქვენგან საბოლოო ცნობის მიღების მომენტიდან თურქეთის დელეგაციას დასჭირდება 4—5 დღე ანკარიდან ჟენევაში მისასვლელად (ადს).

იაპონია საბჭ. კავშირის ურთიერთობა

მოლაპარაკება იაპონელ თევზის მრეწველთა საიჯარო გადასახადის შესახებ

მოსკოვი, საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე, დაწესდეს კამჩატკის სააქციო საზოგადოების ობლიგაციების დროებით კურსად 34 სენი, 23 აპრილს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სიდეხარამ** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. **ტროიანოვსკის** გადასცა ახალი წინადადება ობლიგაციის კურსად 32 ნახევარ სენის დაწესების შესახებ. ამავე დღეს ამხ. ტროიანოვსკის გაეგზავნა სათანადო ინსტრუქციები, ხოლო ამხ. **კარახანმა** ამ ინსტრუქციების შესახებ აცნობა იაპონიის მოსკოველ ელჩს **ხიროტას**. ამ ინსტრუქციებში საბჭოთა მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, **რომ საიჯარო გადასახადების შესახებ წარმოებული მთელი მოლაპარაკების დროს საბჭოთა მთავრობა ცდილობდა, რაც შეიძლება საჩქაროდ და მეგობრულად მოწესრიგებულიყო ეს საკითხი და რათა, თევზის ჭერის სეზონის მოახლოების გამო, საკითხი დროზე გადაიჭრას, მან გადაწყვიტა დააკმაყოფილოს იაპონიის მთავრობა.**

ამხ. ტროიანოვსკის დაევალა — აცნობოს იაპონიის მთავრობას, რომ **საბჭოთა მთავრობა თანახმაა კამჩატკის სააქციო საზოგადოების ობლიგაციების დროებით კურსად დაწესდეს 32 ნახ. სენი, იმ პირობით, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის მთავრობები განაგრძობენ მოლაპარაკებას საბოლოო კურსის დასაწესებლად.**

იაპონიის მთავრობას ეცნობა, რომ ის თევზის მრეწველნი, რომელნიც საიჯარო გადასახადს შეიტანენ კამჩატკის სააქციო საზოგადოების ობლიგაციებით (32 ნახევ. სენის კურსის მიხედვით), მიიღებენ ნებართვას და ვიზებს საბჭოთა წყლებში თევზის ჭერის დასაწყებად. ასევე იმ მრეწველებს, რომელთაც ფულები შეიტანეს აღნიშნულ ობლიგაციებით იმავე კურსის მიხედვით, ნება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, რომლის დროსაც გაიცემა წინა ვაჭრობის დროს დარჩენილ თევზის სარეწაოები (ადს).

იმპერიალისტები აძლიერებენ საზღვაო შეიარაღებას

პარიზი, 28 აპრილი. ნანტის სამხედრო გემთსაშენიდან ზღვაში ჩაუშვეს წყალქვეშა ნავი, 635 ტონა წყალწყვით. ნავი შეიარაღებულია ნაღმის 6 მტყორცნით, 75 მილიმეტრიანი ზარბაზნით და 13 მილიმეტრიანი საზენიტო ზარბაზნით აეროპლანების წინააღმდეგ. ბორდოში სამხედრო გემთსაშენიდან ჩაუშვეს შორსმცურავი კრეისერი (ეს გემი პირველია ამ ტიპის 6 გემიდან, რომელიც გათვალისწინებულია სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პროგრამით). შეიარაღება შესდგება 138 მილიმეტრიან 3 ზარბაზნისაგან, 4 საზენიტო ზარბაზნის და [illegible] ტყვიამფრქვევისაგან. კრეისერს აქვს ჰიდროპლანი. გემი აგებულია სპეციალურად ეკვატორიალურ წყლებში საცურავად (ადს).

ამერიკის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 27 აპრილი. ამერიკის მუშათა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება, გუშინ გავიდა ბერლინიდან. დელეგაცია შესდგება ამერიკის მუშების 28 წარმომადგენლისაგან (უმთავრესად—ტრანსპორტელების და სასოფლო-სამეურნეო მუშების) და რამდენიმე ინჟინერისა და ტექნიკოსისაგან. დელეგაცია არჩეულია იმ კამპანიის დროს, რომელიც შეერთებული შტატების ყველა კუთხეებში ჩატარდა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების ინიციატივით. დელეგატებს შორის არის ზანგ-მუშების ორი წარმომადგენელი და 6 ქალი. **ამერიკის დელეგაციამ თავისი ხანმოკლე ყოფნა ბერლინში გამოიყენა ამერიკის პროლეტარიატის ძმური სალამის გადასაცემად გერმანიის მუშებისათვის.** დელეგაციამ გერმანიის მშრომელთ მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ მოწვეული ვართ საბჭოთა პროფკავშირების მიერ იმისათვის, რომ ერთის მხრივ ვისწავლოთ საბჭოთა კავშირის მუშებისაგან და მეორეს მხრივ დავეხმაროთ მათ ჩვენი გამოცდილებით. ჩვენს ამოცანას ვთვლით ფრიად მნიშვნელოვანად არა მარტო საკუთრივ ჩვენთვის და ამერიკელი მუშებისათვის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვისაც. ჩვენ საბჭოთა კავშირში მივემგზავრებით არა როგორც ტურისტები, არამედ სოციალისტური მშენებლობის სერიოზულად შესასწავლად" (ადს).

საბჭოთა შეკვეთები გერმანიაში

ბერლინი, 28 აპრილი. პრესის ცნობებით, ამ დღეებში განაწილდება პირველი საბჭოთა შეკვეთები იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დაიდო სმუ საბჭოს წარმომადგენლებსა და გერმანიის მრეწველებს შორის. ეს პირველი შეკვეთები 40 მილიონი მანეთისაა. გერმანიის მრეწველთა კავშირის გამგეობას დირექტორმა კრემერმა, საბჭოთა კავშირში მყოფ გერმანელ მრეწველთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, აცნობა ამ მოლაპარაკების შედეგები. კრემერი შეეხო აგრეთვე საბჭოთა გარიგებების დაფინანსების საკითხზე და დასურათა გერმანიის და სხვა ქვეყნების მონაწილეობა საბჭოთა კავშირთან დადებულ გარიგებებში. კავშირის გამგეობამ მოიწონა კრემერის დასკვნები (ადს).

მიწისძვრა ეგვიპტეში

ანკარა, 27 აპრილი. როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, კანდილიის (ბოსფორის ნაპირზე) ობსერვატორიის სეისმოგრაფმა აღნიშნა ორი ძლიერი მიწისძვრა: პირველი 11 საათსა, 27 წუთსა და 40 წამზე, ხოლო მეორე—7 წუთის შემდეგ.

მიწისძვრის ცენტრი იმყოფება სტამბოლის სამხრეთით, 380-400 კილომეტრის მანძილზე (ადს).

მსოფლიო პროლეტარიატი ემზადება

პირველი მაისისათვის

ვაშინგტონი, 28 აპრილი. 4 მაისს საერთაშორისო სავაჭრო პალატის კონგრესზე გერმანიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დირექტორი **ვაგემანი** თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ, იმ სტატისტიკური ცნობების თანახმად, რომლებიც შეეხებიან მუშა-ხელის დაბანდებას, პროდუქციის რაოდენობას და შემოსავლის, **ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი ყველაზე უფრო სერიოზული კრიზისია უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში.**

ვაგემანის სიტყვით, მაღალი საბაჟო ტარიფები, აგრეთვე კარტელების და მთავრობების ცდები — კონტროლი გაუწიონ ფასებს, **ხელოვნურად ჰქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ კრიზისის განგრძლივებას.**

„კრიზისის კანონების" დარღვევას მსოფლიო ბაზარზე ვაგემანი ხსნის „სხვა და სხვა ეკონომიური სისტემების არსებობით". თავისი დასკვნების „დასასაბუთებლად", ვაგემანი მიმართავს ზღაპარს საბჭოთა „დემპინგის" შესახებ და აცხადებს, რომ, „მიუხედავად საბჭოთა ექსპორტის უმნიშვნელო რაოდენობისა, [illegible] დემპინგი ცხადად მოწმობს იმ კატასტროფიულ შედეგებს, რომლებიც მოსდევს სრულიად უცხო სისტემის შეჭრას მსოფლიო ეკონომიკაში".

ვაგემანს საჭიროდ მიაჩნია „მსოფლიო ეკონომიური შეთანხმება სხვადასხვა ეკონომიურ სისტემებს შორის ჰარმონიის შესაქმნელად" (ადს).

ბერლინის პოლიციის თადარიგი

ბერლინი, 28 აპრილი. გაზეთების ცნობით, ბერლინის პოლიცია განსაკუთრებულ ზომებს ღებულობს „წესრიგის დასაცავად" 1 მაისს. დემონსტრანტების კოლონებს თან გაჰყვებიან პოლიციის რაზმები. ლიუსტგარტენში კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაციების დროს შეუშვებენ მხოლოდ ამ პარტიის მომხრეებს. დემონსტრაციის შემდეგ ლიუსტგარტენიდან დემონსტრანტები უნდა გავიდნენ თითო-თითოდ.

ბერლინის საქალაქო ტრანსპორტის დირექციამ, რომელსაც სათავეში სოციალ-დემოკრატები უდგანან, განკარგულება გასცა, რომ მოძრაობა 1 მაისს სწარმოებდეს ისევე, როგორც ჩვეულებრივ დღეებში (ადს).

ამხ. ელიავას დანიშვნა

მოსკოვი, 25 აპრილი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. შალვა ელიავა დანიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეთ.

500000 ფ. ხორბალი და სიმინდი

დასავლეთ საქართველოსათვის

საკავშირო უმაღლესი ორგანოების დადგენილებით, გამოყოფილია დასავლეთ საქართველოს საჭიროებისათვის ნახევარი მილიონი ფუთი ხორბალი და სიმინდი, რომელიც იგზავნება უახლოესი მწარმოებელი რაიონებიდან

მიწისძვრა ამიერ-კავკასიაში

საჭიროა ფართო დახმარების ორგანიზაცია.—პირველი დახმარება საქართველოდან

მიწისძვრის შედეგები

ერევანი, 28 აპრილი. გუშინ, 27 აპრილს, დაახლოებით 9 საათზე, მიწის ძვრამ დიდად დააზარალა კაფანის, გერიუსის, მეგრინის და, განსაკუთრებით, სისიანის რაიონები. კაფანის რაიონში ძალზე დაზარალდნენ სოფლები ბარაბათუმი, სეკარი, არწევანკი, ახანაგი, შალარჯიგი, ხალჯაოხი, ზემო ანდი, ლერნაძორი და კაჯარამცი, სადაც თითქმის ყველა სახლები დანგრეულია. ნანგრევებიდან ჯერ-ჯერობით ამოიღეს 15 გვამი, დაშავდა რამდენიმე ათი კაცი, დაიღუპა დიდძალი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

მაღაროები და ელსადგური კაფანში არ დაზიანებულა. დაზიანდა ჯრახორის არხი, მაღაროებში მუშაობა შეჩერებულია, რადგან მუშები თავიანთ სოფლებში წავიდნენ დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

უსახლკაროდ დარჩა 20 ათას კაცზე მეტი.

გერიუსის რაიონში დანგრეულია სოფლები შინგერი, ინჯი, ტატოვი და გომიძორი, დანარჩენ სოფლებსა და ქალაქ გერიუსში დანგრეულია მრავალი სახლი. მოსახლეობა ცის ქვეშ არის. დაიღუპა 100 კაცზე მეტი, აგრეთვე დიდძალი პირუტყვი.

მეგრინის რაიონში დაინგრა 5 სოფელი. დანარჩენ სოფლებში დაზიანდა სახლების 40 პროცენტი. ადამიანის მსხვერპლი იქ არ არის.

განსაკუთრებით ძალიან დაზარალდა სისიანის რაიონი, სადაც მრავალი სოფელი დაინგრა — დაახლოვებით 50—60 პროც., ნანგრევებიდან ამოაქვთ დაღუპულთა გვამები.

წინასწარი ცნობებით, დაიღუპა 150 კაცზე მეტი, დაშავდა 50. რაიონის მთელი მოსახლეობა ცის ქვეშაა. განუწყვეტელი წვიმები აუტანელ პირობებს ჰქმნიან მოსახლეობისათვის. დიდძალი პირუტყვი დაიღუპა როგორც კოლმეურნეების, ისე ინდივიდუალურ მეურნეების. ადგილებზე მოეწყო სამეთლები დახმარების აღმოსაჩენად. მთელი აქტივი გაწვეულ და გაგზავნილ იქნა რაიონებში. მიღებულ იქნა ზომები წინასწარი დახმარების აღმოსაჩენად მოსახლეობისათვის და მსხვერპლის და დანგრეულის აღრიცხვისათვის. ადგილები დაჟინებით მოითხოვენ ფართო სასწრაფო დახმარებას, საშენი მასალის გაგზავნას ბარაკების ასაგებად, საექიმო პერსონალს, მედიკამენტებს და სურსათ-სანოვაგეს.

ერევანში მოეწყო განსაკუთრებული კომისია სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ერზიკიანის თავმჯდომარეობით. კომისიაში წევრებად შედიან სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. აბულიანი, ჯანსახკომი ამხ. გარდაშიანი, ცაკის მდივანი ამხ. დამტოიანი და მომარაგების სახალხო კომისარი ამხ. მელქუმიანი.

სისიანის რაიონში გაემგზავრა ცაკის თავმჯდომარე ამხ. ანანიანი ექიმების, ინჟინრების და ტექნიკოსების რაზმებით.

კაფანის რაიონში გაიგზავნა ამხ. აგუბიანი, მეგრინის რაიონში — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ოსიფიანი სპეციალისტების რაზმებით.

ერევანში მობილიზაციის წესით გაიწვიეს 30 ექიმი, რომლებიც სასწრაფოდ იგზავნებიან ადგილებზე. ჯანსახკომი და წითელი ჯვარი ჰგზავნიან მედიკამენტებს და კარვებს. მოეწყო სასურსათო დახმარება. (ადს).

მდგომარეობა სომხეთსა და ნახიჩევანის რესპუბლიკებში

მიწის ძვრამ, რომელიც 27 აპრილს მოხდა, ყველაზე ძლიერად თავი იჩინა სომხეთის და ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონში. ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული წინასწარი ცნობებით, ორდუბათში და მისი რაიონის სოფლებში (ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკა) ისეთი სახლების პროცენტი, სადაც კედლები ძლიერ დასკდა, 90-ს უდრის. საცხოვრებლების 78 პროცენტი სრულიად დაინგრა. ნანგრევებში ჯერ-ჯერობით იპოვნეს 10 მოკლული და 50 დაშავებული. განაგრძობენ ნანგრევების თხრას. მოსახლეობა უბინაოდ დარჩა, ცის ქვეშ. სურსათ-სანოვაგე და ქონება ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა. ადგილობრივ დაარსდა საგანგებო კომისია.

მოდის ცნობები აგრეთვე ზანგეზურის რაიონიდან (სომხეთიდან). წინასწარი ცნობებით, სისიანის რაიონში დაშავებულთა და მოკლულთა რიცხვი 150 კაცამდე აღწევს. ბევრია დაშავებული და მოკლული ზანგეზურის რაიონის სხვა სოფლებშიაც. ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა და დაიღუპა აგრეთვე ბევრი პირუტყვი.

ამიერ-კავკ. ცაკი, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოსთან ერთად, ღებულობს ზომებს დაზარალებული რაიონებისთვის დახმარების აღმოსაჩენად. სომხეთის და აზერბეიჯანის მთავრობებს დეპეშები გაეგზავნათ — დაუყოვნებლივ დაეხმარონ დაზარალებულ რაიონებს. იგზავნება პირველი დახმარების რაზმები, სურსათ-სანოვაგე, კარვები.

ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში სასწრაფოდ მიემგზავრება ამიერ-კავკ. ცაკის მდივანი ამხ. გამიდ სულთანოვი.

საქ. წითელი ჯვრის დახმარება

საქართველოს წითელმა ჯვარმა ორდუბათში გაგზავნა სასწრაფო დახმარების რაზმი. (ადს).

ამხ. ლ. სუხიშვილის დეპეშა

სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის ცაკს და სახკომსაბჭოს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო — საქართველოს მშრომელთა სახელით გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ძმური სომხეთის მშრომელებს. ამ მშრომელთა მწუხარება წარმოადგენს საქართველოს მშრომელთა ღრმა მწუხარებას. საქ. სახკომსაბჭო დარწმუნებულია, რომ საერთო ძალღონით და საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელთა დახმარებით სწრაფად აღვადგენთ დანგრეულ სოფლებს და განვკურნავთ იმ ჭრილობას, რომელიც სტიქიამ მიაყენა სომხეთის მშრომელებს.

ლ. სუხიშვილი.

თათბირი საქ. სახკომსაბჭოში

გამოყოფილია მთავრობის კომისია

გუშინ, საღამოს 9 საათ. საქ. სახალხო კომისართა საბჭოში ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა სასწრაფო თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა ღონისძიებები სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ მოძმე რესპუბლიკების მშრომელთათვის დახმარების გასაწევად.

საქ. „წითელ ჯვარი"-ს თავმჯდომარე ამხ. შ. ლეჟავამ თათბირს აცნობა, რომ საქართველოს წითელ ჯვარმა უკვე მიიღო ზომები სომხეთში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. საჩქაროდ იგზავნება საექიმო რაზმი, რომელშიაც შედიან ქირურგები, ტერაპევტები, მოწყალების დები და სანიტრები. რაზმს თან მიაქვს ყოველგვარი საექიმო მოწყობილობანი და წამლეულობა. გარდა ამისა მიწის ძვრით დაზარალებულ რაიონებში „წითელი ჯვარი" აგზავნის თეთრეულს, საპონს, კარვებს და საკვებ პროდუქტებს.

ერთი ასეთივე რაზმი გუშინვე გაიგზავნა მთიან ყარაბახში, სადაც მიწის ძვრამ დააზარალა რამდენიმე სოფელი.

თათბირმა ჯანმრთელობის კომისარიატს წინადადება მისცა სასწრაფოდ გააგზავნოს 2 საექიმო რაზმი სომხეთში ყოველივე თავის მოწყობილობით და მედიკამენტებით.

თათბირმა გამოჰყო მთავრობის კომისია, რომელშიაც შედიან: სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. გოგია (თავმჯდომარე), ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. გრ. ქუთაიძე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. მელაძე, „წითელი ჯვარის" თავმჯდომარე ამხ. შ. ლეჟავა, საქ. მომარაგების სახ. კომისარი ამხ. ურუშაძე, პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე და ცეკავშირიდან ამხ. ვ. გოლქვაძე. კომისიას დაევალა სასწრაფოდ გამონახოს საშუალებები სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის ყოველგვარი სახის დახმარების გასაწევად.

ნახიჩევანში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა

არაქსის ნახიჩევანი, 28 აპრილი. 27 აპრილს, საღამოს 9 საათსა და 27 წუთზე, მთელ ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც განსაკუთრებით ძლიერად იჩინა თავი ორდუბათის და აბრაკუნის რაიონებში და, რომელსაც შედეგად ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. არიან ათობით დახოცილნი და ასობით დაშავებულნი. აუარებელი სახლია დანგრეული. რამდენიმე სოფელი მთლად დაინგრა.

საჭიროა სასწრაფო დახმარება ფქვილით, სურსათ-სანოვაგით, ხე-ტყით, სამკურნალო მასალით და სხვათი (ადს).

მიწის ძვრა თბილისში

28 აპრილს, 17 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს უმნიშვნელო ძალის ადგილობრივი მიწის ძვრა. მიწის ძვრის კერა თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. თბილისში საგრძნობ მიწის რყევასთან ერთად ისმოდა გუგუნიც. მიწის ძვრის ძალა თბილისში 4 ნიშანს უდრიდა (მტკვრის მარცხენა ნაპირზე) (ადს).

მიწის ძვრა ალდამში

ალდამი, 28 აპრილი. 27 აპრილს, 21 საათსა და 18 წუთზე, ალდამში ორჯერ იძრა მიწა. მეორედ ძალა 4 ბალს აღემატებოდა. ქალაქში არაფერი დანგრეულა. (ადს)

ლენინაკანში

ლენინაკანი, 28 აპრილი. 27 აპრილს, 21 საათსა და 10 წუთზე, ქალაქში იძრა მიწა, რომელმაც ერთ წუთს გასტანა. მიწის ძვრას მიმართულება ჰქონდა ჩრდილო აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ.

განჯა, 28 აპრილი. 27 აპრილს, 20 საათსა და 30 წუთზე. ქალაქში უმნიშვნელო ძალის ძვრა მოხდა. (ადს).

სალიანი, 28 აპრილი. 27 აპრილს, 21 საათზე ადგილობრივი დროით, თევზის სარეწაოებზე მოხდა მიწისძვრა, რომელმაც 40 წამს გასტანა (ადს).

რიონჰესის მშენებლობის მასალებით მომარაგებაში დაიწყო გარდატეხა

ტყულის მუშების მიმართვის პასუხად რიონჰესის დამკვრელები კისრულობენ პირველი კვარტალის დანაკლისის შევსებას მეორე კვარტალში

თბილისის მექანიკური ქარხანა ვადაზე დამთავრდება.—მომავალ წელში ქარხანა გამოუშვებს 15 მილ. მანეთის პროდუქციას

რიონჰესის მუშათა საწარმოო კონფერენცია

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

22 აპრილს რიონჰესის მეორე უბნის მუშათა კლუბში გაიხსნა აღმშენებლობაში ჩაბმულ მუშათა პირველი საწარმოო კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა მთავარი ინჟინერის მოადგილე **ბ. მიქელაძის** მოხსენება 1 კვარტალის სააღმშენებლო-საფინანსო გეგმის და კოლხელშეკრულების ორმხრივი ვალდებულების შესრულების შედეგების შესახებ.

მიმდინარე წლის სააღმშენებლო-საფინანსო გეგმის შესრულებაში,—სთქვა ამხ. **მიქელაძემ**,—ჩვენ დიდი ჩამორჩენა გვაქვს, ცალკე უბნების მიხედვით. ეს ჩამორჩენა გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

1 უბანში გეგმა შესრულდა 44 პროც., მე-2 უბანში 51, პროც., ფერდობ უბანზე—17,6 პროც., მეორე გვირაბში 129 პროც. (დამთავრდა ვადაზე ადრე), წყალსაშვი არხი—7 პროც., მესამე უბნის არხის გათხრა შესრ. 34 პროც., მეოთხე უბნის საერთო სამუშაოები—23 პროც., მთელ აღმშენებლობაზე გეგმა შესრულებულია 36,8 პროც.

აღმშენებლობის ასე დიდათ ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ დიდი შეფერხებები გვქონდა სააღმშენებლო მასალების მომარაგებაში. მწვავე ნაკლებობას ჰქონდა ადგილი მუშა-ხელის მხრივაც. ყოველთვიურად გვაკლდებოდა 600-800 სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშა. აღმშენებლობა არ იყო უზრუნველყოფილი ფურაჟით. ყველა ამას თან დაერთო ზამთრის პირობები, რომელმაც სათანადო გავლენა იქონია გეგმის შესრულებაზე.

ამჟამად,—განაგრძობს მომხსენებელი,—ეს შეფერხებები დაძლეულია, მასალების მოწოდებაში უკვე გვაქვს გარდატეხა, ჩვენი დაკვეთების უზრუნველსაყოფათ მიღებულია სათანადო ზომები. მთავარი და ძირეული სამუშაოები, რომელიც საჭიროებს საზოგ. ბუქსირზე აყვანას, ეს არის მესამე-მეოთხე უბანი. საჭიროა ამ სააღმშენებლო უბნების გარშემო დავრაზმოთ მუშათა მასების ყურადღება, რათა მიმდინარე კვარტალში მაინც მივაღწიოთ დანაკლისების შევსებას.

ამხ. მიქელაძის შემდეგ თანამომხსენებით გამოდის გაერთ. მუშკომის თავმჯდომარე ამხ. **კ. გაბუნია**.

თანამომხსენებელი ეხება ცალკე უბნების მუშაობას სოცშეჯიბრების და დამკვრელობის განვითარების შედეგებს და აღნიშნავს, რომ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ზოგგან არ მიმდინარეობს თავის ნამდვილ ფორმებში. აღმშენებლობაზე ადგილი აქვს ცრუდამკვრელობასაც (1.3 უბანი), არ არის მოწესრიგებული სოცშეჯიბრებაში ჩაბმულთა აღრიცხვა, აღმშენებლობაზე უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს უმიზეზო გაცდენების ზრდას, იზრდება მუშათა ცვალებადობაც (მე-3-4 უბანი). სუსტადაა დაყენებული შინარესურსების მობილიზაციის საქმე და სხვ.

ამხ. **გაბუნია** თავის მოხსენებაში აღნიშნავს კოლხელშეკრულების ორივე მხარის მიერ დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებს. დაბოლოს ეხება ერთმმართველობის საკითხს და აღნიშნავს მის სუსტად გატარებას ადმინისტრაციის მხრივ.

ორთავე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **კუკულავამ, ვობლიმ, მახარობლიძემ, ავსაჯანიშვილმა, ქიქოძემ, მელიქ-ფაშაევმა, მარჯანიშვილმა** და სხვებმა.

დაბოლოს კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება დამკვრელი ორკვირეულის გამოცხადების შესახებ. მოწინავე უბნებმა ბუქსირზე აიყვანეს ჩამორჩენილი მე-3-4 უბანი.

კონფერენციამ ტყულის მუშების მიმართვის პასუხად მიიღო ვალდებულება 1 კვარტალის დანაკლისი შეავსოს მეორე კვარტალში. კონფერენციამ დამსწრე მუშების წინადადებით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გაზ. „ბაკინსკი რაბოჩის", მისი არსებობის 25 წლის თავის შესრულების გამო.

ვ. ლ—ი.

დეფექტები შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობაში

საკავშირო მთავრობის ორგანოების უკანასკნელი დადგენილებით, შავი ზღვის რკ. გზის მშენებლობა ცნობილია პირველ ხარისხოვან მშენებლობათ. მაგრამ დღემდე არც სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და არც ადგილობრივ პროფორგანიზაციას არ მიუღია ზომები იმისათვის, რომ აღნიშნული რკ. გზის მშენებლობის საქმე ჯანსაღ ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული.

განსაკუთრებით სუსტია ადგილობრივი პროფორგანიზაციების საქმიანობა. არავითარი ყურადღება არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას.

შავი ზღვის რკ. გზის მშენებლობა ამჟამად არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის მუშა-ხელით. ეს დაბრკოლება შექმნილია რკინის გზის სააღმშენებლო სამუშაოთა მწარმოებლების მიზეზით. როდესაც რომელიმე სააღმშენებლო უბანზე მუშაობა მთავრდებოდა, მუშებს ანგარიშს უსწორებდნენ და სამუშაოდან საბოლოოდ ანთავისუფლებდნენ. ეს იმ დროს, როცა სხვა უბანში მუშა-ხელის სიმცირის გამო მუშაობა ფერხდებოდა. მთავრობის ორგანოების უკანასკნელი დადგენილებით წელს რკინის გზის ხაზის მშენებლობა უნდა დამთავრდეს სადგურ ქვეზანამდე. ივლისის ბოლოდან აღნიშნულ ხაზზე უნდა იქნეს გახსნილი საექსპლოატაციო მოძრაობა, რომ შესაძლებელი გახდეს ტყვარჩელიდან ქვანახშირის დაუბრკოლებლივ გამოზიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილია, როგორც მასალებით, აგრეთვე მანქანა-მოწყობილობებით, მუშაობა მაინც ნელის ტემპით სწარმოებს. ადგილი აქვს მუშა-ხელის ცვალებადობას, მანქანა-იარაღების გაცდენას, არსებული მუშახელის გაცდენას და სააღმშენებლო სამუშაოთა არა სწორ ორგანიზაციას. ადგილობრივი პროფორგანიზაცია ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად არავითარ ზომებს არ იღებს.

რკინის გზის სააღმშენებლო სამუშაოთა ხელმძღვანელობის განკარგულებაში მოიპოვება რამოდენიმე კომპრესორი და დიდძალი სხვა მექანიკური მოწყობილობა-ხელსაწყოები. კომპრესორების საერთო რაოდენობიდან ამუშავებულია მხოლოდ ორი, დანარჩენები უქმად დგანან. გაცდენილია აგრეთვე დანარჩენ წვრილმან ხელსაწყოების დიდი რაოდენობა.

იმისათვის, რომ რკინის გზის სააღმშენებლო სამუშაოებმა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება, ე. ი. ივლისის ბოლოდან შესაძლებელი გახდეს საექსპლოატაციო მოძრაობის დაწყება სად. ქვეზანამდე, საჭირო იქნება დამატებით 600 მუშახელი. მუშახელის დასაქირავებლად გაგზავნილი არიან წარმომადგენლები ჩრდილოეთ-კავკასიაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამუშაოთა ხელმძღვანელობამ ანგარიში გაუსწორა და სამუშაოებიდან გაანთავისუფლა რამოდენიმე ასეული მუშა და დღეს მათ მაგიერ უხდება ახალი კადრების გამონახვა. ასეთი უთადარიგობისა და უყაირათობის მიზეზით ბრკოლდება აღმშენებლობის კალენდარული გეგმების შესრულება, რის გამო საფრთხეში მშენებლობის მთელი გეგმა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ადგილობრივმა პროფორგანოებმა და სააღმშენებლო სამუშაოთა ადმინისტრაციამ ენერგიული ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ არსებული დეფექტები, რაც შეიძლება მოკლე ხანში იქნას გამოსწორებული. პირველ რიგში უნდა იქნეს დაჩქარებული სააღმშენებლო სამუშაოთა მტკიცე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა მომარაგების გაუმჯობესების საკითხს, და სპეციალურათ ამ მიზნით დაარსებული იქნეს ცალკე კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველჰყოფს მუშათა მომარაგებას, როგორც ტყვარჩელში, ისე რკინის გზის სააღმშენებლო სამუშაოებზე.

უხეირო მუშაობის შედეგი

(თბ. აგურის ქარხნები)

თბილისის სააღმშენებლო მასალათა ტრესტი აერთიანებს თბილისში რვა აგურის ქარხანას. ზამთრის პერიოდში ქარხნები უმთავრესად ამზადებენ თიხას აგურისათვის. აპრილის შუა რიცხვებიდან ქარხნებში უნდა გაჩაღდეს აგურის დაყალიბება, მაგრამ ქარხნები განიცდიან მეყალიბე მუშა-ხელის სიმცირეს. გასული წლის სეზონიდან ქარხნებს შერჩა მეყალიბე მუშების მხოლოდ ნახევარი.

რატომ მოხდა ეს? აგურის ქარხნების მახლობლად წყალთა მეურნეობა აშენებს ახალ ქარხანას, სადაც აგურის ქარხნებიდან გადაჰყავთ მუშები ზედმეტი ხელფასის მიცემით. ამას ხელს უწყობს აგურის ქარხ. უფ. ტექნიკოსი აბაზოვი, რომელიც აგრეთვე წყალთა მეურნეობის სამმართველოს ქარხანას ნედლი მასალით ამარაგებს აგურის ქარხნების ხარჯზე. იმ დროს, როცა აგურის ყალიბისათვის, ქვიშის უქონლობის გამო, მუშები ნაცარს ხმარობდნენ, აგურის ქარხნებისათვის გადმოგზავნილი ქვიშას კი ტექნიკოსი აბაზოვი წყალთა მეურნეობის ქარხანაში გზავნიდა. გამოირკვა, რომ ახალ ქარხნისადმი აბაზოვის ასეთი მზრუნველობა გამოწვეული იყო მხოლოდ პირადი დაინტერესებით. აბაზოვმა აგურის ქარხნების ოთხის ტექნიკოსობასთან ერთად იკისრა ახალ ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელობაც, რა თქმა უნდა შესაფერი ჯილდოს მიღებით. ერთი შეხედვით აქ თითქოს გასაკვირი არაფერია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აბაზოვი თავის მოვალეობასაც ვერ ასრულებდა როგორც საჭირო იყო, ახალ თანამდებობაზე მუშაობის დაწყების შემდეგ კი მას აღარ რჩება საკმაო დრო ხსენებულ ქარხნებს ხელმძღვანელობს, რის გამო ქარხნების მდგომარეობა გაუარესდა, და, ასეთ პირობებში აბაზოვის „თვითდატვირთვა" ყოვლად უსაფუძვლოა და მავნებელია.

„ორი კურდღლის მიმდევარმა" აბაზოვმა უარი განაცხადა ქარხანა № 4 ხელმძღვანელობაზე იმის მომიზეზებით, თითქოს აღნიშნულ ქარხნის გამგე არ ასრულებდეს მის დირექტივებს, ნამდვილად კი გამგე აქ არაფერ შუაშია. აბაზოვს უნდა შეემცირებინა სამუშაო, რომ ამ გზით „არც მგელი [illegible] და არც [illegible]" და ორი თანამდებობა უფრო იოლად შეათავსოს.

ჩვენ არ ვიცით, როგორ ხელმძღვანელობას უწევს ტექნიკოსი აბაზოვი ახალ ქარხნის მშენებლობას, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მისი მუშაობა აგურის ქარხნებში სრულებით არაა დამაკმაყოფილებელი. აბაზოვის დაუდევრობით ქარხნებს მოსდით საგრძნობი ზარალი და ფერხდება სააღმშენებლო მასალების დამზადება. გარდა იმისა, რომ აბაზოვი აგურის ქარხნებიდან კვალიფიციურ მუშებს აქეზებს ახალ ქარხანაში გადასვლაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია, ის გულგრილობას იჩენს თავის მოვალეობისადმი. აი აბაზოვის უხეირო მუშაობის ერთ-ერთი ნიმუშიც:

1930 წელში ქარხნებში დადგმულ იქნა თიხის საზელავი მანქანები, რომლებიც უნდა ამუშავებულიყო პირველ კვარტალში, მაგრამ მანქანები არ გამოდგა სწორად დადგმული და ეხლა საჭიროა მათი ხელახლა დადგმა. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს, აბრკოლებს ქარხნების მექანიზაციას.

საჭიროა საქმის დაწვრილებით გამოძიება და დამნაშავეთა ღირსეულად დასჯა.

მუშკორი

1 მაისისათვის უზრუნველვყოთ სამეურნეო ანგარიშის სრული გატარება!

მთავრობის მიერ მოცემული ვადა უკვე გავიდა

მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ არ დაუდვიათ ხელშეკრულებები.—საფთიაქო სამმართველო სამარცხვინოდ ჩამორჩა

ცალკე ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც დაკრედიტების ახალ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით 27 აპრილისთვის დასდეს ხელშეკრულებები:

ვაჭრ. და მომარაგ. სამმართვ.	უნდა	დაედო	135	ხელშეკ.,	დასდო	117	ხელშ.
ცეკავშირის	„	„	104	„	„	94	„
მემინდვ. მესაქონ. კავშირს	„	„	7	„	„	7	„
საბჭ. მეურნეობის ტრესტს	„	„	54	„	„	47	„
სარეწაო კავშირს	„	„	30	„	„	30	„
ბაღ ბოსტან კავშირს	„	„	33	„	„	25	„
საქართველოს თევზს	„	„	6	„	„	3	„
საფთიაქო სამმართველოს	„	„	123		„	33	
მონადირეთა კავშირს	„	„	67	„	„	62	„
საქ. პროფსაბჭოს კულტმომარაგების განყოფილებას	„	„	8	„	„	8	„
სახელგამს	„	„	43	„	„	32	„

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფ წარმოებებიდან 27 აპრილისთვის 4 ტრესტს დადებული ჰქონდა 78 ხელშეკრულება. საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფ დანარჩენ წარმოებებიდან 27 აპრილისთვის ცნობები მიღებული არ იყო.

საქართველოს

ბოლშევიკურად შევასრულოთ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. იაკოვლევის მოხსენება რკინის გზის ფართო საწარმოო აქტივზე 1931 წლის 19 აპრილს*)

6. შევასრულოთ მაჩვენებლები, სავსებით გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზამ 1931 წლის პირველ კვარტალში გადაზიდვის საერთო გეგმა შეასრულა 97,5 პროცენტით, განსაკუთრებულ კვარტალში კი გეგმა შესრულდა 78 პროცენტით. მაგრამ პირველი კვარტალის ძირითადი მაჩვენებლები არ შესრულებულა. სამგზავრო და საქონლის ორთქლმავლების საშუალო გარბენა დღე-ღამეში, ვაგონების და ცისტერნების გარბენა, ტექნიკური და კომერციული სისწრაფე, დატვირთვა ღერძზე და სხვ.—ჯერ კიდევ ჩამორჩება მოცემულ ნორმებს. ამავე დროს არსებობს სრული საფუძველი იმისათვის, რომ ეს მაჩვენებლები გავადიდოთ. საკმარისია ითქვას, რომ კომერციულ სისწრაფეში, რომელიც საგრძნობლად განსაზღვრავს ტონა-კილომეტრის თვითღირებულებას, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ომის წინადროის დონეს იმ დროს, როცა ტვირთის გადაზიდვა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, 1931 წლის გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ა-კ. სოლქო კომიტეტის მიერ, ორჯერ უნდა სჭარბობდეს 1913 წლის გადაზიდვას (12.075.000 ტონა—6.25.000 ტონას ნაცვლად), მგზავრების გადაყვანა კი სამჯერ უნდა აღემატებოდეს 1913 წლის გადაყვანას (22.500.000 — 7.760.000 ნაცვლად), კომერციული სისწრაფე ერთი საათისათვის განსაზღვრულ 15 კილომეტრზე უფრო ნაკლებია და ვერ აღწევს 1913 წლის სისწრაფეს (15,8 კილომეტრს). ამავე დროს არსებობს სრული შესაძლებლობა, გავადიდოთ ეს კომერციული სისწრაფე.

მართალაც, 1929-30 წელს კომერციული სისწრაფე უდრიდა 11,46 კილომეტრს საათში. მიმდინარე წლის იანვარში იგი შემცირდა 11,03 კილომეტრამდე, თებერვალში კი გაიზარდა 12,97 კილომეტრამდე საათში, ე. ი. თითქმის 2 კილომეტრით ერთ თვეში. წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ მარტში კვლავ გაიზარდა კომერციული სისწრაფე. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ა-კ. სოლქო კომიტეტის დავალება კომერციული სისწრაფის 15 კილომეტრამდე აყვანის შესახებ შეიძლება მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ დღემდე საბარგო ვაგონები ჩვენში ნაყოფიერად მუშაობენ მხოლოდ 5 საათს დღე-ღამეში, 19 საათს კი არ მუშაობენ. საკმარისია ნაყოფიერი მუშაობის გადიდება ერთი საათით, რომ კომერციული სისწრაფე გაიზარდოს მთელი 20 პროცენტით.

თუ ავიღებთ საქონლის ვაგონების საშუალო გარბენას დღე-ღამეში, დავინახავთ, რომ, მიუხედავათ ამ გარბენის გადიდებისა, თითქმის ორჯერ ომის წინა დროის ნორმასთან შედარებით, არსებითად ჩვენი საქონლის ვაგონები სწრაფად კი არ მიდიან,—მიჩოჩავენ. ჩვენ აქ შეგვიძლია საგრძნობლად გავადიდოთ თებერვალში მიღწეული გარბენა 115,2 კილომეტრზე, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ იანვარში გარბენა დღე-ღამეში შეადგენდა 100 კილომეტრს, 1929-30 წელს კი—95,6 კილომეტრს. თებერვლის ეს მიღწევები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ უსათუოდ შეგვიძლია მთლიანად შევასრულოთ ა-კ. სოლქო კომიტეტის დავალება 1931 წელს საბარგო ვაგონების გარბენის 140 კილომეტრამდე აყვანის შესახებ დღე-ღამეში.

მე არ შევჩერდები დანარჩენ მაჩვენებლებზე. შევჩერდები მხოლოდ ცისტერნების გარბენაზე. ა-კ. სოლქო კომიტეტის დავალების თანახმად, ცისტერნების საშუალო გარბენა დღე-ღამეში 1931 წელს უნდა უდრიდეს 290 კილომეტრს. თუ ამ დავალებას შევადარებთ 1929-30 წლის დავალებას, როცა საშუალო გარბენა დღე-ღამეში 166,83 კილომეტრს უდრიდა, ეს მეტად საძნელოდ მოგვეჩვენება. მაგრამ იმას, თუ რამდენად არ გამოვიყენეთ შესაძლებლობა, გვიჩვენებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში საშუალო გადარბენა დღე-ღამეში 205 კილომეტრს უდრიდა (98 კილომეტრით მეტს 1929-30 წელთან შედარებით), ხოლო თებერვალში მივაღწიეთ 251,3 კილომეტრს, ერთ თვეში 40 კილომეტრს.

რით აიხსნება ასეთი წარმატება?

იმით, რომ ა-კ. სოლქო კომიტეტი მთელი პირველი კვარტალის განმავლობაში ამ საკითხზე მუშაობდა. საერთო დირექტივებიდან ჩვენ აქ ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე გადავედით. ა-კ. სოლქო კომიტეტი უშუალოდ ჩაერია ნავთის პროდუქტების გაზიდვის საქმეში; მან, შემხვედრი გეგმების საფუძველზე, ადგილებს მისცა დავალება ცისტერნების მიმოქცევის ვადის შემცირების შესახებ და ეს დავალება დაანაწილა ჩასხმისა და გადმოსხმის პუნქტების მიხედვით. დაწესებულ იქნა იმ საათების და წუთების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც ცისტერნი ბაქოში უნდა გაავსონ და ბათომში დასცალონ. განსაზღვრული ცისტერნების, ცალკე საექსპორტო მარშრუტების სიჩქარე და სხვ. მაგრამ რკინის გზის აპარატი, იმის ნაცვლად, რომ მას ებრძოლნა ამ დავალებათა განხორციელებისათვის და მუშაობის სწორი ორგანიზაციით მიეღწია დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის,—ამის ნაცვლად აფერხებდა, რითაც შეეძლო, ა-კ. სოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებათა გატარებას. მაშინ, როცა სოლქო კომიტეტმა ცისტერნის მიმოქცევის ნორმა 5,5 დღე-ღამემდე შეამცირა, გზამ უცვლელად დასტოვა გზათა სახკომის წინანდელი ნორმა—6,3 დღე-ღამე. ეს გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ მოხელეს სრულიად არ ესმის მუშაობის გზები და მეთოდები ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეში და რომ დირექცია სუსტ ხელმძღვანელობას უწევს მთელს მუშაობას გზაზე მაჩვენებლების გასადიდებლად. მართლაც, ცისტერნების ბათომში გაჩერება სულ რამდენიმე თვის წინად 19 საათამდე აღწევდა. ა-კ. სოლქო კომიტეტის დავალებით ცისტერნების გაჩერება 6 საათამდე უნდა დაეყვანათ, და ეს დავალება მთლიანად და გადაჭარბებითაც იქნა შესრულებული. მარტში მივეცით დავალება, რათა ცისტერნების გაჩერება 5 საათამდე დაეყვანათ. გზამ „დაივიწყა" სოლქო კომიტეტის დირექტივა და ძალაში დასტოვა თავისი 6 საათი. მაგრამ საანგარიშო ცნობები გვიჩვენებენ, რომ საშუალო გაჩერება ბათომში ამ ციფრზე ნაკლები იყო და 4 საათს 30 წუთს შეადგენდა.

ცისტერნების მაგალითზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდი, რომ მეჩვენება, თუ როგორ შლის ტრანსპორტის გაჯანსაღებისაკენ მიმართულ მუშაობას იმის უნარის უქონლობა, რომ სათავეში ჩაუდგნენ ფართო მასების აღტყინებას და დარაზმონ მათი აქტივობა.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადმინისტრატიულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა აღმოჩნდეს ტრანსპორტის წინაშე დასმული ამოცანების სიმაღლეზე. გზის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ნამდვილად უნდა ჩაუდგნენ სათავეში მუშათა მასების მოძრაობას ტრანსპორტის შემხვედრი საფინანსო გეგმისათვის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით განხორციელებისათვის. ჩვენ ბევრი შესაძლებლობა მოგვეპოვება. ჩვენ უეჭველად შეგვიძლია ყველა დავალებული მაჩვენებლების შესრულება. მხოლოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ეს შესაძლებლობა მთლიანად გამოვიყენოთ.

7. მატარებლების მოძრაობის შესახებ

გზის მაჩვენებლები მატარებლის მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მაგრამ როცა აკვირდები მატარებლის მოძრაობის ცხრილს და მის ფაქტიურად განხორციელებას, ისე გამოდის, რომ ეს ცხრილი მხოლოდ ფორმისთვისაა შედგენილი. მას არავინ იცავს. ჩვენს მახლობლად არის ყველა თქვენთაგანისთვის ცნობილი ნავთლუღი, რომელიც, როგორც წესი, მატარებლებს ცხრილის მიხედვით, საერთოდ, არ უშვებს.

თუ საბარგო ვაგონების მთელ მოძრაობას ავიღებთ, დავინახავთ, რომ მათი ნახევარი დადის არა ცხრილის მიხედვით. მე უკვე არაფერს ვამბობ სამგზავრო მატარებლების შესახებ. ჩვენ აქ, მაგალითად, ასეთ რამეს „ვახერხებთ": სასწრაფო მატარებელს, რომელიც მოსკოვიდან ბაქომდე მხოლოდ 1 საათის დაგვიანებით მოდის, ბაქოდან თბილისამდე 2 ნახ. საათით ვაგვიანებთ.

აქ შეუძლია რაიმე „ობიექტიურ" პირობებზე მითითება, გარდა ჩვენი დაუდევრობისა, ამაში არავინაა დამნაშავე. დამარცხება იწყება ცხრილის შედგენიდან. ცხრილს ისე ადგენენ, რომ იქ შეუძლებელია მოვაქციოთ მთელი რიგი გადარბენა. მაგალითად, ერთ და იმავე დროს ნიშნავენ სამგზავრო და საბარგო მატარებლის გადარბენისათვის. რომ ექსპლოატაციის განყოფილება ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდება ცხრილის შედგენას, ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცხრილის მიხედვით მატარებლები ერთმანეთს ხვდებიან ბაქო-თბილისის ხაზის არაარსებულ ასაქცევზე, 135 და 142 კილომეტრის შუა. აქ დაპროექტებული იყო ასაქცევის მოწყობა. ეს ასაქცევი არ ყოფილა მოწყობილი კაპიტალური მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის გამო, რითაც ჩვენმა გზამ, აქვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში „თავი ისახელა". უნდა გვეფიქრა, რომ, რამდენადაც ასაქცევი არ არსებობს, საბარგო მატარებლების მოძრაობის გრაფიკში სათანადო ცვლილებებიც იქნებოდა შეტანილი. მაგრამ ცხრილის შემდგენნი ამას არ დაგიდევენ, და ყველაფერი ძველებურად რჩება. ეს პირდაპირ კურიოზული ამბავია. ანდა აიღეთ ასეთი ფაქტი: გრაფიკში აღნიშნულია არარსებული მეორე გზა. განა გრაფიკების ასეთ მდგომარეობას და საქმისადმი ამგვარ მიდგომას შეუძლია დარაზმოს მოძრაობის მუშაკები გრაფიკის გასატარებლად? ოდნავადაც არა. შემდეგ არსებობს მატარებლების ცხრილის მიხედვით მოძრაობის გრაფიკი. მაგრამ გზათა სახკომი და გზის დირექცია ასეთ დავალებას იძლევიან: ცხრილის მიხედვით მატარებლების მოძრაობის პროცენტი უნდა უდრიდეს 80-ს, მაშინ ეს შეადგენს უწყებული მაჩვენებლების შესრულების 100 პროცენტს. რას გავს ეს? თუ გეგმის შემდგენი წინასწარ ამბობს, რომ მისი განხორციელება მხოლოდ 80 პროცენტით შეიძლება და ეს ნორმალურად ჩაითვლება, როგორ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ მატარებლები ცხრილის მიხედვით დადიოდენ? ეს,—გზის მუშაობის ნამდვილი ხელმძღვანელობის ნაცვლად, მისი ჩინოვნიკური მართვაა.

მოძრაობის აგენტებს შორის ნამდვილი დისციპლინა არ არსებობს. დისპეტჩერების—მოძრაობის ამ **მეთაურების**—მუშაობა ძალიან ცუდათაა დაყენებული. ისინი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ **აღნუსხავენ** შემთხვევებს, მაგრამ არ წარმოადგენენ რკინის გზის სწორი მოძრაობის ორგანიზატორებს.

რად ღირს თუ გინდა შემდეგი ფაქტი: 12 აპრილს ღამის 2 საათზე და 30 წუთზე თბილისიდან ლენინაკანისაკენ გავიდა მატარებელი № 985, რომელიც ნავთლუღიდან გაგზავნეს არა სამხრეთით, არამედ ბაქოს მიმართულებით, რაც მიეწერება უფროსი მეისრის ჩადუნელის და უმცროს მეისრის კეკელიძის დაუდევრობას. ბედნიერი შემთხვევით მატარებელი უმარცხოდ მივიდა 360 კილომეტრის ასაქცევში, იქაური მორიგისათვის სრულიად მოულოდნელად. ვერც მემანქანე ვართანიანმა, ვერც უფროსმა კონდუქტორმა ჩგილელმა ვერ შეამჩნია— თუ საითკენ მიდიოდა მატარებელი. ამავე დროს კი სოღანლუღის სადგურის მორიგე, რომელმაც მიიღო მატარებლის გამოსვლის ცნობა, მთელი საათობით ამაოდ იცდიდა. მატარებელი უკან დააბრუნეს, და შემდეგ ის დანიშნულების ალაგას გავიდა. განა შეიძლებოდა ასეთი ანეგდოტური ფაქტების წარმოდგენა, რომ მოძრაობის აგენტებს შორის ნამდვილი პროლეტარული დისციპლინა არსებობდეს? ხომ დამახასიათებელია, რომ ვერც მემანქანემ, ვერც მთავარმა კონდუქტორმა ვერ შენიშნა იმის სხვა მხრისაკენ მობრუნება (გამოდის, რომ მეისრეა დამნაშავე). და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩვენში შემთხვევები რკინის გზის უბედურებაა. ამაზე ჩვენ მილიონებს ვკარგავთ. აიღეთ ამას წინად ყარაიაში მომხდარი მარცხი. ეს მარცხი იმიტომ მოხდა, რომ სადგურზე მდგარი ვაგონი ქარმა შემხვედრ მატარებელს მიახალა. მაგრამ ვაგონი რომ დამუხრუჭებული ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა (ხოლო თუ მას მუხრუჭი არ ქონდა, ის უნდა შეეცვალა შპალს, ან კუთხედს). ამისათვის ვიღაცეებმა პასუხი უნდა აგონ. გაეცანით დისპეტჩერების ყოველდღიურ მოხსენებებს და თქვენ დაინახავთ ამ შემთხვევების რაოდენობას და მათ მიზეზებს. ამ შემთხვევათა რიცხვი, როგორც წესი, დღეში ათს აღემატება, ხოლო ცალკე დღეებში 50-დეც აღწევს. რა შემთხვევებია ეს? ამის გამორკვევას არ ახდენენ, ამ საქმეს ყურს არ უგდებენ. მატარებლის გადავარდნა, გზაში ორთქლმავლის ფრქვევანას („ფორსუნკა") გაფუჭება, დახურულ სემაფორებში გავლა, უმიზეზოთ გაჩერება, მატარებლის გაქანება—ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ისინი შლიან მუშაობას, ზოგჯერ იწვევენ მოძრაობის შეწყვეტას, მატარებლებს მთელი საათობით აჩერებენ გადასარბენებზე. მაგრამ ამის წინააღმდეგ ნამდვილ ზომებს ჩვენში არ ღებულობენ. შემთხვევების მხრივ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიკავია რკინის გზების საერთო ქსელში. ამავე დროს თუნდაც რომ მხედველობაში მივიღოთ ჩვენი გზის პროფილის სირთულე, ჩვენ გვაქვს პირობები იმისათვის, რომ სხვა გზებზე უკეთესად ვიმუშაოთ. ჩვენში ორთქლმავლებს ნავთით ათბობენ. შეეკითხეთ რომელიმე მემანქანეს და ის გეტყვით — თუ რა დიდი უპირატესობაა ეს ქვანახშირის გათბობასთან შედარებით. ჩვენში კლიმატიური პირობები ბევრად უკეთესია, ვიდრე მთლიანად აღებულ საბჭოთა კავშირში. ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის თოვლის ზვავები. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ უმსგავსო მდგომარეობას მატარებლის მოძრაობის საქმეში, თუ ჩვენ ნამდვილად, როგორც ამას ა.-კ. სოლქო კომიტეტი მოითხოვს, ხელს მოვკიდებთ შემთხვევებთან ბრძოლას გზაზე და დაუსჯელად არ დავტოვებთ მოძრაობის დარღვევის არც ერთ შემთხვევას, რა რიგ უმნიშვნელო არ მოგვეჩვენოს ის; თუ სათანადო სიმაღლეზე დავაყენებთ შრომის დისციპლინას გზის აგენტებს შორის.

მოძრაობის ახალი გრაფიკი, რომელიც ძალაში შედის 15 მაისიდან, უნდა შევადგინოთ რაიონების მონაწილეობით, და ის უნდა გახდეს მოძრაობის ნამდვილ გრაფიკად, რომელიც ყველასათვის სავალდებულო იქნება, და არა ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად, როგორსაც ის ახლა წარმოადგენს.

8. გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები, შევამციროთ თვითღირებულება

ხარისხობრივ მაჩვენებელთა გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების ამოცანებს ახლანდელ პერიოდში, სამეურნეო ანგარიშზე გატარება-განმტკიცებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

მართლაც, გზამ „მოახერხა" განსაკუთრებულ კვარტალში ტონა-კილომეტრის გადაზიდვის თვითღირებულების გადიდება 1929-30 წელთან შედარებით. ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით. ა.-კ. სოლქო კომიტეტის დავალება თვითღირებულების 28 პროცენტამდე შემცირებისა და ტონა-კილომეტრის გადაზიდვის ღირებულების 0,88 კაპიკამდე დაყვანის შესახებ აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. ეს კი გულისხმობს **ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის გატარება-განმტკიცებას რკინისგზის ტრანსპორტის ყველა დარგ-ნაწილებში.** მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ სამეურნეო ანგარიშზე, როცა ჯერ კიდევ გზას არ მოეპოვება ნამდვილი შემოწმებული ბალანსი 1931 წლის 1-ლ იანვრისათვის, როცა რაიონები გებულობენ იმას, თუ რამდენად შეასრულეს მათ თავიანთი მაჩვენებლები საანგარიშო პერიოდის 2 თვის შემდეგ, როცა წლითი-წლობით გზას გადანახარჯები აქვს. წინასწარი ცნობებით, მიმდინარე წლის მარტო 1-ლი კვარტალის გადანახარჯი გზაზე უდრის 4 მილიონამდე მანეთს. **ეს პირდაპირ ლახვარის ჩაცემაა გზის კაპიტალური მშენებლობისათვის,** ეს თავში სცემს ა.-კ. სფსრ-ის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას 1931 წლისათვის. რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ თვითღირებულების შემცირების ამოცანა არ არის აქამდე დასმული ყურადღების ცენტრში ტრანსპორტის სამეურნეო ხელმძღვანელობისა და პარტიულ და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სათბობის ნორმაზე ზედმეტად ხარჯვის შემთხვევები.

სათბობის ხარჯვის საქმეს ტრანსპორტზე მეტად ცუდი პირი უჩანს. თუ 1928-29 წელს ჩვენ ვხარჯავდით 0,350 ტონას, 10.000 ტონა-კილომეტრზე, 1929-30 წელს ეს ხარჯი ჩვენ ავიყვანეთ 0.368 ტონამდე. შემცირებას განსაკუთრებულ კვარტალში 0,351 ტონამდე ისევ მოჰყვა მომატება იანვარში — 0.384 ტონამდე. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალღონით შევეცადოთ სათბობის ხარჯვის შემცირებას, რკინის გზამ გაადიდა სათბობის ხარჯვის მაჩვენებლები 0,335-დან, რაც 1930 წლის დეკემბერში იყო, 0,386 ტონამდე 1931 წლის იანვარში, რითაც ის ჩაშლით ემუქრება სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის მიღებულ ღონისძიებებს. მაგრამ, მიუხედავად ამ გადიდებისა, თებერვალში სათბობის ხარჯვა უკვე უდრიდა 6,374 ტონას, ნაცვლად 0,384 ტონისა, რაც იყო იანვარში. მაგრამ ამ შედეგებით ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავკმაყოფილდებით. ა.-კ. სოლქო კომიტეტის მოთხოვნა, რომ შემცირებულ იქნას სათბობის ხარჯვა (პრემიის გამოკლებით) საშუალოდ 0,30 ტონამდე 10.000 ტონა-კილომეტრზე ბრუტო 1931 წლისათვის, მთლიანად უნდა იქნას შესრულებული. თუ გავიხსენებთ, რომ უკვე იწყება ზაფხული, ეს ამოცანა აუცილებლად შესაძლებელია განხორციელებულ იქნას, თუ კი ჩვენ ბოლშევიკურად შევუდგებით პარტიის დირექტივის შესრულებას სათბობის ხარჯვის შემცირების შესახებ და მივიყვანთ სათბობის ხარჯვის დავალებას როგორც ორთქლმავლებზე, ისე სტაციონალურ დანადგრებზედაც, თვითეულ რგოლამდე, თვითეულ სადგურამდე. ამ დირექტივისადმი „ჩინოვნიკური" მიდგომის გამოჩენით კი ჩვენ ამის მიღწევას ვერ შევძლებთ. მაგრამ აბა რის ბოლშევიკები ვართ, რომ არა ფორმალურად, არამედ ნამდვილად შევუდგეთ მუშაობის გაუმჯობესებას! ჩვენ აქამდე ვურიგდებით იმას, რომ ანგარიშგება მეტად მოიკოჭლებს, ხშირად ქაოტიურ მდგომარეობაშიაც კი არის ის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ხარისხობრივ მაჩვენებლებისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ დავალების შესრულებასთან ერთად ჩვენ განვაგრძობთ გადანახარჯთა დაშვებას, ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ სავსებით დავფაროთ წარმოების მიმდინარე ხარჯებიც კი და შრომის ხელფასის გასტუმრებაში შესაძლებელი დაბრკოლებისა და კაპიტალური მშენებლობის ჩაშლისათვის ჩვენ სხვას ვერავის გავამტყუნებთ, თუ არა საკუთარ თავს. ეს მტკიცედ უნდა დავიხსომოთ. ამ ამოცანებთან დაკავშირებით, რადიკალურად უნდა იქნას გადასინჯული რაციონალიზაციის ორგანოების მუშაობა გზაზე. აქამდე ეს ორგანოები თითქოს უჰაერო სივრცეში მუშაობდნენ. სარაციონალიზატორო ღონისძიებათა დამუშავება სრულიად მოწყვეტილი იყო იმ საბრძოლო ამოცანებს, რაც სდგას გზის წინაშე. ეს „ჩინური კედელი" უნდა დაირღვეს. უნდა იქნას გადასინჯული სარაციონალიზატორო ღონისძიებათა მთელი გეგმა და, როგორც აღნიშნავს ა.-კ. სოლქო კომიტეტი, „შეფარდებულ იქნას ის მატარებელთა ტექნიკური და კომერციული სიჩქარის გადიდების ამოცანებთან, მოძრავი შედგენილობის, რა გინდ ოპერაციასაც არ უნდა ეწეოდეს ის, სადგურებზე გაცდენის შემცირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის ამოცანებთან და სხვ.. რაციონალიზაციის გასატარებლად საჭირო მთელი მუშაობის ძირითად აზრს უნდა შეადგენდეს ხარჯის შემცირება მუშაობის ერთეულზე. ამით გამოაშკარავდება მთელი ამ მუშაობის ღირებულება და რაციონალიზაციის გამტარებელი ორგანოების მუშაკთა უნარი, თუ რამდენად ახერხებენ ისინი მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

1-ლ მაისიდან საკრედიტო რეფორმის შესწორების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, რაც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ ა.-წ. 14 იანვარსა და 20 მარტს, ჩვენს ტრანსპორტს უადრესად საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება და მისი მუშაობის მეთოდებში აგრეთვე შეტანილ უნდა იქნას სათანადო ცვლილებანი. ტრანსპორტი პასუხს უნდა აგებდეს კლიენტურის წინაშე ტვირთის დროზე მიტანისათვის, კლიენტურის დროზე შეტყობინებისათვის, ანგარიშების დროზე გასწორებისა და იმ მოთხოვნათა ზუსტად შესრულებისათვის, რასაც ტრანსპორტს უდგენენ მიმწოდებლები და შემკვეთები. ავიღოთ თუ გინდ ისეთი საკითხი, როგორც მოწყობილობათა არაკომპლექტურად მიწოდება. ახალი დებულებით, შემკვეთს შეუძლია უარი სთქვას მოწყობილობის მიღებაზე, თუ ის კომპლექტური არ არის, თუმცა ზოგჯერ ეს არაკომპლექტურობა ხდება არა მიმწოდებლის, არამედ რკ. გზის მიზეზით, რომელიც ჰყოფს ტვირთს გზაში, დროზე არ მოაქვს შეკვეთის სხვადასხვა ნაწილები და სხვ.. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მხოლოდ გზას ეკისრება. ამ „კონტროლმა მანეთით" უნდა გვაიძულოს ჩვენ დროზე გარდავქმნათ მუშაობა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვა-განმტკიცებას რკინის გზის ტრანსპორტზე დაეთმოს არა ათკეცი ყურადღება, როგორც ეს იყო აქამდე, არამედ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამეურნეო ანგარიშის დანერგვა საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ გამოაცხადონ თვით რკინისგზელებმა. ამავე დროს საჭიროა მოხდეს ძირითადი გარდატეხა კლიენტურის დამოკიდებულებაში რკინის გზის ტრანსპორტის მიმართ. გადაჭარბებულ შეკვეთებს მოძრავი შედგენილობის მისაღებად ძალიან ხშირად იძლევიან ჩვენი სამეურნეო ორგანოები და ამ შეკვეთებს თავიანთ შტამპს აკრავენ ჩვენი გადაზიდვათა კომიტეტები. ამ უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს. რით აიხსნება, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს იმ მოძრავი შედგენილობის გამოუყენებლობას, რასაც რკინის გზა იძლევა კლიენტების საპასუხისმგებლო შეკვეთების მიხედვით? რატომ იყო, მაგალითად, რომ 10 აპრილს გადმოუტვირთავი ვაგონების პროცენტი 33-ს უდრიდა? რატომ არის, რომ ათობით ვაგონებს უხდებათ დგომა გადმოტვირთვის მოლოდინში? ეს საერთოდ იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ რკინის გზის ტრანსპორტს ისე უყურებენ, როგორც ურემს. პარტიისა და მთავრობის არა ერთი მითითება, რომ საჭიროა ბრძოლა ტრანსპოტის არარაციონალურად გამოყენების წინააღმდეგ, ცხოვრებაში არ ტარდება. იმ უმსგავსოებისათვის, რასაც ადგილი ჰქონდა თუ გინდ პირველ კვარტალში და შეეხებოდა ის მოძრავი შედგენილობის გამოუყენებლობას, ჯერ კიდევ არავინ მიუციათ პასუხისგებაში, თუმცა ვიცით ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები, რომ ადგილი ჰქონდა სამაცივრო და ზოოტერმიული ვაგონების, რომელთა ასე დიდ საჭიროებას განვიცდით, დაუსაბუთებელ დაყოვნებას და გამოუყენებლობას, აგრეთვე ვიცით სხვა ამის მსგავსი მოვლენებიც. საჭიროა ყველა დამნაშავემ პასუხი აგოს ასეთი უმსგავსოებისათვის.

9. ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქცია—დღის წესრიგში

უეჭველია, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს უამრავი შესაძლებლობა ტრანსპორტის მუშაობის რაციონალიზაციის და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაიდიდების საქმეში. მაგრამ ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანა უფრო და უფრო მწვავედ დგება ჩვენს წინაშე. ტვირთბრუნვა რკინის გზების მთელ ქსელზე და, კერძოდ, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ისეთი სწრაფი ტემპით იზრდება, რომ რკინის გზის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციის გარეშე ჩვენ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ჩვენს წინაშე დგას გზის მთიანი უბნების ელექტროფიკაციის ამოცანა. მუშაობა სურამის ელექტროფიკაციისთვის ამ მხრივ საქმის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს.

ორთქლმავლების სიმძლავრის გადიდება, გზის გაძლიერება, თვითდამცველი ვაგონები, ავტობლოკირობა, მოწყობილობათა მექანიზაცია, სელექტორული კავშირის გაფართოება, ვაგონების ტვირთზიდვის უნარის გადიდება—ყოველივე ეს ასახული უნდა იქნას ამიერ-კავკასიის რკინის გზის ელექტროფიკაციის გეგმაში, რომლის დამუშავებას ახლავე უნდა შეუდგეთ.

რეკონსტრუქციის ეს გეგმა დამუშავებულ უნდა იქნას მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე. გეგმა უნდა გავაცნოთ მშრომელთა ფართო მასებს, იმ ანგარიშით, რომ მისი განხილვის პროცესში ფართოდ გამოვიყენოთ ადგილების გამოცდილება.

ასეთია ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც 1931 წელს დგანან ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტის წინაშე ამიერ-კავკასიაში.

10. კადრების შესახებ

რომ ამიერკავკასიის რკინის გზამ შეასრულოს 1931 წლის უდიდესი დავალებანი, ამისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს გზის უზრუნველყოფა კადრებით. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მუშაობა არ არის მოგვარებული და რომ ამ საკითხს რკინის გზის დირექცია და რაიონები ბოლო დრომდე ყურადღებას არ აქცევდნენ. რკინის გზამ ვერ შესძლო გამოეყენებია პარტიის და მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილებებიც კი რკინის გზაზე იმ მუშაკების დაბრუნების შესახებ, რომელნიც წინად სხვა სამუშაოზე იყვნენ გადასულნი, მთელ რიგ შემთხვევებში რკინის გზამ ვერ გამოიყენა ის კვალიფიკაციური მუშაკები, რომელნიც იქ სამუშაოდ იგზავნებოდნენ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გზას თავისი კადრები არ შეუსწავლია და ის მათ არ იცნობს. ჩვენ ამ ჟამად უკვე ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს გზის კადრებით გაძლიერებისათვის. სოლქო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, რკინის გზაზე უახლოეს დროში გაიგზავნება 30 სპეციალისტი, მათგან 25 კაცი პერიფერიებში უნდა იქნან გამოყენებულნი. თავის მხრივ დირექციამ არა ნაკლებ ათი სპეციალისტისა უნდა გადაიყვანოს რაიონებში და ძირითად დეპოებში. მაგრამ ამით როდი ამოიწურება გზის კადრებით გაძლიერების ამოცანა. ჩვენს წინაშე უნდა დავსვათ რკინის გზის კადრების მომზადების და გადამზადების ამოცანა.

ჩვენში ბევრია მომზადებული მუშაკების აყვანის მსურველი, მაგრამ კადრების ნაკლებობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ისე დიდია, რომ შეუძლებელია გადავჭრათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის კადრებით გამაგრების ამოცანა, თუ დაუყოვნებლივ არ გავშლით მუშაობას თავისი კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. ჩვენში არის ამიერ-კავკასიის გზათა ინჟენერების ინსტიტუტი, არის სარკინისგზო ტეხნიკუმი, არის საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, გზის საშუალო მეთაურთა შემადგენლობის მომზადების და გადამზადების კურსები, მაგრამ როგორ წარმოებს მოსწავლეთა შერჩევა, ვინ ხელმძღვანელობს ამ სასწავლებლების შევსებას, როგორაა დაყენებული სწავლა დამთავრებულთა განაწილება, ვინ სწავლობს და როგორ სწავლობს,—ეს დღემდე კარგად არ ვიცით. ამაზე სერიოზული მუშაობის გაწევა მოუხდება გზის დირექციას, პირველ რიგში კი—გზის პარტორგანიზატორს და რაიონების პარტორგანიზატორებს, რომელნიც კადრების ხაზით გზის უფროსების მოადგილეებს წარმოადგენენ. გზაზე უნდა დავაწესოთ თანამდებობათა ნომენკლატურა. ეს თანამდებობანი დირექციამ და რაიონებმა აღრიცხვაზე უნდა იქონიონ და, ბრძანებებით, ხშირად უსაფუძვლოდ მუშაკების მექანიკური გადაყვან-გადმოყვანის ნაცვლად, უზრუნველყონ ძალების ნამდვილად გეგმიანი განაწილება. დირექციამ უნდა შეადგინოს და, რაც მთავარია, ცხოვრებაში გაატაროს კადრების გადამზადების ისეთი გეგმა, რომ მიმდინარე და მომავალ 1932 წელს როგორც ა.-კ. სოლქო კომიტეტი თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, გადამზადება გავრცელდეს „დეპოების და მსხვილი სადგურების მუშაკებზე და მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებულ აგენტებზე".

ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ სპეციალისტების ახალი კადრების და კვალიფიციური მუშების მომზადება—კერძოდ ა.-კ. გზების ინჟენერების ინსტიტუტის, ტეხნიკუმის და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საშუალებით. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შეთანხმებული იქნება გზაზე ახალი სპეციალისტების და კვალიფიკაციური მუშა-ხელის საჭიროებასთან.

11. მთლიანად გავატაროთ პარტიის დირექტივები რკინისგზელების ხელფასის და მომარაგების შესახებ

რკინის გზელების ხელფასის მომარაგების შესახებ პარტიას გარკვეული დირექტივები აქვს მოცემული, მაგრამ ეს დირექტივები სრულიად არადამაკმაყოფილებლად ტარდება.

ხელფასის საკითხის გამო გარკვეული დირექტივებია მოცემული ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს 15 იანვრის მიმართვაში (საორთქლმავლო ბრიგადებისა და ორთქლმავლების შემკეთებელ მუშებისათვის ხელფასის მომატების შესახებ და სხვ.), მაგრამ გზათა სახკომი და გზების დირექცია მათ განხორციელებას ფორმალურად მიუდგენ, და ეს დირექტივები საგრძნობლად დღემდის არ არიან განხორციელებულნი. გზათა სახკომის ხაზით ახლა მიცემულია დამატებითი მითითებანი, რომლებიც ეხებიან მემანქანეების მოძრაობის პასუხისმგებელი აგენტების ხელფასის გადიდებას, მემანქანეებისათვის პრემიების მიცემას, ზედმეტ საათებში მუშაობის ანაზღაურებას და სხვ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს მითითებანი ნამდვილად იქნან გატარებული, რომ ეს მუშაობა კაბინეტური წესით არ ჩატარდეს, რომ რკინისგზელი მუშათა ფართო მასები იცნობდნენ ამ გადაწყვეტილებებს. ეს უზრუნველყოფს მათ გატარებას.

რაც შეეხება სასურსათო მომარაგების საკითხებს, როგორც მოგეხსენებათ, უმაღლეს ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად, სატრანსპორტო კოოპერაცია უკვე აღდგენილია. ამ ზომას ხელი უნდა შეეწყო რკინისგზელების სასურსათო მომარაგების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ სატრანსპორტო კოოპერაციის აღდგენისას მთელი რიგი უაღრესად უხეში შეცდომა იქნა დაშვებული. სატრანსპორტო კოოპერაციას არ უბრუნებდნენ ჭურჭელს, ინვენტარს, აქა-იქ ადგილი ქონდა შეფერხებასაც მომარაგებაში. შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილია, რომ ფონდები თვითეულ საექპლოატაციო ოლქისათვის უნდა გამოიყოს ცენტრალიზებული წესით, რაც შეუძლებლად გახდის იმ ფონდების სხვა საჭიროებისათვის გამოყენებას, რომლებიც რკინის გზელებისათვისაა დანიშნული.

ადგილობრივ ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყონ რკინის გზელთა მომარაგების შესახებ პარტიის და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების მთლიანად გატარება, კოოპერატიულ საზოგადოებრიობის დარაზმვის გზით შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც მოსპობენ ამ ფონდების განიავების ყოველგვარ შესაძლებლობას, და მიაღწიონ სატრანსპორტო კოოპერაციის მუშაობის ნამდვილად გაუმჯობესებას.

ამ საქმეში სათანადო დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს სამომხმარებლო კოოპერაციის საერთო სისტემამ, რომელსაც, აქვე აღვნიშნავთ, სატრანსპორტო კოოპერაციის გამოყოფის დროს თავი არ უსახელებია, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა გატარებას.

ტრანსპორტის მუშების მომარაგების გაუმჯობესების ამოცანა უნდა მოექცეს ტრანსპორტის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

12. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები პირით სატრანსპორტო მეურნეობისაკენ

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასვა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეში.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში პარტიული მუშაობა რამოდენიმედ გამოცოცხლდა. მაგრამ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები პირით წარმოებისაკენ ჯერ კიდევ ვერ მობრუნებულა ისე, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა. დღემდე ტრანსპორტის პარტუჯრედების ყურადღების ცენტრში კიდევ არ არიან მოქცეულნი წარმოების კონკრეტული საკითხები. ტრანსპორტზე მომუშავე კომუნისტების მუშაობას პარტუჯრედები ვერ უწევენ ნამდვილ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას. არა ყველა კომუნისტები და კომკავშირელები მონაწილეობენ სოციალისტური შეჯიბრებასა და დამკვრელობაში. პარტიული ორგანიზაციები და ცალკე კომუნისტები ნამდვილად არა ყველგან უდგანან სათავეში მასების აქტივობას მათ ბრძოლაში სატრანსპორტო-საფინანსო გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის.

ა.-კ. სოლქო კომიტეტი თავის დადგენილებაში პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, პირველ მაისისათვის დაამთავრონ თავიანთი გარდაქმნა. ეს გულისხმობს არა მარტო ორგანიზაციული სტრუქტურის, არამედ მთელი მუშაობის არსებითად გარდაქმნასაც. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა დაისახონ „პარტიული კადრების გადანაწილება და საამქროში, ბრიგადაში, სადგურებზე მათი ისეთი განაწილება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პარტიული ძალებით უმნიშვნელოვანესი უბნების ღამის და სადამოს წყებების, მცირე სადგურების და მატარებლის ბრიგადების განმტკიცება (საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სოლქო კომიტეტის 24 აპრილის დადგენილებიდან). ჩვენ დღემდე ისეთი მდგომარეობა გვაქვს, როცა მთელ რიგ სადგურებზე არ გვყავს კომუნისტები, მეორე წყებებს სამსახური არ ეწევა, კომუნისტების განაწილება არ ხრის შეფარდებული გზის ამა თუ იმ უბნის მუშაობის მნიშვნელობასთან. აი რატომ, როგორც ამას ა.-კ. სოლქო კომიტეტი მოითხოვს, ეს მუშაობა უახლოეს დროში უნდა იქნას ჩატარებული, რათა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ტრანსპორტზე და უზრუნველვყოთ მასების უფრო მეტი მობილიზაცია სატრანსპორტო საფინანსო გეგმის განხორციელებისათვის.

ამიერ-კავკ. სოლქო კომიტეტი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ამოცანად სვამს ტრანსპორტზე მომუშავე ყველა კომუნისტების და კომკავშირელების გამოუკლებლივ ჩაბმას სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში.

პროფკავშირული ორგანიზაციების, განსაკუთრებით მათი ქვედა რგოლების, შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გარდაქმნილან ისე, როგორც ამას საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს მიმართვა მოითხოვდა. პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ მეთაურობენ დამკვრელების მოძრაობას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნორმების გადიდებისათვის, გეგმის მთლიანად განხორცელებისათვის, ხოლო მთელ რიგ შემთხვევაში ჩამორჩენილ განწყობილებათა გავლენის ქვეშ ექცევიან. მოვიყვანთ თუ გინდ შემდეგ მაგალითს. სადგურ ნახიჩევანის მორიგე ალიქფეროვი, მიუხედავად რაიონის უფროსის აკრძალვისა, გაზაფხულის გადაზიდვის პასუხსაგებ მომენტში გაემგზავრა პოლიტეხნიკურ ყრილობაზე ბაქოში. მეოთხე რაიონის უფროსის ბრძანებით ის გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ის პროფკავშირული ხაზით პასუხისგებაში მიეცათ, ადგილობრივი ორგანიზაციები მის დასაცავად გამოვიდნენ და მოითხოვდნენ მის აღდგენას. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები არ არის იშვიათი. ამ დარგში ჩვენ გადამწყვეტ გარდატეხას მივაღწიოთ.

საჭიროა, რათა რკინის გზელების ამიერ-კავკასიის ყრილობისათვის მოსამზადებელი მუშაობა გადაიქცეს ისეთ კამპანიად, რომელმაც უნდა მოახდინოს „პროფკავშირული ორგანიზაციების პირით სატრანსპორტო მეურნეობისაკენ მობრუნების მასიური თვითშემოწმება, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის შედეგების შეჯამება, რკინისგზელთა ფართე მასების მობილიზაცია სატრანსპორტო-საფინანსო გეგმების განხორციელებისათვის და, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს" (ამიერ-კავკ. სოლქო კომიტეტის დადგენილებიდან).

რათა უზრუნველვჰყოთ 1931 წლის დავალებათა სავსებით შესრულება, პირველ რიგში საჭიროა ეს დავალებები გავაცნოთ რაიონებს, სადგურებს და ყველა ქვედა რგოლებს. ამიტომაც ამიერ-კავკ. სოლქო კომიტეტი მოითხოვს, რათა „ტრანსპორტის ყველა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოქცეულ იქნას სატრანსპორტო-საფინანსო გეგმის მიყვანა ქვედა რგოლებამდე, თვითეულ მუშამდე".

ორიოდე სიტყვა ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. სამხარეო და რესპუბლიკანურმა პრესამ, უეჭველია, გააძლიერა თავისი მუშაობა ტრანსპორტის მდგომარეობის გასაშუქებლად და მისი გაჯანსაღებისათვის საბრძოლველად. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ყოველდღიურ ხასიათს არ ატარებს. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრესა სისტემატიურად, დღითი-დღე, აშუქებდეს ტრანსპორტის მუშაობას, რაზმავდეს საბჭოთა საზოგადოებრიობას ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და აწყობდეს გამოცდილების გაზიარებას რაიონებს, დეპოებსა და სადგურებს შორის და სხვ.

პრესის მუშაობის გაძლიერება პირველყოვლისა უნდა წარიმართოს ტრანსპორტის მდგომარეობის უფრო სისტემატიურ, გაშუქების ხაზით. ქვედა პრესას ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა სატრანსპორტო-საფინანსო გეგმისათვის საბრძოლველად. ამავე დროს კი მას განსაკუთრებული როლი აქვს დაკისრებული. ტრანსპორტისათვის მიცემული დავალებანი და მათი შესრულების მიმდინარეობა ისევე უნდა გავაცნოთ ფართო პროლეტარულ საზოგადოებრიობას, როგორც სამრეწველო-საფინანსო გეგმის მიმდინარეობა ჩვენი მრეწველობის გადამწყვეტ დარგებში.

13. გადავაქციოთ ჩვენი ტრანსპორტი სოციალიზმის მოწინავე დარგად

ჩვენი კლასობრივი მტრები ხითხითებენ ჩვენს ტრანსპორტზე შექმნილ სიძნელეების გამო. მაგრამ ჩვენ უკვე შევუდექით ამ სიძნელეების დაძლევას. პარტიის ხელმძღვანელობით სავსებით უნდა გავაჯანსაღოთ ტრანსპორტი და უეჭველად გავაჯანსაღებთ კიდეც და საგრძნობლად წავწევთ წინ მას.

ამხანაგებო, იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში რკინისგზის ტრანსპორტი, როგორც მთელი სახალხო მეურნეობა სულ უკან და უკან მიდის, ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ რკინის გზის ტრანსპორტის დარგში [illegible]—„დავეწიოთ და გავუსწროთ". [illegible] სიხშირის მხრით ჩვენ უკვე [illegible] გავუსწარით უდიდეს კაპიტალისტურ [illegible]—ჩრ.-ამერ. შეერთებულ [illegible] ერთ კილომეტრ გზაზე [illegible] ტვირთის რაოდენობა შეერთებულ [illegible] 1.841 ტონიდან 1927 წელს შემცირდა 1.640 ტონამდე 1930 წელს. საბჭოთა კავშირში საწინააღმდეგო სურათი გვაქვს: 1.10[illegible] ტონიდან 1927 წელს ერთ კილომეტრ გზაზე გადაზიდულ ტვირთის რაოდენობა ავიყვანეთ 1.740 ტონამდე, [illegible] წელს ჩვენი ტრანსპორტი ტვირთის გადაზიდვას გაადიდებს 39 [illegible]ით წარსულ წელთან შედარებით. გადაზიდულ ტვირთის რაოდენობის მხრით ჩვენ **დიდათ ჩამორჩებით შეერთებულ შტატებს,** მაგრამ ზრდის ტემპის მხრით **ბევრად გავუსწარით** ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს. კიდეც, რომ გამოვრიცხოთ კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის კრიზისიანი 1930 წელი და შედარებისათვის ავიღოთ მხოლოდ 1926—1929 წლები, დავინახავთ, რომ ამ პერიოდში ტვირთბრუნვის ზრდა შეერთებულ შტატებში შეადგენს 8 პროცენტს, კანადაში—7 პროცენტს, გერმანიაში—9.5 პროცენტს, საბჭოთა კავშირში კი—77 პროცენტს. უკვე წელს საბჭოთა კავშირი ტვირთბრუნვის მხრით მე-4 ადგილს დაიკავებს მსოფლიოში შეერთებული შტატების, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, შემდეგ წელში კი ჩვენ მეორე ადგილი უნდა დავიკავოთ ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების შემდეგ.

მატარებლის მოძრაობის მხრით ჩვენ 1930 წელს ვიკავებთ მესამე ადგილს მსოფლიოში.

ჩვენი ტრანსპორტი ძლევს უდიდეს დაბრკოლებებს და უფრო და უფრო სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ. ჩვენში ახალ სარკინიგზო მშენებლობაზე მიმდინარე წელს იხარჯება 385 მილიონი მანეთი, და არსებული ქსელის კაპიტალურ მშენებლობაზე 1660 მილიონი მანეთი.

ჩვენში სწრაფი ტემპებით ვითარდება სარკინისგზო მშენებლობა. 5 წლედის დამლევისათვის ჩვენ უნდა გავიყვანოთ 18.000 კილომეტრი ახალი, ე. ი. დაახლოებით 1[illegible] თურქესტან-ციმბირის გზა. ხოლო უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ინგლისი და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, ახალი სარკინისგზო ხაზების მშენებლობა სრულიად შეჩერებულია.

ჩვენი ტრანსპორტი მუშაობს მთელი თავისი ძალების დაჭიმვით, ახდენს მთელი თავისი ძალების მობილიზაციას.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებში კი 1930 წელს 8.000 ორთქლმავალი და 500.000 ვაგონი უმოქმედოდ იყო.

მაგრამ ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანები დგანან, და ჩვენ ისინი უნდა გადავჭრათ. [illegible] არ უნდა დაგვიჯდეს. ამას მოითხოვს არა მარტო ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესები, არამედ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებიც.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტრანსპორტზე საკმაოდ დიდხანს მუშაობდნენ მავნებლური ხროვები. მავნებლები მიზნად ისახავდნენ ჩვენი ტრანსპორტის ჩაშლას და ჩვენთვის მძლავრი ლახვარის ჩაცემას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოში აუცილებელ შეტაკების მომენტისათვის. მავნებლობის შედეგები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღმოფხვრილი. ეს შედეგები უნდა მოვსპოთ. ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიბოთ ტრანსპორტის სრული გაჯანსაღებისათვის. ჩვენს წინაშე ამოცანად სდგას წინ წავწიოთ ტრანსპორტი და ის ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ჩამორჩენილ დარგიდან გადავაქციოთ სოციალიზმის მოწინავე დარგად.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 97.

პარტიაში მიღების შედეგები 1931 წლის პირველ კვარტალში

(საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 1931 წლის 26 აპრილის დადგენილება)

ც.კ.-ი აღნიშნავს, რომ პარტიაში ახალ წევრთა მიღების ტემპები მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, 1930 წლის პირველ და მეოთხე კვარტალთან შედარებით, მოგვცა ზრდა, სათანადოდ, 5,6 და 5,0 პროცენტიდან 10,9 პროცენტამდე. ამის შედეგად მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს პარტორგანიზაციების რიგებს შემატა ახალი შევსების 4.000 კანდიდატი, ნაცვლად 1.945 და 1.803 კანდიდატისა 1930 წლის პირველსა და მეოთხე კვარტალში.

პარტიაში მიღებულ ქარხანა-ფაბრიკებისა და ტრანსპორტის მუშების ხარისხობრივ შემადგენლობაში მომხდარ გარკვეულ გაუმჯობესებასთან ერთად (სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ხვედრითი წონის ზრდა 66,8 პრ-დან 81,9 პროცენტამდე დამკვრელების — 63,5-დან 80,3 პროცენტამდე, იმათი, ვისაც აქვს 5 წელიწადზე მეტის საწარმოო სტაჟი, — 47,8-დან 51,6 პროცენტამდე, საზოგადოებრივი დატვირთვის მქონეთა — 58,4-დან 71,0 პროცენტამდე, ქალების — 8,7-დან 11,6 პროცენტამდე), ც.კ.-ი აღნიშნავს, რომ პარტიაში მუშების მიღების საგრძნობლად გაუმჯობესებულმა ტემპმა პირველ კვარტალში მაინც ვერ გადააჭარბა პარტიაში კოლმეურნეთა მეტად გაძლიერებულ მიღებას.

ამის შედეგად ღრმა ჩამორჩენას აქვს ადგილი ბრძოლაში „ცენტრალური კომიტეტის იმ არა ერთი დირექტივის მთლიანად შესრულებისათვის, რომელიც შეეხება პარტიაში წარმოების მუშების 50 პროცენტამდე აყვანას მიმდინარე წლის პირველი კვარტალის განმავლობაში. მუშების ხვედრითი წონა, მათი ხელობის მიხედვით, პარტიაში მიღებულთა შორის პირველ კვარტალში უდრიდა მხოლოდ 64,3 პროცენტს. მაშინ, როდესაც ც.კ.-ის სათანადო დადგენილებით 80 პროცენტი იყო დაწესებული. გარდა ამისა, მიუხედავად აბსოლუტური ზრდისა, შემცირდა მიღებულ მუშათა შორის ფაბრიკა-ქარხნებისა და ტრანსპორტის მუშების ხვედრითი წონა 74,9-დან 74 პროცენტამდე და სასოფლო-სამეურნეო მუშების — 10,3-დან 9,7 პროცენტამდე, რამაც მიღებულთა საერთო შემადგენლობაში გამოიწვია საერთოდ შემცირება 51,3-დან 45,3 პროცენტამდე და 7-დან 6,2 პროცენტამდე.

ც.კ.-ი ადასტურებს პარტიაში კოლმეურნეთა მიღების მეტისმეტად გაზრდილ ტემპს (5,8-დან 16,9 პროცენტამდე) სოფლის ორგანიზაციების ხაზით, რომელთა რიგებშიაც მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შევიდა 1.200 გლეხზე მეტი, რომელთა უმრავლესობაც საერთოდ კოლმეურნეთაგან შესდგება, მაშინ, როდესაც 1930 წლის მეოთხე კვარტალში პარტიაში შესულ გლეხთა რიცხვი 393-ს უდრიდა. პარტიაში კოლმეურნეთა მიღების ამ მეტად მაღალმა ტემპებმა, როცა მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა (ამბროლაურის, გარე-კახეთის, მარტვილის, ონის, ჩოხატაურის და ვ.) უხეშად დაარღვიეს ც.კ.-ის დადგენილებით დაწესებული სათანადო სავალდებულო პროლეტარული ფენის დაცვა პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში, კოლმეურნეთა ჩაბმის ტემპთან შედარებით, პარტიაში მუშების, სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების მიღების სრულიად არადამაკმაყოფილებელმა ტემპმა ყველა ორგანიზაციებში, განსაკუთრებით, თბილისის საქალაქო ორგანიზაციაში რასაც შედეგად მოჰყვა პარტიაში მუშების მიღების ტემპის შემცირება, 1930 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 9,3-დან 5,7 პროცენტამდე, მიგვიყვანა წარმოების მუშების, სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების ხვედრითი წონის მკვეთრ შემცირებამდე პარტიაში მიღებულთა შორის პირველ კვარტალში, 1930 წლის პირველ და მეოთხე კვარტალთან შედარებით, 90 და 68,4 პროცენტიდან 64,3 პროცენტამდე.

პარტიაში წარმოების მუშების, სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების მიღების პროცენტი, მათი ხელობის მიხედვით, მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს: თბილისის ორგანიზაციაში — არა ნაკლებ 95 პროცენტისა, აფხაზეთის, აჭარისტანის, ბორჯომის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, ჭიათურის ორგანიზაციებში — 85 პროცენტს, გორის, ზესტაფონის, მცხეთის, სიღნაღის, სტალინისის, ტყიბულის ორგანიზაციებში — 80 პროც-ს, ალბულაღ-მანგლისის, ახალციხის, ახალქალაქის, გარე-კახეთის, გურჯაანის, ზუგდიდის, კასპის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, სენაკის, თელავის, ხონის, ხარაგოულის — 70 პროც-ს, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, ყარაიის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის—60 პროც-ს, ამბროლაურის აბაშის, ყვარელის, ლიუქსემბურგის, მარტვილის, ონის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს — 50 პროც-ს, ადიგენის ბაღდათის, ბოგდანოვკის, ვანის, დუშეთის, ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის, ტოლაშის, ხევის, ხობის, წალკის, ჩხარის, ერწო-თიანეთისა და სამხრეთ-ოსეთის — 40 პროცენტს.

დაევალოთ ყველა პარტორგანიზაციებს— ც. კ-ის მიმდინარე წლის 2 აპრილის სათანადო დადგენილების საფუძველზე, პარტიაში წევრების მისაღებად გაშალონ მუშაობის ისეთი ტემპები, რომლების მეოხებითაც გადაჭარბებით იქნება დაფარული მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ჩამორჩენა ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლების ხაზით, კერძოდ, წინადადება მიეცეს კომკავშირის ც. კ-ს — შეასრულოს ც. კ-ის მიმდინარე წლის 2 აპრილის დადგენილება იმ ღონისძიებათა სისტემის განხორციელების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას პარტიაში მოწინავე დამკვრელი კომკავშირელების მიღების ტემპის გადაჭრით გაძლიერება. ამასთან საჭიროა განმტკიცებულ - შენარჩუნებულ იქნას მიმდინარე წლის პირველი კვარტალის განმავლობაში პარტიაში ქალების მიღების მიღწეული ტემპი, რითაც პირველად იქნა უზრუნველყოფილი ქალთათვის 13,7 პროცენტი მიღებულთა შემადგენლობაში. გარდა ამისა, დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს — განაგრძონ პარტიაში მოსამსახურეთა მიღების მაქსიმალური შეზღუდვა, რითაც უკვე პირველ კვარტალში უზრუნველყოფილ იქნა მათი ხვედრითი წონის შემცირება მიღებულთა შორის 9,7-დან 4,6 პროცენტამდე. განსაკუთრებით დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარისტანის სოლქო კომიტეტებს—ც. კ-ის მიმდინარე წლის 2 აპრილის დადგენილების საფუძველზე გააძლიერონ პარტიაში აფხაზებისა და აჭარლების მიღება, რომელთა ზრდაც მიღებულთა შორის პირველი კვარტალის განმავლობაში უდრიდა მხოლოდ 2,8 პროცენტს (9,4 პროცენტიდან) აფხაზეთში და 6,1 პროცენტს (22,9 პროცენტიდან) აჭარისტანში.

დაევალოთ ც. კ-ის კულტპროპს, და ყველა ორგანიზაციებს — უზრუნველჰყონ შესრულება ც. კ-ის სათანადო დადგენილებებისა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ პარტიაში ახლად მიღებულთა შორის კერძოდ, დაევალოს ც. კ-ის კულტპროპს, რომ მან ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეს. გარდა ამისა, დაევალოს ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას — შეასრულოს ც. კ-ის მიმდინარე წლის 2 აპრილის სათანადო დადგენილება სისტემატიური მეთვალყურეობის გაწევის შესახებ ადგილობრივი პარტორგანიზაციების მუშაობისათვის მათი ზრდის მოწესრიგების ხაზით, ისე, რომ დროზე შენიშნოს და აღკვეთოს ჩამორჩენა, რომელიც თავს იჩენს ამ დარგში.

ურყევად გავატაროთ ცეკას დადგენილება

პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების გაძლიერებასა და სოციალისტური მშენებლობის გაფართოებასთან ერთად, იზრდება მშრომელთა ფართო მასების აქტივობა, ძლიერდება პარტიაც მუშათა და კოლმეურნეთა ახალი ათასებით.

1931 წლის პირველ კვარტალში საქართველოს კომპარტიის რიგებში მიღებულ იქნა 4.056 კაცი, მაშინ, როდესაც მთელი 1930 წლის განმავლობაში მიღებული იყო 6.626 კაცი, იმავე წლის პირველ კვარტალში — 1.945 კ., ხოლო მეოთხე კვარტალში—1.803 კ. ცხადია, რომ პირველ კვარტალში, ლენინურ გაწვევასთან დაკავშირებით, ხდება პარტიის განსაკუთრებული ზრდა, მაგრამ ამ წლის პირველ კვარტალში პარტიაში მიღებულ იქნა ორ ნახევარჯერ მეტი წევრი, ვიდრე წარსული წლის იმავე პერიოდში, და ნახევარზე მეტი (61,2 პროც.), ვიდრე მთელი 1930 წლის განმავლობაში.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ზრდა, ბრძოლა სამრეწველო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისათვის, ბრძოლა ტექნიკის დაუფლებისათვის და, ბოლოს, პარტიის ზრდა,—აი იმის ყველაზე ნათელი მაჩვენებლები, თუ როგორ უფრო და უფრო იზრდება მუშათა კლასის აქტივობა. პარტიაში მიღებულ ფაბრიკა-ქარხნებისა და ტრანსპორტის მუშებს შორის თვალსაჩინოდ გაიზარდა, 1930 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, სოცშეჯიბრების მონაწილეთა ხვედრითი წონა — 66,8 პროც-დან 81,9 პროც-მდე; დამკვრელობის — 63,5 პროც-დან 80,30 პროც-მდე; 5 წელზე მეტის საწარმოო სტაჟის მქონეთა 47,8 პროც-დან 51,6 პროც-მდე, ქალების — 8,7 პროც-დან 11,6 პროც-მდე. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ პარტიაში შედის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გაძლიერდა პარტიაში მუშების შესვლის ტემპი, მუშების ხვედრითმა წონამ პირველ კვარტალში მიღებულთა შემადგენლობაში ძალიან დაიწია.

ასე, თუ 1930 წლის 1-ლ კვარტალში მიღებულ იქნა პარტიაში 1.750 მუშა—პარტიაში მიღებულთა მთელი შემადგენლობის 90,0 პროც., ხოლო მეოთხე კვარტალში 1234 მუშა, ანუ 68,4 პროც.—1931 წლის 1-ლ კვარტალში მიღებულ იქნა 2.608 მუშა, მაგრამ სამაგიეროდ მათმა ხვედრითმა წონამ პარტიაში მიღებულთა საერთო შემადგენლობაში დაიწია 64,3 პროც-მდე.

მუშების ხვედრითი წონის ასეთი დაცემა მიღებულთა შემადგენლობაში საფრთხეს უქმნის ც. კ-ის დირექტივის შესრულებას იმის შესახებ, რომ 1931 წლის დამლევისათვის წარმოების მუშების პროცენტი აყვანილ იქნას 50-მდე.

საქართველოს პარტორგანიზაციამ პირველ კვარტალში ვერ შეასრულა საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება მიღებულთა შემადგენლობაში მუშების არა ნაკლებ 80 პროც-ის უზრუნველყოფის შესახებ.

ამასთან მთელმა რიგმა სოფლის რაიონულმა ორგანიზაციებმა უხეშად დაარღვიეს ც. კ-ის დირექტივა მიღებულთა შემადგენლობაში პროლეტარული ელემენტების 40 პროც-ზე არა ნაკლების უზრუნველყოფის შესახებ. ასე, მაგალითად, ქვემო სვანეთის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხარის და ჩხოროწყუს რაიონებმა პირველ კვარტალში არ მიიღეს არც ერთი მუშა, სას-სამეურნეო მუშა ან მოჯამაგირე, ხოლო ლიუქსემბურგის, მარტვილის, ონის, წალკის და სხვა რაიონებში მიღებულ მუშების, სას-სამ. მუშებისა და მოჯამაგირეების ხვედრითი წონა შეადგენს სულ 10-8 პროცენტს.

პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში უდიდეს ზრდას იძლევიან გლეხები. 1930 წლის პირველ კვარტალში გლეხი მიღებულ იქნა 14 კაცი — მიღებულთა საერთო რიცხვის 0,7 პროც., მეოთხე კვარტალში—393 კაცი, ე. ი. 21,9 პროც.; ხოლო 1931 წლის პირველ კვარტალში მიღებულ იქნა 1.263 კაცი—ამ კვარტალში პარტიაში მიღებულთა საერთო რიცხვის 31,1 პროც. მიღებულ გლეხთა უმრავლესობას (87,8 პროც.) კოლმეურნეები შეადგენენ. პარტიაში კოლმეურნეების შესვლის ამ მეტად დიდ ტემპს, მაშინ, როდესაც არა საკმაო ტემპით (კოლმეურნეთა მიღების ტემპის თვალსაზრისით) მიმდინარეობს პარტიაში მუშების მიღება მთელი რიგი პარტორგანიზაციების და, პირველ რიგში, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხაზით, „რომელიც, 1930 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, იძლევა პარტიაში მუშების მიღების ტემპის შემცირებას 9,3-დან 5,7 პროცენტამდე",—შედეგად მოჰყვა მუშების ხვედრითი წონის ზემოდ აღნიშნული მკვეთრი შემცირება 1931 წლის პირველ კვარტალში მიღებულთა შემადგენლობაში.

საქართველოს პარტორგანიზაციებმა მეორე კვარტალის განმავლობაში „პარტიაში წევრების მისაღებად უნდა გაშალონ მუშაობის ისეთი ტემპები, რომლებიც შეავსებენ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მთელ დანაკლისს ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლების ხაზით". ამასთან დაკავშირებით, საჭიროა, რომ საქართველოს ყველა პარტორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ დაამუშაონ და განახორციელონ ისეთ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიმდინარე წლის 26 აპრილის დადგენილების შესრულებას, რომელიც დღეს ქვეყნდება. კერძოდ, გადაჭრით უზრუნველყოფილ უნდა იქნას მიღებულთა შემადგენლობაში ამ დადგენილებით ყველა ცალკე ორგანიზაციებისათვის დაწესებული პროლეტარული ფენის სავალდებულო პროცენტი.

როგორც დადებითი მოვლენა 1931 წლის პირველ კვარტალში პარტიაში წევრთა მიღების საქმეში უნდა აღინიშნოს ქალების ხვედრითი წონის ზრდა 10,1-დან 13,7 პროცენტამდე. ც. კ-ის დირექტივის ის ნაწილი, რომელიც შეეხება პარტიაში ქალების მიღებას, შესრულებულია; საჭიროა შემდეგშიაც არ იქნას დაშვებული პარტიაში ქალების მიღების ტემპის შემცირება.

მოსამსახურეთა და ყველა დანარჩენთა ხვედრითი წონა მიღებულთა შემადგენლობაში ძალიან შემცირდა 9,7-დან 4,6 პროცენტამდე, ამავე დროს თვალსაჩინოდ გაიზარდა პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში ინჟენრების, ტეხნიკოსების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების და მასწავლებლების ხვედრითი წონა — 24.6-დან 31,5 პროცენტამდე. საჭიროა, შემდეგშიც გაგრძელდეს, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიმდინარე წლის 2 აპრილის დადგენილების საფუძველზე, პარტიაში მოსამსახურეების მიღების მაქსიმალური შეზღუდვა.

ა.-ლ. კომკავშირის წევრთა მიღება, მე-4 კვარტალთან შედარებით, კვლავ იძლევა ერთგვარ შემცირებას—37,1-დან 35,0 პროცენტამდე. პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გააძლიერონ პარტიაში კომკავშირელების, განსაკუთრებით კომკავშირელ მუშა-დამკვრელების მიღების ტემპი.

საქართველოს პარტორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გადაჭრნეს სათანადოდ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის. საჭიროა უმოკლეს ვადაში გავაცხოველოთ ეს მუშაობა, რომელიც ამჟამად ჩამორჩება პარტიის ზრდის ტემპებს, და უზრუნველყოფილ იქნას პარტიის ახალი შევსების კანდიდატთა თავის დროზე და თანმიმდევრობით ჩაბმა პარტსწავლებაში.

1931 წლის პირველმა კვარტალმა, რომელშიაც პარტიის ზრდის მოწესრიგება ძირითადად რაიონულ პარტორგანიზაციებს გადაეცათ, გვიჩვენა, რომ მთელმა რიგმა პარტორგანიზაციებმა არა საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს ეს მუშაობა და დაუშვეს ც. კ-ის იმ დირექტივების უხეში დარღვევა, რომლებიც პარტიის ზრდის მოწესრიგებას შეეხებიან; ამას მოჰყვა მუშების ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირება საქ. კომპარტიაში მიღებულთა მთელ შემადგენლობაში. საქართველოს პარტორგანიზაციების წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მეორე კვარტალის განმავლობაშივე შეავსონ პირველი კვარტალის ხარისხობრივი დანაკლისი.

ამ ამოცანის შესრულება საქართველოს პარტორგანიზაციებს შეუძლიათ; ეს მათ უნდა შესძლონ საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის დღეს გამოქვეყნებული დადგენილების დაუყოვნებლივ საფუძველზე.

ა.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს

თელავის, კასპის და სხვა რაიონებში საჭირო ყურადღება არ ექცევა თესვის გეგმის შესრულებას კერძო სექტორში. — რკ. გზ. ტრანსპორტი აფერხებს მანქანა-იარაღების გადაზიდვას

აღვკვეთოთ ფვითმიმდინარეობაზე დაყრდნობა, გავაძლიეროთ თესვის ტემპები

გაასკეცებული ენერგიით

სისტემატიურმა ცუდმა ამინდებმა საგრძნობლად შეაფერხა მინდვრად მუშაობის წარმატებით გაშლა. გამუდმებული წვიმების გამო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ზოგან ვერ იქნა დაწყებული ხვნა-თესვა.

ამას უნდა მიუმატოთ ის გარემოებაც, რომ მთელ რიგ რაიონებში არა საკმარისი ყურადღება ექცევა თესვის სამუშაოთა დროზე შესრულებას, ადგილი აქვს „ობიექტიური" მიზეზებით ჩამორჩენის გამართლებას და ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობას, რაც გარკვეულ საფრთხეს უმზადებს საგაზაფხულო თესვის დროზე შესრულებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა თესვის გეგმების დროზე შესრულებას კერძო სექტორში. არის მთელი რიგი რაიონები და სოფლები, სადაც ჯერ-ჯერობით კოლმეურნეობათა გარეთ დარჩენილ ღარიბ და საშუალო გლეხების მიწები მოუწყობელია. გლეხებისათვის არ უჩვენებიათ სად დათესონ და რა დათესონ. ამ მდგომარეობას საპროვოკაციოდ იყენებენ კულაკები და ისინი აქეზებენ ღარიბ და საშუალო გლეხებს თესვის წინააღმდეგ. სოფ. კონდოლში (თელავის რაიონი) მიწების მოუწყობლობის გამო ღარიბი და საშუალო გლეხებს 15 აპრილისათვის ხვნა არ ჰქონდათ დაწყებული. კასპის რაიონშიაც სუსტად მიმდინარეობს ხვნა-თესვა კერძო სექტორის ხაზით.

ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მანქანა-იარაღების დროზე მიწოდებას.—სადგურ აბაშაში ყრია ბამბის სათესი მანქანები, რომელიც ადგილობრივ საჭირო არ არის; მებამბეობის რაიონები კი განიცდიან სათესი მანქანების სიმცირეს. რკინის გზის ტრანსპორტი ვერ ასრულებს პარტიის და ხელისუფლების დირექტივებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გადაზიდვის დარგში.

გარდა ამისა, მოისუსტებს მასიური მუშაობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და განსაკუთრებით თესვის ირგვლივ: ყურადღება არ ექცევა ღარიბთა შორის მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო თათბირები და აგრორწმუნებულები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ და სხვ.

ასეთ პირობებში ძნელია ლაპარაკი იმ გეგმის შესრულებაზე, რომელიც თესვის დარგში გვაქვს დასახული. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვიხდება არა ხელსაყრელი კლიმატიური პირობების გამო შევამციროთ თესვის ვადები. ეს მოითხოვს გაათკეცებულ ენერგიას მინდვრად სამუშაოთა დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს: **თესლის დაუყოვნებლივ შეგროვება-გაწმენდას, საქონლის საკვების ადგილობრივ რესურსების მობილიზაციას, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სანარდო მუშაობაზე გადასვლას, ტრაქტორების და მუშა-საქონლის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლას, მიწადჩვენების დამთავრებას და მინდვრად მუშაობისათვის დარაზმულად გასვლას.**

სოფლის საბჭოებმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ და საშუალო გლეხებს თესვის გეგმის შესრულებაში. კოლმეურნეობებმა საბჭოთა მეურნეობებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა თავიანთი მანქანა-იარაღები და ძალები უნდა დარაზმონ ღარიბ და საშუალო გლეხების მინდვრის სამუშაოთა შესრულების საქმეში.

საჭიროა ბოლშევიკური სიმტკიცის და გაათკეცებული ენერგიის გამოჩენა მოცემულ დავალებათა დროზე შესრულებისათვის.

ირ.

ალაზნის არხი 1 მაისს უნდა გაიხსნას

(წნორის-წყალი)

ამჟამად ალაზნის არხზე გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. არხის მშენებლობაში ჩაბმულია 4000 მუშა. არხი ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ამუშავდეს ა-წ. 1-ლ მაისიდან. ამიტომ სიღნაღის რაიონის ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა—მოამარაგონ არხი სათანადო მუშა-ხელით; ჯერ-ჯერობით კი არხი განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას, რაც საფრთხეს უმზადებს არხის მშენებლობის საქმეს.

სიღნაღის რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება 1000 კაცის არხზე სამუშაოდ გაგზავნის შესახებ, მაგრამ მუშახელის შეკრება სუსტად მიმდინარეობს.

კომკავშირს არხზე სამუშაოდ 200 კაცი უნდა გაეგზავნა; კომკავშირის სიღნაღის ორგანიზაციამ წამოაყენა შემხვედრი გეგმა და დაადგინა — მობილიზაციის წესით გაიგზავნოს 300 კომკავშირელი. ამ დადგენილების შესრულებას ხელს არ უწყობენ ზოგიერთი სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობები. მაგალითად, ზემო-მაჩხაანის და ანაგის კოლმეურნეობათა გამგეობებმა უარი განაცხადეს კოლმეურნე კომკავშირელთა არხზე სამუშაოდ გაგზავნაზე.

გარდა ამისა, შემჩნეულია, რომ ზოგიერთი კომკავშირელი გარბის სამუშაოდან. ასე მაგალითად, სამუშაო მიატოვა სოფ. ვაქირის რამოდენიმე კომკავშირელმა. ასეთი „კომკავშირელების" წინააღმდეგ რაიკომის ბიურო ღებულობს სათანადო ზომებს.

არხის დამთავრებამდე დარჩა მხოლოდ დღეები. სიღნაღის რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები დაკვრითი მუშაობას აწარმოებენ არხის ვადამდე დასამთავრებლად.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

თესვის ფრონტიდან

სენაკი, 27 აპრილი. (საკ. კორ.) საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, 1931 წლის პირველ კვარტალში სენაკის რაიონს უნდა მოხმარებოდა 158.785 მან., ფაქტიურად კი გაცემული იქნა სახ. ბანკის კანტორის მიერ მხოლოდ —11.864 მანეთი და ისიც ჩაის თესვისათვის.

მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობაზე უნდა დაიხარჯოს—130.997 მანეთი. საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები სახსრების მთლიანად გამოსაყენებლად.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

გორი, 26 აპრილი. ამჟამად გორის რაიონში ტარდება საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის მიმდინარეობის მასიური შემოწმება. 20 აპრილისათვის რაიონში მოხნული იყო 11650 ჰექტარი, ანუ გეგმის 60 პროც. ხვნა-თესვის გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა განუწყვეტელმა წვიმებმა.

დამხმარე სათესლე ფონდი კოლმეურნეობებში შეგროვილია 100 პროცენტით, ინდივიდუალურ სექტორში კი—87 პროც. მიღებულია ყველა ზომები ფურაჟის ადგილობრივი სახსრების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ლობიოს და ვაშლის კონტრაქტაციის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

კალმახელიძე.

ქუთაისი, 27 აპრილი (საკ. კორ.). 20 აპრილისათვის რაიონში მოხნული იყო: კოლმეურნეობებში — 2799 ჰექ., ინდივიდუალურ სექტორში 6634 ჰექტ., საბჭოთა მეურნეობებში 942 ჰექტ., სულ 10.375 ჰექტ. ანუ საერთო გეგმის — 32,9 პროც.

სხვადასხვა კულტურა კოლმეურნეობებში დათესილია 721 ჰექტარზე, ინდივიდუალურ მეურნეობებში—1151 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობებში—65 ჰექტ.

ხვნა-თესვის საქმეში ძალზე ჩამორჩნენ: [illegible], რიონი, ცხუნკური, გოდოგანი, მუხიანი, საყულია და ქვედა სიმონეთი.

ვ. ლ—ი.

ზემო-მაჩხაანი, 27 აპრილი. საგაზაფხულო თესვის გეგმები ზემო-მაჩხაანის (სიღნაღის რაიონი) სას. საბჭომ თავის დროზე იქნა დაყვანილი კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალ გლეხის კარამდე. თესვის მიმდინარეობის საკითხები მუშავდება საწარმოო თათბირებზე.

20 აპრილისათვის მოხნული იყო 567 ჰექ., გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. დათესილია სხვადასხვა კულტურა (კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ სექტორში) 484 ჰექტარზე. მოხნულია 72 ჰექტ. საბამბე მიწა, თესვა დაიწყო 21 აპრილიდან.

ჩხარტიშვილი.

ჩაქვი, 27 აპრილი. საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ჩაქვში იზრდება ღარიბ - საშუალო გლეხების მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. კოლმეურნეობებში ჩაის გაშენებასთან ერთად დაიწყეს აგრეთვე სოიას და არახისის თესვაც. კოლმეურნეობებში სოიაზე და არახისზე დამთავრდა კონტრაქტაცია. კოლმეურნეობები უკვე გადავიდნენ მუშაობის სანარდო სისტემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებში არ არის ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები, არ არის ჩამოყალიბებული აგრეთვე დამკვრელთა და კომკავშირის უჯრედები, რასაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შესაფერისი ყურადღება უნდა მიაქციონ.

აქ. ხოზუა.

სიღნაღი, 26 აპრილი. (საკ. კორ.). თამბაქოსათვის მიწების დასამუშავებლად სიღნაღის რაიონში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. კოლმეურნეობებში 15 აპრილისათვის მოხნული იყო 339 ჰექტ.

თამბაქოს ნათესების კონტრაქტაციის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 112 პროცენტით. რაიკოლმეურნეობათა კავშირი უკვე შეუდგა თამბაქოს გახმობისათვის ბინების მოწყობას. ამ მიზნით ს. ჯუგანში შენდება 15 თვალიანი ბინა.

ვ. ჯ—ლი.

სამტრედია, 27 აპრილი (საკ. კორ.). სამტრედიის რაიონში დაიწყო მასიური ხვნა. 15 აპრილისათვის რაიონში მოხნული იყო 2656 ჰექტ., აქედან ბამბის დასათესათ მოხნულია 78 ჰექტ.

ხვნის საქმეში **წინ მიდიან:** კულაშის, ეწერის და ბანძირის სას. საბჭოები. **ჩამორჩნენ:** სამტრედიის, აბაშის, გომიჩინებულის, საჯავახოს, ოფეთის და გომის თემები. საჭიროა მუშაობის გაუმჯობესება.

ბრიგადირი.

გურჯაანი, 27 აპრილი. 13 აპრილიდან გურჯაანში გამუდმებული წვიმებია. მინდვრად ყოველგვარი მუშაობა შეჩერდა. ცუდ ამინდებს ვიყენებთ თესლის გარჩევისა და მოსამზადებელი სამუშაოებისათვის.

25 აპრილიდან გამოცხადებულია ბამბის თესვის დამკვრელი ათ დღიური.

ბუჯიაშვილი.

ოზურგეთი, 27 აპრილი (საკ. კორ.). ოზურგეთის რაიონში მინდვრად მასიური ხვნა 15 აპრილიდან დაიწყო. 23 აპრილისათვის რაიონში მოხნული იყო 790,5 ჰექტარი.

ხვნის საქმეში წინ მიდის ნაგომარის კოლმეურნეობა, რომელმაც ექვსი დღის განმავლობაში დაამუშავა — 223 ჰექტარი და მელქედურმა — 80,5 ჰექტ. საგრძნობლად ჩამორჩა ს. შრომის კოლმეურნეობა, რომელმაც დღემდის დაამუშავა მხოლოდ 2 ჰექტარი.

განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს ხვნა ინდივიდუალურ სექტორში. ს. მერის სატრაქტორო ბაზიდან, ხელმძღვანელების დაუდევრობით, ტრაქტორები ჯერ კიდევ არ გასულან მინდვრად სამუშაოდ.

ტ. აცანელი.

თესვას საფრთხე მოელის

(კასპის რაიონი)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა კასპის რაიონში ფაქტიურად 10 მარტიდან დაიწყო. თესვის გეგმების დაყვანა სოფლამდი, კოლმეურნეობამდე და თვითეულ გლეხის კარამდე მხოლოდ 25 მარტისათვის დასრულდა.

რას აკეთებდნენ კასპის რაიონის ორგანიზაციები 10 მარტამდის? კასპის რაიონის ორგანიზაციები, განსაკუთრებით რაიმიწადმოქმედების განყოფილება და თესვის ჩამტარებელი შტაბი, ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე იყვნენ მინდობილი.

რაიონში არ სწარმოებდა ახსნა-განმარტებითი მუშაობა თესვის მნიშვნელობის გასარკვევად, გეგმების დაყვანას პირველ ხანებში უფრო ადმინისტრატიული ხასიათი ჰქონდა, რაც ადგილებზე დიდ გაუგებრობას იწვევდა. სას. საბჭოები დაუშვებელ გულგრილობას იჩენდნენ თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის საქმეში.

თესვის საქმეში ამ მდგომარეობას კასპის პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დაგვიანებით მიაქცია ყურადღება. რაიმიწადმოქმედების განყოფილების გამგე მოხსნილ იქნა თანამდებობიდან, რაიონული თესვის ჩამტარებელი შტაბი კი რაიკომმა დაშლილად გამოაცხადა.

რაიონში სულ არის 8 ტრაქტორი, ამათში 2 ტრაქტორი ძალზე დაზიანებულია. დანარჩენი ტრაქტორები არ მუშაობენ დღე და ღამე, ე. ი. 20 საათის განმავლობაში. არის შემთხვევები, როდესაც საწვავი მასალის უქონლობის გამო, ტრაქტორები გაჩერებული არიან. მაგალითად, ლამის ყანის კომუნის ტრაქტორი საწვავი მასალის უქონლობის გამო რამოდენიმე დღე იყო გაჩერებული.

რაიონში ზოგიერთი კოლმეურნეობები განიცდიან ქერის და კარტოფილის თესლეულის დიდ სიმცირეს. ინდივიდუალურ სექტორის ქერის თესლი მხოლოდ მოთხოვნილების 30 პროცენტი მოეპოვება. მებაღეობის გასაშენებლად მიღებულია სანერგეები, რაც მოთხოვნილების 50 პროცენტს აკმაყოფილებს.

რაიონში ხვნას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ხვნა, განსაკუთრებით ინდივიდუალურ მეურნეობებში, დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგ., 15 აპრილისათვის კოლმეურნეობებში მოხნული იყო 858 ჰექტარი მიწა, ანუ გეგმის 55 პროცენტი; ინდივიდუალურ სექტორში კი მოხნული იყო გეგმის მხოლოდ 37 პროცენტი.

კასპის რაიონში გაზაფხულის თესვის გეგმას თავის დროზე შესრულებას გარკვეული საფრთხე მოელის, თუ მუშაობაში არ იქნა აღებული ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 13 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, სათაურით: „მოვითხოვთ საქმის დაუყონებლივ გამოძიებას". სადაც ავტორი ბრალსა სდებდა მიწსახკომის მცენარეთა დაცვის ბიუროს მიერ თელავის რაიონში მივლინებულ აგრონომს შ. სუპატაშვილს მაში, რომ თითქოს მისი (სუპატაშვილის) დაუდევრობით ს. კურდღელაურის სას. სამ. არტელის 31 ჰექტარა საშემოდგომო ნათესი მთლიანად მოკვდენილია თესლის არა სწორედ შეწამვლის გამო და სხვ.

ამ საქმეზე სპეციალური კომისიის დასკვნით, ბრალდება აგრონომ სუპატაშვილის მიმართ, არ დადასტურდა.

რაიაღმასკომებო და საბჭოებო, გვიჩვენეთ თქვენი მოქნილობა!

სამთვიანი შეკრების უზრუნველყოფით განამტკიცეთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა

ცვალებადელებო, ბოლშევიკური ენტუზიაზმით შეუდექით სამხედრო სწავლებას

ახალწვეულები უკლებლივ და დროზე უნდა გამოცხადდენ

საქ. კომ. პარტ. (ბ) აჭარისტანის, აფხაზეთის, ს. - ოსეთის საოლქო კომიტეტებს, თბილისის კომიტეტს, ყველა რაიპარტკომებს.

ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზია სამი მაისიდან ატარებს დივიზიის ნაწილებზე მიწერილ 1908 წელში დაბადებულ ახალწვეულების სამთვიან შეკრებას.

ამ შეკრების უზრუნველსაყოფად ც. კ. წინადადებას გაძლევთ:

1. დაუყოვნებლივ გაშალეთ მუშაობა საწარმოებში, კოლმეურნეობებში და სოფლებში, სამთვიან შეკრების ამოცანების ირგვლივ. ეს მუშაობა უნდა დაუკავშიროთ თავდაცვის განმტკიცების ამოცანებს იმპერიალისტურ ინტერვენტების მზადების საპასუხოთ.

2. ახალწვეულების მთლიანი გამოცხადების უზრუნველსაყოფად — გაშალეთ ფართო მუშაობა საბჭოების, კომკავშირლების და ადმინისტრატიულ ორგანოების გამოყენებით. **„არც ერთი ახალწვეულის დაგვიანება სამთვიან შეკრებაზე".**

გადამჭრელი ზომები მიიღეთ **თავარიდებულთა წინააღმდეგ.**

3. საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ დაკმაყოფილება შეკრებაზე მიმავალ ახალწვეულების ორი კვირის გამოსასვლელი ხელფასით და მუშაობის ადგილის შენარჩუნებით. ახალწვეულთა ოჯახების მთლიანად უზრუნველსაყოფათ სოც. დაზღვევის ორგანოები ეხლავე შეუდგენ შეღავათის მქონე ოჯახების გამორკვევას, რომ 1-ლ მაისიდან მოგვარებული იქნას მათზე სისტემატიური ყოველდღიური დახმარება.

რაიკომებმა უზრუნველყონ კოლმეურნე - ახალწვეულების სამთვიან შეკრებაზე გამგზავრება — ერთდროული დახმარებით და კოლმეურნეებში დარჩენილი ოჯახები თვიურ საშუალო ხელფასით, არ უნდა იქნას შესუსტებული ინდივიდუალურ მეურნე ახალწვეულთა ოჯახებზე დახმარების გაწევა (მოხვნა, გათოხნა და სხვა).

4. ამ მუშაობის ჩასატარებლად და საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციისათვის ფართოთ გამოიყენეთ ადგილობრივი კომკავშირის, პროფკავშირისა ავიაქიმის და სხვა ორგანიზაციები.

5. ახალწვეულთა გამგზავრების წინ მოაწყვეთ მათი შეხვედრა საბჭოების და აღმასკომების თავმჯდომარეებთან და რაიკომების მდივნებთან (საუბარი ყოველდღიური მუშაობის და განწყობილების საკითხებზე), საზეიმო გამოცილების დროს ფართოდ გაატარეთ ახალწვეულებისათვის „ნაკაზების" მიცემა (ამდენი და ამდენი კარგი მსროლელი, იარაღის კარგად შესწავლა, დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა, პოლიტიკური და ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია სამთვიან მზადების შიგნით), სოციალისტური შეჯიბრების დადება კ. კ. უჯრედებსა, კოლმეურნეებსა, თავდაცვა - ავიაქიმის სამხედრო წრეებსა და შეკრებაზე მიმავალ ახალწვეულებს შორის და სხვ.

ამ მუშაობის ჩატარების დროს ფართოდ იქნას გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

10 მაისისათვის ც. კ.-ში წარმოადგინეთ სპეციალური მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

ც. კ. მდივანი: **დევდარიანი.**

ბოლშევიკურად ჩაატარეთ ახალწვეულთა შეკრება

3 მაისიდან შეიკრიბებიან ბანაკში 3 თვით 1908 წელს დაბადებულნი ახალწვეულნი, რომელნიც მიწერილნი არიან ფრუნზეს სახელობის მე-2 დივიზიაზე.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრატიულმა ორგანოებმა პირველ ყოვლისა უნდა უზრუნველჰყონ თავის დროზე გამოცხადება შესაკრებ პუნქტებზე რაიონებში. სოფლის საბჭოებმა და რაიაღმასკომებმა სავსებით უნდა აღმოფხვრან თვითდინარეობის წინანდელი პრაქტიკა. ყოველმა მათგანმა უნდა იცოდეს, რომ პროვოკაციული ხმების გავრცელება კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების მხრით მიზნად ისახავს მერყევი ელემენტების მიმხრობას, შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადების ჩაშლას და სხვ.

საჭიროა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, საჭიროა თვითონ სოფლის საბჭოებმა შეაგროვონ თავიანთი რაიონის ახალწვეულები, მწყობრად მიიყვანონ ისინი შესაკრებ პუნქტებზე და შექმნან საზოგადოებრივი აზრი იმ ცალკე პირთა გასაკიცხავად, რომლებიც ცდილობენ თავი აარიდონ გამოცხადებას. მუშაობა უკლებლივ გამოცხადებისათვის უნდა გაჩაღდეს სოცშეჯ. და დამკვრელობის გაშლით სოფლის საბჭოებსა, რაიონებსა და ცალკე სოფლებს შორის. საჭიროა, რომ კომკავშირმა, პროფორგანიზაციებმა, თავდაცვა-ავიაქიმმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრონ გამოცხადებას და ის წევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან, კომკავშირმა და თავდაცვა-ავიაქიმმა დაუყოვნებლივ უნდა გამორიცხონ თავიანთი რიგებიდან, როგორც ოპორტუნისტები, რომლებიც ასუსტებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარს.

ჩვენთან შეკრებაზე მოდიან თითქმის ყველა მესამე, მეორე და პირველი კატეგორიის შეღავათის მქონენი, რომელთაც 1-3 და მეტი სული ჰყავთ სარჩენი და ამავე დროს მათ ოჯახში სხვა შრომისუნარიანი წევრი არ არის. კანონები და დებულებანი ამ საკითხის შესახებ საკმაოდ არის გამოცემული. ამ დღეებში გამოვა კიდევ ამიერკავკასიის ცაკის კანონი, რომელიც ადიდებს ოჯახების დახმარების ნორმებს.

საქართველოს ფინსახკომმა, აღმასკომებმა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებმა დაუყოვნებლივ უნდა გადასდონ საჭირო რაოდენობის სახსრები და შეკრების პირველ დღიდანვე მოაგვარონ დახმარების მიცემა ოჯახებისათვის.

კოლმეურნეობებში შეკრებაზე წამსვლელ კოლმეურნეს ოჯახისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას საშუალო თვიური შემოსავალი სანარდო მუშაობის აუცილებლად არსებობის დროს.

კოლმეურნეობათა ცენტრმა უახლოეს დღეებშივე უნდა დაადასტუროს გასულ წელს დახმარების დარგში აღებული ხაზი მისი უფრო მეტი კონკრეტიზაციის მხრით, ადგილობრივმა რაიკოლმეურნკავშირებმა და თვით კოლმეურნეობათა გამგეობებმა კი **უსათუოდ** უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნის ოჯახი დახმარების მხრით.

საბჭოებმა, პარტკომებმა, უჯრედებმა და კოოპერატივებმა, ფულადი დახმარების ორგანიზაციის გარდა, გაწვეულ კოლმეურნეთა ოჯახები პირველ რიგში უნდა უზრუნველჰყონ დეფიციტიური საქონლით, სიმინდით და სხვა საქონლით. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს იმ ინდივიდუალურ მეურნეთა ოჯახები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან კოლმეურნეობებში. მათი მიწების საზოგადოებრივი წესით დახვნის და დახმარების ორგანიზაცია როგორც კომკავშირის და სოფლის აქტივის მხრით, ისე კოლმეურნეობების მხრითაც, ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებისაკენ სწრაფვას და ნაკლები საზრუნავი ექნება ბანაკში მყოფ მებრძოლს, რომელიც შესძლებს მთელი ენერგია მოახმაროს საბრძოლო მეცადინეობას.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ დღეები ბანაკში წასვლის წინ უნდა გამოიყენონ ახალწვეულთა პრეტენზიების გამოსარკვევად, საჭიროა მათ შორის საუბრების და დაკითხვის ჩატარება, შემდეგ კი ისინი უნდა აღვჭურვოთ ენტუზიაზმით მთელი საბანაკო პერიოდისათვის. ფართოდ უნდა იქნას შემოღებული პრაქტიკაში „ნაკაზის" მიცემა ახალწვეულისათვის—გახდეს საუკეთესო მსროლელი, ერთხელაც არ დაარღვიოს დისციპლინა, ლიკვიდაცია უყოს თავის პოლიტიკურ და ტექნიკურ უცოდინარობას, მოამზადოს თავისი სოფლის სასროლო წრის ხელმძღვანელად და სხვ.

საჭიროა, რომ ახალწვეულთა ჯგუფებმა დასდონ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებანი კოლმეურნეობებთან, ადგილობრივ დარჩენილ უფროსი ასაკის ცვალებადელებთან, თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო ცოდნის წრეებთან და სხვ. ეს ხელშეკრულებანი, ერთი მხრით, უნდა ითვალისწინებდნენ ახალწვეულთა ვალდებულებების შესრულებას და, მეორე მხრით, მუშაობის გეგმების შესრულებას (თესვა, სწავლა, გასამხედროება, თავდაცვის ჰექტარის დათესვა და მოვლა და სხვ.).

მთელ ამ მუშაობაში განსაკუთრებული ენერგია უნდა გამოიჩინონ კომკავშირმა, თავდაცვა-ავიაქიმმა და სოფკავშირებმა და ეს შეკრება უნდა გამოიყენონ ყველა მშრომელთა ყურადღების და ღონისძიებათა მობილიზაციის კიდევ უფრო გასაძლიერებლად თავდაცვის და მშრომელთა სამხედრო მომზადების გამოცოცხლების საკითხების გარშემო და სამეურნეო გეგმების შესასრულებლად.

მხოლოდ ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების და ჩვენი დივიზიის ნაწილების საერთო ძალღონით შევძლებთ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახულია 1908 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის 3 თვის შეკრების წინაშე.

მხოლოდ ამ ღონისძიებებით მივაღწევთ საუკეთესო მაჩვენებლებს საბრძოლო სწავლებაში და სამი თვის შემდეგ ქალაქსა და სოფელს დავუბრუნებთ სამხედრო და პოლიტიკური მხრით მომზადებულ ახალწვეულებს, რომლებიც შესძლებენ პირველ ღაძახებისთანავე დაიცვან სოციალიზმი და იქნან მოწინავე ფრონტელები, აქტივისტები ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში.

ხ. ბუაჩიძე.

დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი



დ. კლდიაშვილის გარდაცვალებით ქართულ ლიტერატურას გამოაკლდა მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსული თაობის უდიდესი წარმომადგენელი.

დ. კლდიაშვილი ქართულ ლიტერატურაში შევიდა, როგორც აზნაურობის დაცემული ცხოვრების, შერყეული ეკონომიური მდგომარეობის გამომხატველი.

დ. კლდიაშვილს ჰქონდა თავისი ჟანრი, რომელშიაც ჯერ-ჯერობით მას არ ჰყავს მოქიშპე ჩვენს ლიტერატურაში. მან მოგვცა დასრულებული სურათი წვრილი აზნაურობის ცხოვრებისა ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ.

დ. კლდიაშვილის შემოქმედების სოციალურ საფუძველს სწორედ წვრილი, გაღატაკებული აზნაურობა წარმოადგენს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სავაჭრო და საწარმოო კაპიტალი მტკიცედ იკიდებს ფეხს. არსდება ფაბრიკა-ქარხნები, ფართოვდება ბაზარი და ეკონომიური ურთიერთობა. ნავთის წარმოება, მარგანეცის დამუშავება, ტყიბულის ქვა-ნახშირი და მათი ექსპორტი, რკინის გზის გაყვანა და სხვ. უდიდეს გარდატეხას ახდენს საქართველოს ცხოვრებაში.

კაპიტალისტურ ფორმის ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად წარმოიშვა ჩვენში ბურჟუაზია და მუშათა კლასი.

კაპიტალისტური ელემენტები უყურადღებოთ არ ტოვებენ სოფელს, ისინი სოფლის მეურნეობაშიაც იჭრებიან.

ამ ღროისათვის თავად-აზნაურობის ეკონომიური მდგომარეობა მეტად შერყეული იყო. თავად-აზნაურობა, რომელიც არ იყო მიჩვეული საქმიანობას, თავისი ადგილ-მამულის ხარჯზე სცხოვრობდა. თავისი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იგი იძულებული იყო გაეყიდა ადგილ-მამული. ამ პროცესს სისტემატიური და ფართო ხასიათი ჰქონდა. თავად-აზნაურობას თანდათან ხელიდან ეცლებოდა მამულები და იგი ჩარჩ-ვაჭრების მფლობელობაში გადადიოდა. თავად-აზნაურობის მატერიალური საფუძველი ძლიერ ირყევა.

მაშინდელი მთავრობა ყოველნაირად ზრუნავდა, ხელს უწყობდა და იცავდა თავად-აზნაურობას, როგორც მემამულეს, მაგრამ მას მაინც არაფერი ეშველა, თავად-აზნაურობის ხელში მამულები შეიქნა ფულის შემოსავლის, გაცვლა-გამოცვლის საშუალება.

მთავრობამ თავად-აზნაურობისათვის დაარსა ე. წ. „პრიკაზი"—ბანკი, რომელშიაც მათ შეეძლოთ დაეგირავებინათ მამულები.

„პრიკაზებმა" ვერ შეაჩერა თავად-აზნაურობის ეკონომიური კრიზისი. პირიქით, ხელი შეუწყო მისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

დ. კლდიაშვილი გვიხატავს აზნაურობის ცხოვრებას ეკონომიურ საფუძვლის გამოცვლის, გაღატაკებისა და დაცემის შემდეგ.

დ. კლდიაშვილის შემოქმედება იქმნებოდა აზნაურულ ყოფის და იდეოლოგიის საფუძველზე. ამ წრემ მისცა მას მასალები შემოქმედებისათვის. აზნაურულ ყოფის გავლენა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე არსებითი და ძირითადი იყო, როგორც სწერს მისი ბიოგრაფი: „მწერალმა უკვე ბავშობიდანვე შეისრუტა თავის არსებაში ის ჰაერი, რომლითაც სუნთქავდენ მომავალში მისი მოთხრობების გმირები და გულმა უკვე მაშინვე იგრძნო ყველაფერი ის, რაც შემდეგ უფრო ნათლად დაინახა თვალმა". მწერალმა შემდეგში უფრო განაზოგადოვა, აიყვანა მხატვრულ კატეგორიამდე ის, რაც დაინახა.

აზნაურობის ცხოვრებას დ. კლდიაშვილი გვიხატავს უმთავრესად შემდეგ მოთხრობებში და პიესებში: „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „როსტომ ჩხეიძე", „ქამუშაძის გაჭირვება", „ირინეს ბედნიერება", და „დარისპანის გასაჭირი". სხვა ხასიათისაა მისი მოთხრობა „შერისხვა" და „მრევლში".

დ. კლდიაშვილის მიერ მოცემული აზნაურები ყველა ერთ მდგომარეობაში იმყოფებიან. აქედან ხასიათის ერთნაირობა, მათი საგვარეულო ნიშანი; მათი არსებობის უბადრუკობა და ფსიქოლოგიური სიღატაკე. მათი უბადრუკობა მოჩანს მათივე მდგომარეობაში და მოქმედებაში, თვითონ ისინი ხშირად ვერ გრძნობენ ამ მდგომარეობას. მათ კურიოზულობას და კომიკურ მდგომარეობას აძლიერებს მათივე მოქმედება.

დ. კლდიაშვილი თავის ცალკეულ მოთხრობებში იძლეოდა ამა თუ იმ ტიპის განსაზღვრულ თვისებებს, რომელიც ჰარმონიულად შეხამებული იყო მის როლთან ცხოვრებაში.

დ. კლდიაშვილი თავის პორტრეტებს იძლეოდა არა მარტო, როგორც ცალკეულ მოვლენას, არამედ, როგორც დამახასიათებელს მთელი აზნაურობის ყოფისათვის.

ნიადაგ გამოცლილი სოლომონ მორბელაძე (მოთხრ. „სოლომონ მორბელაძე") მეჭანკლობას იწყებს. მას სხვა გზა აღარ დარჩენია. მეჭანკლობაში კი დიდი უნარი, გამოცდილება აქვს, თუმცა თვითონაც ხედავს, რომ „ამ უკანასკნელ ხანებში, ამ ხელობის შემოსავალმა მეტათ იკლო", მაგრამ რა ჰქნას? მიწაზე მუშაობა ეთაკილება, არ შეჰფერის როგორც აზნაურს.

დიდი შრომისა და სიარულის შემდეგ სოლომონმა მოარიგა ერთი საქმე. იგი ამ საქმიდან ელის ექვს თუმანს, რომლითაც უნდა გაისტუმროს მევალი. მაგრამ ის მოატყუეს. ექვსი თუმნის მაგიერ „აპილპილებულმა, ჯავრისაგან ჭკუა დაკარგულმა მაშვრალმა 6 მან. და 40 კაპ. მიიღო გულკეთილმა მასპინძელმა ხარის ტყავი და მწარად მოხარშული ხორციც გააყოლა".

შეწუხებული, მოტყუებული სოლომონი სახლისაკენ მიეშურება თავის განუყრელ ჯორთან ერთად. დასევდიანებულია, გაახსენდა ცოლი, რომელსაც წითელ თუმნიანებს ჰპირდებოდა, გაახსენდა მევალე და იხვერით წარმოსთქვა: „დასწყევლმა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უმაღლო გაძაღლებული ცხოვრება! რით გამოგვაქვს თავი, მეტი გზა რომ არა აქვთ? ტყუილი, ტყუილი და ტყუილი. რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წვალებიდან? მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კიდევ კარზე მომადგება".

დ. კლდიაშვილის ნაწერები უმთავრესად ეკუთვნის კომიკურის ჟანრის ფორმას—ჰიუმორს.

ჰიუმორი, როგორც ფორმა კომიკურისა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს კომიკურის და სერიოზულის ურთიერთ მტკიცე კავშირს. სერიოზული მხოლოდ მაშინ მოქმედებს ჰიუმორისტულად, როდესაც იგი იქცევა კომიკურ მოძრაობათა და მოქმედებათა საფუძველზე.

ასეთ გადასვლებს ადგილი აქვს კომიკურიდან სერიოზულში განსაკუთრებით მკვეთრად „სოლომონ მორბელაძე"-ში, კომიკურ მოძრაობათა საფუძველზე ამ მოთხრობაში დ. კლდიაშვილი იძლეოდა სერიოზულ ამბავს. სოლომონ მორბელაძის მკვეთრი ჰიუმორისტული სახე, მდგომარეობა—მოთხრობის ფინალში ჰკარგავს კომიკურ უბრალოებას და იგი ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებული ადამიანის ტანჯვების გამომხატველი შეიქმნა.

რომ დ. კლდიაშვილი კომიზმის გზით ანვითარებდა სოლომონ მორბელაძის ცხოვრების მოცემას, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მწერლის თვისებებში, სურვილში ან მიმართულებაში, რომ ყველაფერში დაენახა უარყოფითი, სასაცილო, არამედ იმაში, რომ იგი ცხოვრებას სწორად და დაკვირვებულად უდგებოდა.

ახირებულმა ქვრივმა მოხუცმა, ღარიბმა აზნაურმა ბეკინამ („სამანიშვილის დედინაცვალი"), დიდ გაჭირვებაში შვილი იმით ჩააგდო, რომ მოხუცებულობაში ცოლის შერთვა მოინდომა. შვილი პლატონი ამ ამბავმა იმიტომ შეაშფოთა, რომ არ სურდა ისედაც მცირე მიწა-წყალში მოზიარე გამოჩენოდა. ბეკინამ თავისი არ დაიშალა. პლატონს ბედმა უმტყუნა; დედინაცვალის ისეთ დედინაცვალის ძებნას შეუდგა, რომელიც ორნაქმრევი და უშვილო იყო. მაგრამ პლატონს ბედმა უმტყუნა; დედინაცვალს ვაჟი შეეძინა. ამ ნიადაგზე ჩაიბადა კონფლიქტი შვილსა და მამას შორის.

„სამანიშვილის დედინაცვალში" დ. კლდიაშვილმა გვიჩვენა თუ როგორ წინააღმდეგობებისა და შეჯახების გზით მიმდინარეობდა დაცემული აზნაურობის ცხოვრება, ეკონომიური სივიწროვე ჰბადებდა განხეთქილებას ოჯახში მამასა და შვილს შორის.

„სამანიშვილის დედინაცვალში" გამოყვანილია აგრეთვე ერთი მეტად დამახასიათებელი ფიგურა მაშინდელი ყოფისა აზნაური კირილე მიმინოშვილი. იგი უდარდელი კაცია, მას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. იგი მხოლოდ სიამოვნებას და ქეიფს ეტანება, სერიოზული საქმიანობა მისთვის შეუძლებელია.

დ. კლდიაშვილი თავის მოთხრობებში თუ პიესებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მხატვრულ დეტალებს. ეს დეტალები მეტად დამახასიათებელია. იგი საერთო ფონზე იშლებოდა, როგორც უზარმაზარი სურათი აზნაურობის გადაგვარებისა და დაცემის.

„სამანიშვილის დედინაცვალში" უბრალო დეტალია, როდესაც პლატონი ცხენს კაზმავს, რომ გზას გაუდგეს:

— „აი, ამგვარიდა პატრონი,—მიაძახა პლატონმა მოსართავს ხელი რომ მოჰკიდა, მოიტა, მელანო, ჩხირი იქნება რამე... ეხ, არ ჰქონებია აზნაურს, მოიტა მალე თუ ქალი ხარ".

ან და: პლატონი და არისტო, როდესაც ბრეგვაძეებს ეწვიენ და ვახშმისათვის ქათმის ჭერა რომ შეექნათ მასპინძლებს:

„ეზოდან მოისმა რაღაც ხმაურობა.... აგერ გაირბინა ქათამმაც, მას უკან მისდევდა ძაღლი, დასაჭერად. აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ მორბოდა" და სხვ.

ამ დეტალებში ყველაფერი დამახასიათებელი და ნიშანდობლივია თავის დროინდელი ყოფისათვის.

„ქამუშაძის გაჭირვებაში" დ. კლდიაშვილმა მკაფიოდ და ფართოდ გადმოგვცა აზნაურობის დეგრადაცია ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის—კაპიტალიზმის ზრდის ნიადაგზე. მოთხრობაში ქალაქის ცხოვრება და აზნაურულ-პატრიარქალური წყობილება დაპირისპირებული.

აზნაურმა ოტია ქამუშაძემ ხელი მოჰკიდა მიწის მუშაობას, მაგრამ სოფლის მეურნეობამ ვერ დააკმაყოფილა იგი. ქამუშაძე იძულებულია მიაშუროს ქალაქს, ვინაიდან სოფლად მისთვის წინსვლის გზები უკვე დახშულია. ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე შექმნილი კონფლიქტი კიდევ უფრო აჩქარებს ქამუშაძის გაქცევას სოფლიდან.

ეკონომიურმა პირობებმა შესცვალა ქამუშაძის მსოფლმხედველობა. მისი კონსერვატიული შეხედულება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ძველს ეჭიდებოდა და დამარცხდა; სოციალური ლუნატიზმი, რომლითაც შეპყრობილი იყო დ. კლდიაშვილის აზნაურობა, თითქოს არ ვრცელდება ოტია ქამუშაძეზე, რადგანაც მან მაინც სცადა ახალი ცხოვრების შეგუება, სამწუხაროდ მწერალმა არ გვიჩვენა თუ რა სახით მოხდა ქამუშაძის ეს შეგუება ახალი ცხოვრებისადმი, ისე როგორც ამას გოგოლი სჩადიოდა, რომელიც თავის ნაწერებში გვიჩვენებდა, რომ გაღატაკებული აზნაურები შედიოდენ სამსახურში და ხდებოდენ მოხელეები.

ემოციების მხრივ დ. კლდიაშვილის ნაწერების მოქმედი პირებს—სულერთია ეს იქნება სოლომონ მორბელაძე, ბეკინა სამანიშვილი, პლატონ სამანიშვილი, კირილე მიმინოშვილი, ოტია ქამუშაძე, აბესალომ სალამთაძე თუ სხვა ვინმე—ახასიათებს შინაგან განცდათა სიღარიბე, ინტიმურ გრძნობათა პრიმიტიულობა. მთელი მათი ცხოვრება ზედაპირზეა ამოტივტივებული. შინაგანი სიღრმე, შინაგანი ცხოვრება მათ თითქოს არც აქვთ. ისინი უფრო მეტს ლაპარაკობენ და მოქმედებენ, ვინემ განიცდიან და გრძნობენ. იქაც კი, სადაც მწერალი სცდილობდა მათი ემოციების გადმოცემას —ყველაფერი რაღაც უბადრუკ და უსუსურ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ვინაიდან იმდენათ დაბალი იყო ეს ემოციები.

ღარიბი აზნაური დარისპანი („დარისპანის გასაჭირი") სოფელ-სოფელ დაატარებს თავის ქალიშვილს—კაროჟნას, რათა გაათხოვოს ის და ამით შეამსუბუქოს გაჭირვებული ცხოვრება. მაგრამ მას ბედმა არ გაუღიმა, არავინ გამოჩნდა მისი კაროჟნას მთხოველი.

— „წაწყალმა მომკლა მართა ჩემო, წაწყალმა",—ერთ საღამოს მისვლის უმალ მიმართა თავის ნათესავ ქალს დარისპანმა,—დავათრევ ამ ოჯახ დასაქცევს და კაცი არ გამოჩნდა ამის წამყვანი".

დ. კლდიაშვილი არ იყო სატირიკოსი. იგი მხოლოდ თავის სოციალურ გარემოს ჰიუმორისტი იყო. საერთოდ ჰიუმორისტისათვის დამახასიათებელია: გვიხატავს რა მოვლენას გამოხუმრებით, ის მაინც ამ მოვლენას შებრალებით ეპყრობა, სატირიკოსი კი ყოველთვის თავის ამოცანად ისახავს ცხოვრებაში არსებულ ბოროტებას დასცინის, რადგანაც ის პრინციპიალურად სამტრო და დასაგმობია. დ. კლდიაშვილი როგორც ვიცით, დაკავშირებული იყო მაინც ამ წვრილმემამულეთა ყოფასთან, აზნაურობასთან და ამიტომ არ შეიძლება ყოფილიყო მისი სატირიკოსი. ამ მოვლენას უსათუოდ ვგრძნობთ, როდესაც გულდასმით ვეცნობით „დარისპანის გასაჭირს".

„ირინეს ბედნიერება" და „როსტომ მახველაძე" აზნაურული ყოფის სხვა მხარეებს გვაცნობს, მაგრამ მათი მოქმედი პირები—აზნაურები სოლომონ მორბელაძეზე და კირილე მიმინოშვილზე შორს არ არიან წასული.

ერთ განსაკუთრებულ მოვლენას ვამჩნევთ დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში: მწერლის თვისებები, მხატვრული უნარიანობა მკრთალდება, როდესაც იგი გამოდიოდა თავისი სამყაროდან, აზნაურობის ცხოვრების დახასიათებიდან და ეხებოდა სხვა ხასიათის მოვლენებს. დ. კლდიაშვილი მხოლოდ აზნაურობის ყოფის საფუძველზე ჰქმნიდა „უკვდავ" სურათებს.

წვრილმემამულეთა, აზნაურთა წრემ განსაზღვრა დ. კლდიაშვილის შემოქმედების მთელი სტრუქტურული ელემენტები—ხასიათები, პორტრეტები, სცენები და მოძრაობები.

აზნაურობის ყოფა, რომელიც ჰქმნიდა თავისებურ ხასიათს განირჩეოდა თავისებური სასაუბრო ენითაც. დ. კლდიაშვილის მოთხრობები და პიესები სავსეა პროვინციალიზმით, დამახასიათებელი სიტყვებით და გამოთქმებით. აზნაურობის ყოველდღიური ჩვეულებრივი სასაუბრო ენა დ. კლდიაშვილის ნაწერებში იქცა მთელ სტილისტურ სერხად, რითაც საშუალება მოგვეცა სრულად გაგვეთვალისწინებია აზნაურული ყოფა.

დ. კლდიაშვილის აზნაურების ფსიქიკა არ არის რთული, იგი მეტად პრიმიტიულია. ამიტომ მწერალს არ სჭირდებოდა მომქმედ პირთა გაღრმავებული ფსიქოლოგიური ანალიზი და ხასიათის ევოლუციის მოცემა. სამაგიეროდ დ. კლდიაშვილი მომქმედ პირთა დიდ გალერეას იძლეოდა.

დ. კლდიაშვილის ნაწერების მომქმედი პირები არა მარტო წოდებრივი ან ეკონომიური ნიშნებით ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ თავიანთი ფსიქოლოგიური წყობითაც. მაგ., ფსიქოლოგიურად განსხვავებას ვერ დაინახავთ კირილე მიმინოშვილსა („სამანიშვილის დედინაცვალი") და აბესალომ სალამთაძეს („ირინეს ბედნიერება"), ან პლატონ სამანიშვილისა („სამანიშვილის დედინაცვალი") და ოტია ქამუშაძის („ოტია ქამუშაძე") შორის.

დ. კლდიაშვილის ნაწერებში ვერ ვნახულობთ ძირითად მომქმედ პირებს—გმირებს. აზნაურულ წრეში ყველა თანასწორი იყო თავისი ეკონომიური, მორალური და გონებრივი თვისებებით.

დ. კლდიაშვილი უდიდესი პორტრეტისტი იყო. პიროვნებებს იგი პრიმიტიულ და მარტივ სახეებათ გვიდგენდა, მაგრამ თვითეულ მათგანს მაინც ჰქონდა თავისი ნიშანდობლივი თვისებები. ამ პიროვნებების პრიმიტიულობას დ. კლდიაშვილი არ იგონებდა მხატვრული ეფექტებისათვის. ხელოვნურად არ ჰქმნიდა მას, არამედ ასეთი იყო სინამდვილეში ის წრე, რომელსაც იგი ხატავდა.

ასეთია დ. კლდიაშვილის შემოქმედება. ეხლა, როდესაც მთელი ეს შემოქმედება დასრულებულ, ისტორიულ ფორმაში გვაქვს მოცემული, საჭიროა ერთგვარი დასკვნაც გაუკეთოთ მას:

კლასი მთლიანად არ არის მონოლიტური თავის იდეოლოგიაში და ფსიქიკაში. ისტორიის ასპარეზზე იგი მოდის წინააღმდეგობებით, მოძრაობის პერიოდში კლასში ხდება „დიფერენციაცია", იქმნება სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ებმებიან ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაკლასიურ ბრძოლაში. თავის თავად ცხადია, ეს ბრძოლა მიმდინარეობს განსაზღვრულ კლასიურ ფარგლებში.

თუ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ესა თუ ის ჯგუფი ან მისი წარმომადგენელი გამოდის თავის კლასის წინააღმდეგ, სინამდვილეში ამ გამოსვლას აქვს განსაზღვრული კლასიური „აქედან"-„აქამდე". ჩვენ ვიცით მთელი რიგი მწერლებისა, რომლებიც ოპოზიციონურად იყვნენ განწყობილი ბურჟუაზიისადმი, მაგრამ მათ მაინც ვერ მიიღეს ოქტომბრის რევოლიუცია, რას ამტკიცებს ეს?—ეს ამტკიცებს იმას, რომ ისინი წარმოადგენენ ბურჟუაზიულ აზროვნების ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც სახავდა კლასის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს.

ასეთივე იყო დ. კლდიაშვილის შემოქმედებაც. იგი, თავისი წოდება-აზნაურობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს გვიხატავდა.

დ. კლდიაშვილის შემოქმედება წარსული კულტურის მემკვიდრეობაა. გამარჯვებული პროლეტარიატი მას მიიღებს, კრიტიკულად გადაამუშავებს და ისე გამოიყენებს.

შალვა რადიანი.

მომაკვდავი წოდების მხატვარი

დავით კლდიაშვილი იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

ეს იყო ოსტატი დიდი შესაძლებლობის. მან მოგვცა მხატვრული ფაქტები, რომლებიც შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას—ლიტერატურულ შედევრებათ ჩაითვლება.

დ. კლდიაშვილი იყო ტიპი მწერლის, რომლისთვისაც ცხოვრება და მხატვრული შემოქმედება განუყრელ სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა.

რა არის მთავარი, რაც იწვევს მკითხველის—განსაკუთრებით საბჭოთა მკითხველის —ყურადღებას დავითის ნაწერებში?

მისი შემოქმედება უმთავრესად ეკუთვნის წარსულს—თუმცა არც ისე შორეულს.

ჩვენ ყველამ ვიცით ეს წარსული: ქალაქად: რეაქციის სუსხი, მონარქიის ბრჭყალებში მგმინავი მუშათა კლასი; სოფლად: გლეხკაცობა მონობის უღლით, თავადაზნაურობის და სამღვდელოების თვითნებობა, რელიგიური ფანატიზმი, მშრომელი ხალხის უკულტურობა, წ.-კ. უცოდინარობა და სხვ. აი, ამ ფონზეა გაშლილი დავითის მხატვრული ტილოები. ამ ტილოებიდან პირველ ადგილას მიდის „სოლომონ მორბელაძე" — ნაწარმოები თავისი კონკრეტულობით იშვიათი რამ მთელს ჩვენს ლიტერატურაში.

შევჩერდეთ ცოტა ხანს.

ერთის მხრით: გაღატაკებული, „კუდაბზიკა" ზემოიმერელი აზნაურობა (შერყეული ეკონომიური საფუძვლით), რომლებიც მუშაობას „თაკილობენ" და „იოლ" საქმეს ჰკიდებენ ხელს, რომ გაიტანონ თავი (სოლომონი, სიკოია). ისინი მთელ თავის „საქმიანობას" ტყუილზე და ერთმანეთის „გაქსუებაზე" ამყარებენ. „მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული (მევალე) ხვალ ზეგ კარზე მომადგება" — ამბობს უიმედოთ დარჩენილი მაჭანკალი სოლომონ მორბელაძე.

მეორეს მხრით: მოკულაკო ბესარიონ ქათამაძე—ძვალ-რბილში გამჯდარი ფულის და კერძო საკუთრების სიყვარულით.

მას თავისებური შეხედულება აქვს „პატიოსნება"-სა და მიცემული სიტყვის ასრულების „მოვალეობა"-ზე (სცენა საქმროდ გამზადებული ქალის მიტოვებისა—იმავე მოთხრობიდან).

სასაცილოა თავის პატარა კარმიდამოსთვის შიშით ატანცახებული აზნაური პლატონ სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი"), რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოხუცი მამის ცოლის შერთვის განზრახვამ. ვაი, თუ, გაუწყრეს „ღმერთი", მოხუცს შვილი ეყოლოს და ჩემს მიწაწყალზე მეტოქე გამოუჩნდესო. შემდეგ პ. სამანიშვილის სიძე—კირილე,—მოქეიფე აზნაური. („სადაც ბოლი მაღალია, შიგ იმათი მაყარი!" ტიპი), გადაგვარების გზაზე დამდგარი, ნამდვილი დეგენერატი. ამ ნაწარმოების ტრაგიკომიზმი განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევს მოთხრობის ბოლოს, როდესაც პლატონს ახლად შეეძინა ძმა, რომელიც ხშირად მიჰყავს დედას სასამართლოში, ალაცებს აქეთ-იქით პაწაწა თვალებს და ვერ გაუგია თუ რა მწუხარება მოიტანა მისმა გაჩენამ მისივე ძმის პლატონის ოჯახში.

დ. კლდიაშვილი მხატვრული სიტყვის მთელი სიმახვილით იბრძვის ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, როგორიცაა: ხატზე გადაცემა („შერისხვა") ცრუ შეხედულება, რომლის მიხედვით სახლი, სადაც იმყოფება ავადმყოფი გადამდები სენით, უნდა დაირღვეს, თვითეული ფიცარი გაიწმინდოს და მერე ისევ თავის ადგილას დაიდგას („მიქელა").

მწერლის მახვილ მზერას არ გამოპარვია სამღვდელოების პარაზიტობაც: მღვდელი მიხეილი, ხარბი და გაუმაძღარი მედავითნე პეტრე დამშეულ გლეხკაცობას რომ ართმევენ უკანასკნელ სარჩოვებს და ხურჯინით ეზიდებიან სახლისკენ („მრევლი").

მხატვრის შეგნება ვერ ურიგდება ქალთა სოციალურ უთანასწორობას („ირინეს ბედნიერება"), ოჯახური უკულტურობასა და დესპოტიზმს („მსხვერპლი").

ასეთია მოკლედ დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების გზა. გზა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი; დავითმა—მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის იმერეთის არც იმდენად მხიარულ ფონზე გაშალა თავისი პერსონაჟების ერთობ უფერული და უგემური ცხოვრება.

როგორც დიდმა მხატვარმა, დაჰგმო ეს ცხოვრება.

დღეს საქართველოში სხვა ცხოვრებაა. ამ ცხოვრებას ჩვენში დღეს მეთაურობს მუშათა კლასი, რომელიც წარმატებით ანხორციელებს ხუთწლედს ოთხ წელიწადში და, რომელიც დღითი-დღე გვაახლოვებს კომუნიზმს, როდესაც აღარ იქნება აღარავითარი კლასები და არც კლასობრივი ჩაგვრა, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლოატაცია.

ვასო გორგაძე.

დ. კლდიაშვილს დაკრძალავენ დღეს

სიმონეთიდან — სვირამდე

27 აპრილს, ნაშუადღევს, დიდძალი ხალხის თანადასწრებით სახალხო მწერლის დავით კლდიაშვილის ნეშტი სოფ. სიმონეთიდან გადმოასვენეს სად. სვირში, სოფლიდან სადგურამდე კუბო ხელით მოჰქონდათ გლეხებს, მწერალთა დელეგაციის წევრებს, ადგილობრივ ხელისუფლებისა და კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

სადგურზე, განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს: მთავრობის კომისიის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით ამხ. **იაშვილმა**, პროლეტარულ მწერალთა სახელით ამხ. **ს. წვერავამ**, კოლმეურნე გლეხების წარმომადგენელმა **გიორგაძემ**, ჩხარის რაიაღმასკომის და რაიონულ კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. **ფანჩულიძემ**, დ. კლდიაშვილის სახელობის საკოლმეურნეო სკოლის მასწავლებელმა ამხ. **დიდიძემ** და სხვ.

სად. სვირში ცხედარს დახვდა ქუთაისის დელეგაცია, მათ შორის მწერლები **კონ. ლორთქიფანიძე, დია ჩიანელი, პ. ბახტურიძე, კ. თაბერიძე,** გაზეთ „ლენინის გზით"-ის და ქუთაისის კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ცხედრის ჩამოსვენება თბილისში

გუშინ, დილის 9 საათზე დ. კლდიაშვილის ცხედარი ჩამოასვენეს თბილისში. ჩამოსვენებას დაესწრო მწერლები, მცირე ეროვნებათა თბილისში არსებული კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და განსვენებულის პატივისმცემლები.

თბ. რკინის გზის სადგურიდან ცხედარი გადასვენებულ იქნა ხელოვნების სასახლეში. მწერალთა ფედერაციამ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა კუბო შეამკეს გვირგვინებით.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს, ხელოვნების სასახლეში შესდგა დ. კლდიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი მიუხედავად ძლიერი წვიმისა, პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

განსვენებულის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა **ა. ჭუმბაძემ.** სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა კომპოზიტორ **ვ. დოლიძის** მიერ სპეციალურად დაწერილი სამგლოვიარო ჰიმნი.

მღეროდა აკადემიური გუნდი ამხ. კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, ნაშუადღევის 3½ ს. ხელოვნების სასახლეში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი. 4 საათზე მოხდება გამოსვენება. ნეშტს დაკრძალავენ მთაწმინდაზე.

სამძიმრის დეპეშები

საბჭოთა მწერლების ფედერაცია და განსვენებულის ოჯახმა მიიღო სამძიმრის მრავალი დეპეშები.

სამძიმრის დეპეშები მიღებულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან:

— **უკრაინიდან.** „უკრაინის საბჭოთა მწერლების ფედერაცია იზიარებს საქართველოს სახალხო მწერლის დ. კლდიაშვილის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას. კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა მწერლები განაგრძობენ რევოლიუციონურ სიტყვის პიონერების გზას, აქტიურად იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ფედერაციის პრეზიდიუმი: **როჩოცკი, მიკიტენკო, ხვილევი და პილიპენკო.**

ფედერაციის დეპეშას უერთდებიან: **ანდულაძე, გამსახურდია, ნამორაძე და ცაგარელი.**

— „საკავშირო კომაკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი გამოსთქვამს მწუხარებას სახალხო მწერლის დ. კლდიაშვილის გარდაცვალების გამო".

— **სომხეთიდან.** „საქართველოს სახალხო მწერლის დ. კლდიაშვილის გარდაცვალების გამო, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაცია".

— **აზერბეიჯანიდან.** „აზერბეიჯანის განათლების კომისარიატი და საბჭოთა მწერლების ფედერაცია იზიარებენ სახალხო მწერლის დ. კლდიაშვილის დაკარგვით გამოწვეულ მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა მწუხარებას.

აზერბეიჯანის განათლების სახ. კომისარი [illegible].

— **აჭარისტანიდან.** „აჭარისტანის განათლების სახ. კომისარიატი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სახალხო მწერლის და დამსახურებულ საზოგადო მოღვაწის დავით კლდიაშვილის გარდაცვალების გამო".

— **ბელორუსიიდან.** „ძვირფასო ამხანაგებო, თქვენთან ერთად ვწუხვართ სახალხო მწერლის დავით კლდიაშვილის გარდაცვალებას.

ბელორუსიის საბჭოთა მწერლების ფედერაცია.

პირველი მაისის ჩატარების გეგმა

საერთაშორისო დღის — 1931 წლის 1 მაისის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის დადგენილება

1. 1 მაისს, ქვემოდ აღნიშნული წესრიგის თანახმად, ეწყობა ქალ. თბილისის მუშების, მოსამსახურეების, პიონერების და მოსწავლეების საერთო დემონსტრაცია.

2. დემონსტრაცია ჩატარებულ იქნება ორი კოლონის წყობის ნიშნის მიხედვით ორგანიზაციების ტერიტორიალური მდებარეობის საფუძველზე, ამასთან თვითეული კოლონისათვის გამოიყოფა სპეციალური პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი კოლონის შეკრების და დემონსტრაციის მსვლელობის სწორი ორგანიზაციისათვის.

3. ყველა ორგანიზაციები, აგრეთვე მოსწავლეები და პიონერები, დილის 9 საათზე უნდა იყვნენ ქვემოდ ჩამოთვლილ შესაკრებ ადგილებზე და ჩამწკრივდნენ რიგში ათ-ათი კაცის რაოდენობით.

4. ქალ. თბილისის გარნიზონის ნაწილები დამწკრივდებიან რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეზე, თავი ნაწილით სახკომსაბჭოს სასახლის ტრიბუნისაკენ, სადაც ფიცს მიიღებენ. აღლუმის შემდეგ მიდიან მარჯვენა მხრითვე, გამოდიან თავისუფლების მოედანზე და ყაზარმებში ბრუნდებიან.

შენიშვნა: კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამმართველოების და დაწესებულებების ის წითელარმიელნი და სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე საშეფო ნაწილები, რომელნიც ჯარის აღლუმში არ მონაწილეობენ, კოლონებად ეწყობიან თავიანთ საშეფო ორგანიზაციებთან ერთად.

5. დემონსტრაციის დასაწყისი დღის სრულ 12 საათზე.

6. დემონსტრატების კოლონებს ახლავან პროფკავშირული ორკესტრები, მომღერალთა გუნდები, თეატრალური ცოცხალი გაზეთის წრეები კოლონებში — პოლიტიკური შარჟებით, კარიკატურებით და სხვა.

7. დილის 7 საათიდან დემონსტრაციის დამთავრებამდე იმ ქუჩებში, სადაც დემონსტრანტები იქნებიან ჩამწკრივებულნი, ან მათი მსვლელობა მოუხდებათ, შესწყდეს ეტლების, ავტომობილების და სხვ. მოძრაობა, აგრეთვე ცალკე პირთა მიმოსვლა, თუ ამაზე სპეციალური ნებართვა არ იქნება. რუსთაველის პროსპექტზე ცალკე ორგანიზაციების მოძრაობა სწყდება 9 საათსა და 30 წუთიდან.

შენიშვნა: საზოგადოებრივ - ოფიციალური მანქანების მუშაობა ამ დღეს დაიშვება მილიციის სამმართველოს უფროსის ნებართვით, იგი ყოველი ცალკე შემთხვევისთვის იძლევა სათანადო ნებართვას.

8. საერთო მეთვალყურეობა დემონსტრაციის წესრიგზე, აგრეთვე ქალაქის გარეგნული მორთვის საქმეზე ეკისრება მილიციის სამმართველოს უფროსს.

9. დემონსტრაციის დროს წესრიგის დაცვის მიზნით, მილიცია ჩამწკრივდება რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ.

10. დემონსტრაციის მსვლელობის მოწესრიგების მიზნით, გამოიყოფიან პასუხისმგებელი განმკარგულებელნი შემდეგი პუნქტებისათვის:

1. პლეხანოვის პროსპექტის და ეორესის ქუჩის კუთხე—ამხ. სოხაძე, ბეგიაშვილი, გოგოხია.
2. კამოს და ეორესის ქუჩების კუთხე—ამხ. ბადალოვი, კაჭარავა.
3. ზემელის ყოფ. აფთიაქთან— ამხ. კაკაურიძე, დონდუა.
4. თავისუფლების მოედანზე— ამხ. კოკონაშვილი, უნგიაძე, კრიმტაფოვიჩი, მამედოვი, აბზიანიძე.
5. კ. მარქსის მოედანზე—ამხ. მაისურაძე, მარგალიტაძე.
6. სახკომსაბჭოს ტრიბუნის ახლოს—ამხ. ვართანოვი, არჯევანიძე.
7. ლენინის და ბელინსკის ქუჩების კუთხეში—ამხ. ვაშაკიძე.

11. მუშათა ორგანიზაციების მსვლელობა ორი კოლონის შემადგენლობით სწარმოებს შემდეგი წესრიგით:

1-ლი კოლონა

1. პირველ კოლონაში შედიან ყველა ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელნიც იმყოფებიან მტკვრის მარცხენა ნაპირზე, როგორც ისინი რომელთაც თავიანთი რესპუბლიკანური ცენტრალური გამგეობები აქვსთ, ისე ისინი, ვისაც ასეთი არ ჰყავს (ესე იგი ის საწარმოები, რომელთაც აერთიანებენ ა.-კ. საოლქო სამმართველოები, ან რომელნიც უშუალოდ კავშირის ცენტრალურ კომიტეტებს ექვემდებარებიან).

1-ლ კოლონას ხელმძღვანელობს ამხ. მაზარაძე.

2. კოლონას წინ მიუძღვიან მეზოროშენი, მათ მიჰყვება დამკვრელთა სრულიად საქართველოს შეკრების დელეგატების ნაწილი (100 კაცი), შემდეგ — შრომის გმირებისა და ყოფ. პოლიტკატორღელების ჯგუფი, შემდეგ ის საწარმონი, რომელთაც რკ. გზელთა კავშირი აერთიანებს, და რკინისგზელთა კლუბები (ხელმძღვანელი ამხ. ნიუცუბიძე). მათ მისდევს პიონერების საერთო კოლონის ნახევარი. შემდეგ — მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებული შრომის სკოლების და ტექნიკუმების 6, 7, 8, 9 და 10 ჯგუფის მოსწავლენი 1.000 კაცის შემადგენლობით. მათ მიჰყვებიან ის საწარმონი, რომლებსაც აერთიანებენ თამბაქოს და სმელების მრეწველობის მუშების პროფკავშირები (თამბაქოს 1 და 2 ფაბრიკა, ლუდის ქარხანა, საქ. თამბაქოს ტრესტი, „სოიუზტაბაკ"-ი, „ენიონი", ლიმონათის ქარხნები, „ვაზა". ხელმძღვანელი—ამხ. გარსევანიშვილი). შემდეგ კომუნალური მეურნეობის საწარმონი (ტრამვაი, წყალსადენის და კანალიზაციის ტრესტი, ტრამვაელთა და წყალსადენელთა სახელოსნოების კლუბები. ხელმძღვანელი ამხ. დარჩია). მათ მიჰყვებიან საზოგადოებრივი კვების მრეწველობის საწარმონი (მუშკოოპის სასადილოების გაერთიანებული ადგილკომი. ხელმძღვანელი—ამხ. სადილაძე). შემდეგ ის საწარმონი, რომელთაც აერთიანებს სამიწათმოქმედო - სატრაქტორო სადგურების მუშების და მოჯამაგირეთა კავშირი (მელიორაციის და ირიგაციის ამიერ-კავკასიის ინსტიტუტი, სას.-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შემსწავლელი ტექნიკუმი, ა.-კ. ჰიდრომეტექნიკური ტექნიკუმი, სამიწათმოქმედო ჰიდრომეტექნიკუმი, სას.-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მე-2 ტექნიკუმი. ხელმძღვანელი—ამხ. ამირიძე). შემდეგ—კომკავშირელების კოლონა ფორმაში.

პირველი კოლონის ეს ნაწილი დილის 9 საათისათვის დამწკრივდება სადგურის ქუჩასა და პლეხანოვის პროსპექტზე, თავი ნაწილით პლეხანოვის პროსპექტის და ეორესის ქუჩის კუთხისაკენ. 9 საათსა და 30 წუთზე კოლონა მიმართულება ეორესის ქუჩით, ელბაქიძის აღმართით, გამოდის რუსთაველის პროსპექტზე, მიდის მის მარცხენა მხარეზე, თავი ნაწილით ათი საათისათვის უახლოვდება სახკომსაბჭოს ტრიბუნას და იქ ჩერდება.

3. ის საწარმონი, რომელთაც აერთიანებს მბეჭდავების და ქაღალდის მრეწველობის მუშების კავშირი (სახელგამის 1-ლი სტამბა, პოლიგრაფტრესტის მე-2 და მე-3 სტამბა, სტამბა „კოლექტივი". ხელმძღვანელი—ამხ. ცაგარეიშვილი) 9 საათისათვის ეწყობიან პლეხანოვის პროსპექტის მარჯვენა მხარეზე (კ. მარქსის მოედნის მიმართულებით), თავი ნაწილით პლეხანოვის პროსპექტის და ეორესის ქუჩის კუთხისაკენ. მათ მისდევენ ის საწარმონი, რომელთაც აერთიანებენ ქალაქის საწარმოთა და სახლის მუშაკთა კავშირები (კეთილმოწყობის განყოფილება, 4, 5 და 6 რაიონების სახლის მუშები, მე-5 რაიონის დასახლისები, 2 და 3 ნაწილის სახანძრო რაზმი, ხელმძღვანელი — ამხ. დესპოტაშვილი). შემდეგ — მედსანშრომის დაწესებულებები (5, 6, 7, 8, 9, 10 და 12 ჯგუფკომები, ხელმძღვანელი — ამხ. კანდელაკი). მათ მიჰყვებიან— პურის და საკონდიტრო მრეწველობის საწარმონი (მე-5 და მე-14 ჯგუფკომები, მექანიზაციაქმნილი თორნე, პურის ქარხანა, საკონდიტრო და მაკარონის ფაბრიკები, სამხედრო წისქვილი. ხელმძღ.—ამხ. თევზაძე — საკონდიტრო ფაბრიკა). შემდეგ—სამრეწველო და კომუნალურ-საბინაო შენებლობის მუშები (მე-2, მე-3 და მე-6 ჯგუფკომები, 1, 3, 4, 5, 7, 10 და 14 მშენკომები, სახმშენებლო, სამშენებლო ინსტიტუტი, ინდუსტრიალური ტექნიკუმი „დადგმულობა". ხელმძ. ამხ. კუბიაშვილი).

კოლონის ეს ნაწილი წინ გაუშვებს კომკავშირელების კოლონას და ბოლომდე მას მიჰყვება.

4. ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები (ქარხ. „ხის ნაწარმი", ფანერების ქარხანა, სამხედრო სამშენებლო უფროსის სამმართველოს სახელოსნო, მარტოხელა ხელოსნების ადგილკომი. ხელმძღ. ამხ. ლიშენკო) დილის 9 საათისათვის დაეწყობიან ეორესის ქუჩაზე, თავი ნაწილით პლეხანოვის პროსპექტისაკენ (გერმანულ კირკასთან). შემდეგ განათლების მუშაკთა კავშირის ორგანიზაციები ადგილკომები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 77, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 99, 102, 103, 105, 106, 107, 108, 109, 113, 121, 123, 126, 127, 132, 133, 136, პედმუშაკთა 1, 2, 4, და 6 ტექნიკუმები, ხელმძღ. ამხ. გაბუნია). მათ მისდევენ ხორცის, თევზის და კონსერვების მრეწველობის საწარმოები (სასაკლაო, მურაბის ფაბრიკა, სამშრინველე ბაზა, შეთასხელი ქარხანა, რძის ქარხანა, სამაცივრო, კონსერვების ამიერ - კავკასიის ტრესტი. ხელმძღვან. ამხ. ხოირიძე). შემდეგ ის საწარმონი, რომელთაც აერთიანებს საწარმოო - სამშენებლო მასალის მუშების კავშირი (აგურის ქარხნები №№ 1, 2 და 3 ცემენტის ქარხანა. ხელმძღ. ამხ. გვალია).

კოლონის ეს ნაწილი წინ გაუშვებს სამრეწველო და კომუნალურ - საბინაო მშენებლობის მუშების კავშირის და ბოლომდე მას მიჰყვება.

ის საწარმოები, რომელთაც აერთიანებს სამიწათმოქმედო, საბჭოთა მეურნეობების მუშების კავშირი (სასელექციო სადგური. ხელმძღ. ამხ. ჯანიერიძე), დილის 9 საათისთვის დაეწყობიან კამოს ქუჩაზე (კ. მარქსის ხიდის მიმართულებით), თავი ნაწილით კამოს და ეორესის ქუჩების კუთხესთან (მუშკოოპთან). მათ მისდევენ ხელოვნების მუშაკთა კავშირის ორგანიზაციები (სახკინმრეწვი, კინოს ჯგუფკომი, ცალკეულთა საქალაქო კომიტეტი, მე-2 სახელმწიფო თეატრი. ხელმძღვანელი ამხ. ჯანუაშვილი). შემდეგ—ის საწარმონი და დაწესებულებანი, რომელთაც აერთიანებს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა კავშირი (მუშკოოპის გაერთიანებული ადგილკომი, რაიონული სატრანსპ. სამომხ. საზოგადოება, სარემონტო ქარხნის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება, სახელოვანება, სახელგამი. ხელმძღვანელი ამხ. კაკელია). მათ მიჰყვებიან სახფინმუშაკთა კავშირის ორგანიზაციები (იზოლიატორი, „ზიტი". ხელმძღ. ამხ. ზბიაგა).

კოლონის ეს ნაწილი წინ გაუშვებს სამრეწველო საშენებლო მასალის საწარმოებს და მათ მიჰყვება.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა, მექანიკური ქარხანა, სუხიშვილის სახელობის მექანიკური ქარხანა, კალინინის სახელობის ქარხანა, ამხ. სტალინის სახელობის ცენტ. მუშათა კლუბი, ნავთობის ლითონის ტრესტი, ა.-კ. სოფლტექმშენი, გაერთიანებული ქარხკომი, ენერგეტიული ინსტიტუტი, სამხედრო საწყობი № 24, ინდუსტრიალური ტექნიკუმი, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, თუჯის საფაბრიკო - საქარხნო შეგირდობის სკოლებით, აბრეშუმის ტრესტის ძაფსართავი ფაბრიკა თავისი საფაბრიკო - საქარხნო შეგირდობის სკოლით, ა.-კ. რკინის გზების სახლების ჯგუფკომი, რკინის გზის წრიდლოგთის პარკი, რკინის გზის სალისტო კანტორა, მთავარი ფოსტა, მარტოხელთა მოფრების ჯგუფკომი. ქალაქის 1 რაიონის მექორთავეების მუშკომი, „სოიუზტრანს"-ის სახელოსნოები, მუშკოოპის გარაჟი, სახვაპანო ტრანსპორტის მუშების გაერთიანებული ქარხკომი, თბილისის საქონლის სადგურის მეტვირთავეების მუშკომი, ახალმშენის ქარხანა, აგრეთვე ყველა ის საწარმონი და ორგანიზაციები, რომელნიც მტკვრის მარცხენა მხარეზე იმყოფებიან და რომელთაც არა აქვთ რესპუბლიკანური გაერთიანებანი.— დილის 9 საათისთვის ეწყობიან კამოს ქუჩაზე ქირურგიულ კლინიკის მიმართულებით, თავი ნაწილით ეორესისა და კამოს ქუჩების კუთხესთან. მათ მიჰყვებიან ის საწარმონი, რომლებიც აერთიანებს სარეწაო კოოპერაცია და რომელნიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე იმყოფებიან. შემდეგ—იმავე რაიონის საბინაო - საიჯარო ამხანაგობები. პირველ კოლონას ამთავრებს ავტოგზა.

კოლონის ეს ნაწილი წინ გაატარებს სახდაწესებულებათა მუშების კავშირს და ბოლომდე მას მიჰყვება.

7. მთელი პირველი კოლონა, აღლუმისა და მისალმებათა დამთავრების შემდეგ, გაატარებს გარნიზონის ნაწილების კოლონას, გაემართება რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეზე, შეუხვევს მუზეუმის ქუჩით, გამოდის კ. მარქსის მოედანზე და აქ ნეკრასოვის და ახლო-მახლო მდებარე ქუჩებით იშლება.

(დასასრული ხვალ)

გაიხსნა მეცნიერების მუშაკთა

სრულიად საქართველოს მეორე ყრილობა

გუშინ, საღამოს გაიხსნა მეცნიერების მუშაკთა სრ. საქართველოს მეორე ყრილობა. ყრილობა გახსნა საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. მაჩაძემ. ყრილობის ორგანოების არჩევის შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ბ. ქიქინაძე ვარხიტოს საქ. განყოფილების სახელით და ამხ. ბ. შარია მარქსიზმისა და ლენინიზმის საქ. ინსტიტუტის სახელით.

ყრილობის გახსნის ანგარიში გამოქვეყნებული იქნება შემდეგ.

„პრავდა"-ს დამკვრელ მუშკორთა თბილისის საქალაქო შეკრება

27 აპრილს, საღამოს, მელითონეთა და ტრანსპორტელთა ცენტრალურ კლუბში შესდგა გაზ. „პრავდა"-ს დამკვრელ მუშკორთა პირველი საქალაქო შეკრება. შეკრების მიზნებისა და ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა გაზ. „პრავდა"-ს წარმომადგენელი ამხ. პეტროვსკი, რომელმაც თავის მოხსენებაში ვრცლად განმარტა დამკვრელ მუშკორთა მოძრაობის მიზნები და დანიშნულებანი.

— პარტიის გენერალური ხაზის სისწორემ,—განაცხადა მომხსენებელმა,—თავისი გამოხატულება ჰპოვა ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში. მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, აშკარათ შესამჩნევი ხდება, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებისათვისაც კი. უცხოეთში აქამდე უკვე გარკვევით ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ხუთწლიანი გეგმა წარმატებით სრულდება და ბურჟუაზია მოიცვა ეჭვი შიშმა, რომელსაც მათში ზრდის ჩვენი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

შემდეგ მომხსენებელმა განმარტა, რომ სოციალისტურ მშენებლობის ჩვენში, წარმატებები ახასიათებენ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. გიგანტიური სისწრაფით ვითარდება კოლექტიური სექტორი, ყალიბდებიან ახალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობანი. წინ სოციალისტური ეკონომიკისათვის მტკიცე საფუძვლების შენების საქმე. მუშკორთა მოძრაობას დღევანდელ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან მუშკორები არიან პარტიისა და ხელისუფლების უპირველესი დამხმარენი და თანაშემწენი იმ დაბრკოლებათა დაძლევის საქმეში, რომლებიც აფერხებენ დაწყებულ გიგანტურ მშენებლობას. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მუშსელკორთა მოძრაობას ხშირად არა შესაფერისი შეფასება ეძლევა და მას ხშირად უბრალო ინფორმატორებად სთვლიან. ასეთი შემცდარი ოპორტუნისტური აზრი პირველად გამოსთქვა ამხ. ბუხარინმა, რომლის შეცდომაც თავის დროზე არ იყო გაკრიტიკებული.

ხელმძღვანელი გაზეთების რედაქციებიც ამ საკითხს არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას. განსაკუთრებულ მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მუშსელკორთა მოძრაობისადმი, გაზეთებში მოკალათებული წვრილბურჟუაზიული ჟურნალისტები ე. წ. არისტოკრატი-ჟურნალისტები. გაზეთები შეპარულად ვერ ანხორციელებდენ მუშკორთა ნამდვილ მუშაობას. ამ მხრივ ძალიან საყურადღებო გამოცდილება მიიღო გაზეთმა „პრავდამ", რომელმაც თავის ამ გამოცდილებას უნაწილებს ყველა რედაქციებს.

დასასრულ, მომხსენებელმა მოიყვანა რამოდენიმე ფაქტი იმის დასახასიათებლად, თუ როგორ აქტიურობენ ადგილობრივი გაზეთების მუშკორები სუსტი მხარეები და ამ ნაკლისების საჭიროა „პრავდა"-ს გამოცდილების საფუძვლიანათ შეთვისება და განაცხადა, რომ „პრავდა"-ს სახელობის დამკვრელ მუშკორებს გაზეთ „კომუნისტი"-ს და „ზარია ვოსტოკა"-ს მუშკორებთან ერთად, თბილისში ჩაატარეს 20 რეიდი. საიდანაც მიღებულ იქნა მეტად საყურადღებო შედეგები.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოსული მუშკორები ჩიოდნენ იმ გარემოებაზე, რომ ადგილობრივი რედაქციები ვერ უწევენ შესაფერის და საჭირო ხელმძღვანელობას დამოუკიდებელ პრესას, ე. ი. საფაბრიკო-საქარხნო გაზეთებს და კედლის გაზეთებს. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ საჭიროა დამკვრელ მუშკორებში ჩატარებული იქნეს წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა რეიდების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად.

გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დარჩეველმა, ლიჩელმა, ფრუიძემ, ლიბიკაძემ, ბურჯანაძემ, კარბუშმა, აბრამოვმა, ზერეტენკომ, ხაჩატუროვმა, აკიმოვმა, მირზოიანმა, ზაალიშვილმა, ჯაშიამ, ჩხობაძემ, მუშა-ქალმა ბაბაევამ, იმნაძემ და სხვ.

შეკრების სახელით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას, ამხ. სტალინს, გაზ. „პრავდა"-ს რედაქციას, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ას. შეკრებაზე გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „პრავდა"-ს სახელობის სოროქინის, გროზნის და როსტოვის დამკვრელ მუშკორთა მისასალმებელი დეპეშები.

დასასრულ, შეკრებაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ გაზ. „პრავდა"-ს სახელობის თბილისის დამკვრელმა მუშკორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ ბაქოს, გროზნის და ტაშკენტის დამკვრელი მუშკორები.

დატვირთვა - გადატვირთვა 2 მაისს

მთელი დღე-ღამის განმავლობაში იწარმოებს

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან გადაზიდვის საქმეთა ამ.-კავკ. თათბირის 1931 წლის 26 აპრილის დადგენილებით, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 1931 წლის 2 მაისს იწარმოებენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ამასთან დაკავშირებით, წინადადება ეძლევათ სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს—უზრუნველჰყონ ტვირთის შეუფერხებელი მიღება საწყობებში, ხოლო „სოიუზტრანს"-ს და „მუტტრანსპორტ"-ს—დაუთმონ ა.-კ. რკინის გზის განტვირთვის სამუშაოებისთვის ავტოსატრანსპორტო რაოდენობა.

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმეთა ა.-კ. თათბირის თავმჯდომარე ბერია.

2 მაისს მუშაობენ

(ტრამვაი)

27 აპრილს, ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა 1-ლ კვარტალში საწ. - საფ. გეგმის შეუსრულების დანაკლისის შესავსებად, 2 მაისს იმუშაონ და შეჯიბრებაში იწვიონ 26 კომ. ქარხანა და თბ. მაუდის ფაბრიკა, სამუშაოზე სრული ასი პროცენტით გამოცხადებასა და ამ დღეს საჩვენებელ ტემპებით მუშაობაზე.

კრების დადგენილებით, ყველა დაწინაურებული ტრამვაელი მუშები 2 მაისს უნდა გამოცხადდნენ სამუშაოთ — დაზგებთან.

თევზის ჭერის გეგმა სრულდება

შავი ზღვის ნაპირებზე ხელსაყრელი ამინდების გამო, საქართველოს თევზის მჭერთა კოოპერაციამ გააძლიერა მუშაობა. აპრილის მე-5 ხუთდღიურში საქართველოში დაჭერილი თევზის რაოდენობა უდრიდა 2.666 ცენტნერს, ნაცვლად წინა ხუთდღიურის — 1.430 ცენტნერისა.

კამპანიის დაწყებიდან 25 აპრილამდე, დაჭერილ იქნა 16.576 ცენტნერი თევზი. გაზაფხულის თევზის ჭერის გეგმა შესრულებულ იქნა 34 პროცენტით. მოელიან, რომ მაისის დამლევამდე ან ივნისის პირველ რიცხვებში გაზაფხულის გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული (ადს).

დიდი ნიაღვარი თბილისში

გუშინ, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე თბილისში დაასხა წვიმა, რომელიც რამოდენიმე წუთის შემდეგ ნიაღვრად გადაიქცა. წვიმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქუჩების უმეტესი ნაწილი წყალმა დაფარა და მოძრაობა რამოდენიმე ხნით შესწყდა. მთებიდან ჩამოსულმა წყალმა და სილამ განსაკუთრებით გადაკეტა ტრამვაის ლიანდაგი ავჭალის ქუჩაზე, ავლაბარში და ორთაჭალაში. ტრამვაის დანარჩენ ხაზებზე (წყნეთის ქ. „ელბაქიძის" დაღმართი და სხვ.) ტრამვაის მოძრაობა აღდგენილ იქნა 8 საათსა და 40 წუთისათვის. ავჭალის ქუჩაზე, ავლაბარში და ორთაჭალაში ტრამვაის ხაზების გაწმენდა მთელი ღამე გაგრძელდა. გარდა ამისა წყალი ჩაუვიდა ზოგიერთ სარდაფებში. წყალმა ჩამოხეთქა აგრეთვე ყოფილ აზარიანცის შენობაში ელბაქიძის დაღმართზე.

ქრონიკა

თბილისში 347.855 სული მცხოვრებს

უკანასკნელი აღწერით თბილისის მოსახლეობა უდრის 347.855 სულს. 1926 წლის აღწერით, თბილისში ირიცხება ადრ — 282.918 სული. ამრიგად, მოსახლეობის ზრდა, 1926 წელთან შედარებით, უდრის 23 პროცენტს (ადს).

ციხისჯვრის ანდეზიტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო „ზაკპოლიხიმტრესტ"-ს შეუდგეს ანდეზიტის დამზადებას ციხისჯვრის რაიონში, ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში (ადს).

● თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების და რკ. გზ. თბილისის რაიპროფკავშირის ქართული მოძრავი სანიტ. თეატრი რეჟისორ ე. ხიმიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. თეატრი წარმოადგენს ჩატარებას სამრეწველო პუნქტებში, დაბა-ქალაქებში და კოლმეურნეობათა ცენტრებში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, საღამოს 7 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) ცკ-ას მიმღებ კომისიაში (ოთახი № 20) ამხ. სანიკოევთან გამოძახებული არიან პეტრე ისიდორეს ძე ხუმბაძე და ილია სტეფანეს ძე კარეჭაშვილი.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ამხ. ცქიტიშვილთან დღეს, 29 აპრილს: კონსტ. ალბარტინი (ს.ფ.უ.ს. ლითონტრესტი), ხრალიონ ბელქანია (მემინდვრეობა-მესაქონლეობის კავშირი), შალვა აბესალამიშვილი (სახელგამი), იოსებ კოპინოვი („საქ. მთიელი"), სერ. მესარკიშვილი (პროკურატურა), ნიკ. დიმიტრიევი (ლრიბ ებრაელთა საზოგადოება), კარპეზ ზარბაქიძე (საქ. მიწსახკომი), ვას. იაშვილი (უზენაე. სასამართლო), სერგო გაგავა (სახელგამის მაღაზია № 1), გრ. ბზიავა (სახ. დაწესებულებათა კავშირის ც. გ.), გრ. ნიკოლაევი (სახელგამის მაღაზია № 2), იგ. მჭედლიძე (პოლიგრაფტრესტი), იოსებ მგალობლიშვილი (საქ. წყალთა მეურნ. სამმართველო), ნიკ. მელიქაძე (კომ. ბანკი), არკადი ხეჩიმიანი (სახკინმრეწვი), შალვა ჯაბუშვილი (საქ. ს.მ.ჰ.ს.), ალ. სტურუა (მუშკოოპი), პავლე კალანდაძე (რესპ. საავტომობ. სამმართველო), კონსტ. ჭეჭიძე (ცეკავშირი), სიმ. ცოცხალიძე (საქ. ცაკი), ილია ლომიძე (ჯანსახკომი), სულაქველიძე (მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი), ვარლამ ჯანელიძე („საქ. ვაჭრობაგანა"), ალ. ნადარაძე (საქ. სახკომსაბჭო), სიმონ ახობაძე (ფინსახკომი). აღნიშნულ დაწესებულებების უჯრედის მდივნებს წინადადება ეძლევათ უზრუნველყონ ჩამოთვლილ ამხანაგების თავის დროზე გამოცხადება.

—:—

ს.კ.პ. (ბ) ც.კ. კადრების განყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ დღეს, 29 აპრილს დილის 11 საათზე ამხ. გაბუნიასთან შემდეგი ამხანაგები: ხუბულური შალვა, ტოროშელიძე ანტონ (მოწ. კავშირი), ოქაიძე დავით, კუნკულიძე (პროფ. საბჭო); (სოფლის კომ. ინსტიტუტიდან), შენგელია-გიორგი, მეგრელიძე ალექსანდრე, ტრიოი მიხეილ, გაბისონია დავით, შარია ივანე.

—:—

პარტიის წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ ცხადდება, რომ საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის საკონტროლო კომისია დროებით მოთავსებულია საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში, მესამე სართულში, ოთახი № 28 და 29.

თბ. საქ. კომისიის თავმჯდომარე ს. [illegible].

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი 30 აპრილს, დილის 11 საათზე პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში თათბირზე იწვევს ყველა უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების, მუშფაკების და მუშათა უნივერსიტეტის უჯრედების მდივნებს და კულტპროპებს.

—:—

დღეს, 29 აპრილს, საღამოს 7 საათზე საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის ბინაზე მოწვეულია საზ. „წერა-კითხვა"-ს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა სარევიზიო კომისიის წევრების თანდასწრებით. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს დაჟინებით ვთხოვთ სხდომაზე გამოცხადდნენ თავის დროზე.

მაჩარაძე ფ., ცერცვაძე არტემ, ბედია გ., ბოკერია ბ., მდივანი ა., მინდაძე, ჩხარტიშვილი კ., მინდაძე, ნოცუბიძე შალვა, გომართელი ივანე, მახარაძე, აროუთინოვი ბაგრატ, შახარაძე ნ., სოსიანი ს., მამულია ანნა, ანდრიაძე ლიზა, ძიძიგური ნინო, ნამიჩეიშვილი, კორტავა, სვანიძე ბ., ესიაშვილი ბ., ფოცხიშვილი, ჯაფარიძე ვ., ბურჭულაძე, ბიბინეიშვილი ბარონ, მესხი ა., ბარამიძე, გრ. შავიშვილი.

28 აპრილიდან გრძელდება

ს.ფ.უ.ს. საამშენებლო მასალათა ტრესტის

აპარატის საჯარო წმენდა

(7 საათზე საღამოს, ს.ფ.უ.ს. კლუბში, პუშკინის ქ. № 3, ზღსავალი ეზოდან).

მასალები, თუ არის ასეთი, როგორც კერძო პირებზე, ისე ტრესტის მთლიან მუშაობაზე, უნდა გადაიგზავნოს ამხ. ჩარგეიშვილის სახელზე. მისამართი ა/ქ. ფედერაციის ქ. № 2.

ნ. 999 გამწმენდი კომისია.

სახელმწ. ცირკი

სეზონის დახურვა 5 მაისს

დღეს, ექსტრაორდინალური განსაკუთრებით გრანდიოზული წარმოდგენა.

მონაწილეობას იღებენ ყველა გასტროლიორები და აგრეთვე მთელი დასი და ყველა ანტრაქციონები.

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დილ. 11-ნახ. საათიდან დღის 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

ანონსი: 2 მაისს ინტერმედია. ნ. 1003

სახელმწ. ოპერა

დღეს, 29 აპრილს — აბონემენტის გარეშე განათ. მუშაკ. კავშ. წარმ. რიგოლეტო

ხუთშაბათს, 30 აპრილს — დღისით დილის უკანასკნელი წარმოდგენა ტრავიატა; სეზონის დახურვა ნ. პეჩკოვსკის გამოსათხოვარი გამოსვლა. აბონ. გარ. კარმენი

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

29 აპრილს	30 აპრილს	2 მაისს
10 აბონ. 3 წარ.	აბონ. 3 წარმ.	აბონემენტის გარეშე
ლამარა	ლამარა	ანზორ

ვისაც 10 აბონ. მეორე და 7 აბონ. მე-3 გადასახ. არ შეუტანია წარმოდგენ. დაშვებ. არ იქნება და მათი ადგილები გაიყიდება. დასაწყისი 8 ს.

ნ. 1000 1—1

კინო პალასი — 1-ლი სეანსის დასაწ 6—30 — ახალი მხატვრული ფილმი ისინი, რომელნიც გამოფხიზლდნენ ა. ზარხის სცენარი. იანოში დაბრუნდება ხვალ

რ. ლიუქს. სახ. კინო — 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. — საუკეთესო საბჭოთა ფილმი იქითა მხარეს ამავე სახელ. ოდების ვიქტორ კინის რომანის მიხედვით.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო — სეანს. დასაწყ.: I დღის სეან. 4-30, II—6, III—7-30, IV—9 და V—10-30 — შესანიშნავი ფილმი რუბიკონი რეჟისორი ვაინშტოკი.

სპარტაკი საღამოს სეანსები — I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. — ამერიკული ფილმი სიმბა თოფითა და კამერით ხელში

სპარტაკი დღის სეანსები — 11-30, 1, 2-30, 4.

საზამთრო დარბაზი — სეანს. დასაწყ.: I—4-30, II—6, III—7-30, IV—9. — სუდაკევიჩი და კტოროვი სურათში ვინ ხარ შენ

ყველა იმ სტუდენტების საყურადღებოდ,

რომლებიც ამთავრებენ ა. კ. ენერგეტიულ ინსტიტუტს ყოფ. ს. ს. 3, ი. ძველი პროგრამით. უნდა გამოცხადდნენ სამი დღის განმავლობაში დეკანატში ამხ. ამხ. გიდაშელთან და აბესაძესთან დილ. 10—3 საათ. და საღამოთი 6 8 საათამდე, მატრიკულებით და ცნობით სამსახურის შესახებ.

სტუდენტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ზემო აღნიშნულ ვადაში მექანიკურად გამორიცხულნი იქნებიან ინსტიტუტიდან.

ა/ქ. ენერგეტიული ინსტიტუტის დირექცია. ნ. 997

მასწავლებელი ამზადებს მოწაფეებს ყველა საგნებში: შვიდწლედების მოწმობისათვის, საბუღალტრო კურსებზე, შვიდწლედებში, მუშფაკებში და ტექნიკუმ. მისაღებად. ასწავლის აგრეთვე სუსტებსაც. მისამართი: 1) გოგებაშვილის მე-2 შესახვევი № 20 (ყოფ. პეტროვ. მე-2 შეს. ბელინსკის ქ.). დილით 10—2 და საღ. 4—5 ნახ. ს.

ქ. თბილისის მოსახლეობის აღწერის და ახალი სასურსათო წიგნაკების გამცემი შტაბი

აცხადებს, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს ახალი სასურსათო დოკუმენტები და რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია მათი შეუფერებელ კატეგორიებზე ან სიებზე მიკუთვნების შესახებ, ცნობების მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შტაბის მიერ მოწყობილ შემდეგ ცნობათა ბიუროებს, რომლებიც მოთავსებულია:

1. ნაძალადევში, საბჭოთა და პავლოვის ქ. კუთხე, მუშკოოპის მაღაზიაში № 115.
2. ლენინის ქუჩაზე, სახლი № 40, მუშკოოპის მაღაზიაში № 13.
3. ორთაჭალაში, კომუნალური ქ., სახლი № 91, ტყავტრესტის მუშათა ხორცის მაღაზია.
4. კარლ მარქსის მოედანზე (ყოფ. ვორონცოვის ხიდი), მუშკოოპის მაღაზიაში № 158 (აფთიაქის გვერდით).
5. ავლაბარში, კახეთის მოედნის და ლადო მესხიშვილის ქუჩ. კუთხე (მუშკოოპ. მაღაზია).

იმ შემთხვევაში, თუ შტაბის რწმუნებული, რომელიც ზემოაღნიშნულ ცნობათა ბიუროებში იმყოფება, აღმოაჩენს, რომ სასურსათო დოკუმენტი არ არის სწორად გაცემული, შეცდომა იქვე იქნება გამოსწორებული, თუ პრეტენზია დამტკიცდება შესაფერი დოკუმენტებით (საანგარიშო წიგნაკი და მოწმობა სამსახურიდან).

ცნობათა ბიუროები იმუშავებენ 29 აპრილიდან 8 მაისამდე (1 და 2 მაისის გამოკლებით) საღ. 5 საათიდან 9 საათამდე.

იმ მოქალაქეთა მიერ სასურსათო დოკუმენტების მიღების წესის შესახებ, რომლებმაც აღწერის დროს ვერ დაამტკიცეს თავიანთი უფლება მომარაგებაზე და ამის გამო ვერ მიიღეს ახალი სასურსათო დოკუმენტები და რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ აღწერის დამთავრების შემდეგ, და დროებით გასული იყვნენ თბილისიდან, ცალკე იქნება გამოცხადებული მუშკოოპის სასურსათო წიგნაკების სექციის მიერ.

შტაბის თავმჯდომარე ორჯონიკიძე.

4—1 ნ. 996 პასუხისმგებელი მდივანი კოზლოვსკი.

იყიდება როიალი

ბესიკის ქ. № 51

შანიძე. 3348

ნ. კონტოროვიჩი

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მემამლას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 ს.

ბ. ა. ახვერდოვი

სიფილისის, ვენერიული და სამარდე-სასქესო სნეულებათა სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება—დილით 9—12 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 7. (შესავალი კუთხიდან, ნარიყალას ქ. № 1). 25—

ცოლი მარიამი, შვილები: ნინა, ქეთევან, სერგო, სიმონ და გიორგი, რძლები: სოფიო და ევგენია, სიძეები: ისლამოვი და გოციროძე მწუხარებით იუწყებიან, რომ 24 აპრილს სოფელ სიმონეთში გარდაიცვალა

დავით სამსონის-ძე კლდიაშვილი

დაკრძალვა მთაწმინდაზე, გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13) დღეს 4 ს. 2—1 ნ. 995

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცნობილი ბელეტრისტის და სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქუჩა, № 13) დაკრძალვა მთაწმინდაზე. 3340

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აუწყებს საზოგადოებას სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქუჩა № 13) დაკრძალვა მთაწმინდაზე. 3341

საქართველოს დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოს და ესტრადის ავტორთა საზოგადოება „დრამკომი" იუწყება, რომ გარდაიცვალა სახალხო მწერალი და დრამატურგი

დავით კლდიაშვილი

2—2 [illegible]

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მუშა მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 აპრილს გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული სახალხო მწერალი

დავით კლდიაშვილი

3315

ალი არსენიშვილი, შალვა აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ლადო გუდიაშვილი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ივი ყიფიანი და ლელი ჯაფარიძე იუწყებიან ძმობილის სერგო კლდიაშვილის მამის და სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. ნ. 995

რუსთაველის თეატრის დირექცია, სამხატვრო და ტექნიკური პერსონალი აუწყებს საზოგადოებას სახალხო მწერალ-დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. 3320

ო. ხეჩინოვი, ძ. ყიფშიძე, ვ. [illegible], მ. ბერიშვილი, ელ. მეუნარგია [illegible] სერგოს მამის—სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. 3311

ჟურნალ „მნათობის" რედაქცია აუწყებს საზოგადოებას სახალხო მწერლის თავის თანამშრომლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე ხელოვნების სასახლიდან (მაჩაბლის ქუჩა № 13) დაკრძალვა მთაწმინდაზე. 3342

საქართველოს პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა „შრომა" აუწყებს საზოგადოებას სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 29 აპრილს, მთაწმინდაზე. გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13) ნ. 1006

დავით კლდიაშვილის სახელობის მე-18-ე შრომის სკოლის და მშობელთა დამხმარე საბჭო აუწყებს საზოგადოებას, დამსახურებული ბელეტრისტის და სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა აპრილის 29 ს, დღის 4 საათზე, მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. 3346

მწერალთა ადგილკომი საბჭოთა მწერლების ფედერაციის და ხელოვნების სასახლის თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას სახალხო მწერლის

დავით კლდიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე ხელოვნების სასახლიდან. 3343

და ევდოკია (კეკელა) სამსონის ასული ღვინეფაძისა, დისწულები: აბესალომ ცოლი თამარით, ივანე ცოლი თამარით, დავითი, ბაბო ქმრით მიხ. მენაბდეთი და ვალერია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა და ბიძა

დავით სამსონის-ძე კლდიაშვილი

ნ. 995

მუსიკალური ინსტიტუტის (სახელმწიფო კონსერვატორიის) დირექცია, პედაგოგიური და ტექნიკური შემადგენლობა დამწუხრებულნი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მწერალი

დავით კლდიაშვილი

გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან 29 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. 3328

ღრმად დამწუხრებულნი: [illegible] თელიები, გიორგიკა, ზინიკა, ავთანდილი და [illegible] იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ ძვირფას

გიორგი (ბუდუ) ვარლამის-ძე თელიას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება სოფ. ჭაგანში 3[illegible] აპრილს 3345

[illegible] კომუჯრედი და ა. ლ. კ. კ. ცენტრალური უჯრედი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ა.ლ.კ.კ. უჯრედის აქტიური წევრის

ბუდუ თელიას

უდროოდ დაკარგვის გამო. 3332

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: ნინა და ვარლამი, ბებია ელისაბედი, დები: თამარა, ანტონინა და მიტიჩკა იუწყებიან, რომ დაჰკარგეს ერთად-ერთი იმედი და სიამაყე სიცოცხლით სავსე ყმაწვილი სახელობის საქარხნო-საფაბრიკო უკანასკნელ კურსის მოწაფე

ბუდუ (გიორგი) ვარლამის-ძე თელია

დასაფლავება ს. ჭაგანში, 30 აპრილს. ნ. 1004

ვარლამი, ელენა, მელიტონი, ხუნუ, რაჟდენი და შალიკო თელიები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის ძვირფასისა და დაუვიწყარ ნიჭიერ ახალგაზრდა

ბუდუ ვარლამის-ძე თელიას

გარდაცვალების გამო. 3326

დამწუხრებულნი: დედა კატუშა, მამა ვარლამი, ძმა ცილორდი, და ანგელინა, ბაბუა ფარნა, ბებია ალექსანდრა ხვედელიძეები; ბიძები: კაკო, სეფე, ტიტიკო, მეზია მარიამი, ბიცოლა ოლია ჯვარშეიშვილები იუწყებიან

მერიკო ხვედელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე. ორჯონიკიძის მე-2-ე ჩიხი № 4, კუკიის სასაფლაოზე. 3336

გულდამწვარი ბებია მარიამი, ბიძები: კაკო, სეფე და ტიტიკო, დეიდები: ალექსანდრა და შუშანა ჯვარშეიშვილები დასტირით საყვარელ დისწულს

მერიკო ხვედელიძეს

3330

ღრმად დამწუხრებული მამა ვარლამ და დედა ეკატერინე ხვედელიძეები, და ანგელინა, ძმა ცილორდი ხვედელიძეები დასტირით ძვირფას

მერიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ორჯონიკიძის შესახვევი № 4, დღეს, 29 აპრილს, 4 საათზე. 3329

დამწუხრებული ცოლი ნასტა, შვილებით: ვერია, თეოფილე, სანდრო, მარგალიტა, რძლები: აგრაფინა, კატუშა და ფატუ შვილიშვილებით მხეკალაძეები, ქალიშვილები და სიძეები: [illegible] და [illegible] ფიცხელაურიშვილები, მარო და ტიტიკო [illegible]ალაძეები მარიამი და ალისტრატე მარაბიძეები შვილებით იუწყებიან

ხალამპრე ესეს-ძე გზეკალავას

გარდაცვალებას. დასაფლავება ხუთშაბათს, 30 აპრილს ს. შუქუთში 3314

თავზარდაცემული მშობლები: ბესარიონი და ქრისტინე, ძმა მიშა, დები: ლიუბა და ბაბუცა მგალობლიშვილები იუწყებიან მათთვის ძვირფასი შვილის და ძმის

აკაკი მგალობლიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 30 აპრილს, 4 საათზე ქ. ქუთაისში ოქტომბრის ქ. № 14. 33[illegible]9

ღრმად დამწუხრებულნი ბიძაშვილები ვლადიმერი, აკაკი, ალექსანდრე, ვარლამი და ვალერიანე მგალობლიშვილები; მამიდაშვილი ბაგრატი აბულაძე—აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი ბიძაშვილის

აკაკი ბესარიონის-ძე მგალობლიშვილის

უდროოდ დაკარგვას 3319

ქუთაისის აფთიაქში მომუშავეთა კოლექტივი აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 26 აპრილს, გარდაიცვალა საუკეთესო მუშაკი და ყველასათვის საყვარელი მეგობარი ფარმაცევტი

კაკო (აკაკი) ბესარიონის-ძე მგალობლიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 30 აპრილს, 5 საათზე. გამოსვენება ოქტომბრის ქ. № 14. ნ. 1003

დამწუხრებული სიძე იაკობი შვილებით: ალექსანდრა, ლიზა, არჩილი, რძალი დარიკო, სიძე მაკარო შვილებით ვანო და თამარით ვგლოვობთ მუდამ ჟამს დაუვიწყარ

ემანუელ ლეგრანის

დაკარგვას. გამოსვენება სანაპირო № 2, დასაფლავება დღეს, 29 აპრილს. 3327

დამწუხრებული სიდედრი ბარბალე შვილებით: ეზეკი, პოლიკარპე, ელენა, რძალი ანიკო, ლამარა, როზა კახაძეები ვგლოვობთ ძვირფასი ადამიანის

ემანუელ ლეგრანის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, საღამოს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 3327

დამწუხრებული დედა მაშიკო, დეიდა ოლია, დეიდაშვილები: შალიკო, ვენედიქტე, კორნელი, ნადია, კოლია და სერგო გვალიები, ტიტე და გიორგი კანტალარიანები, რძალი ბაბილინა და ქეთო თავისი შვილებით იუწყებიან მათთვის ძვირფას

შურა (შანია) კოსტას ასულ რუხაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 30 აპრილს, ს. ქვიტირში. 333

ტყიბულის მაღაროების სამთო-სამრეწველო სკოლის მოწაფეები: თ. ლაშქარაძე, კაჭაია, ბარაბაძე, ჯავახაძე, თ. ფანჩულიძე, ძ. სულამანიძე, კაჭაია, ლ. ტყეშელაშვილი, ი. გვენეტაძე, ნ. ზარნაძე, ი. ამაშიძე, მერკვილაძე, ნი. აბერიძე, თოფურია, ჯ. ზარნაძე მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის მოწაფის

ვალერიან ზარნაძის

გარდაცვალების გამო. 333

ლადო ყანდარელი და სოფიო გრინსმანისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ დღეს, 29 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, ლიუთერანების სასაფლაოზე, საბჭოთა მოედანი, ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და მიწას მიაბარებენ მეუღლის და ქალის

ლია ერნესტის ასულის ყანდარელის

ნეშტს. 3344

მიშა კობახიძე ცოლით, კატუშათი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს უახლოეს მეგობარის

ლია ყანდარელის

დაკარგვის გამო. 3322

სამუდამოდ გულდამწვარი შვილი გოგი მიქელაძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი დედის

ლილი კონსტანტინეს ასული ანჩაბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 30 აპრილს, 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ძერჟინსკის ქ. № 11 3324

გულდათუთქული ძმა სანდრო შვილებით [illegible], ჯუჯუნა, ლუბა [illegible] და სიძე კოტე ბიბილაშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს გაზრდილის

ლილი კონსტანტინეს ასული ანჩაბაძის

მოულოდნელად გარდაცვალებას. 3323

თავზარდაცემული ქმარი ალექსანდრე, სიდედრი ევდოქსია და სიმამრი თეიმურაზ თოდუები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 27 აპრილს გარდაიცვალა პირველის იშვიათი მეგობარი და დამშვენებია რძალი

ლილი კონსტანტინეს ასული ანჩაბაძე

დასაფლავება ხუთშაბათს, 30 აპრილს, გამოსვენება 4 საათზე საკუთარი ბინიდან—ძერჟინსკის ქ. № 11. 3324

თავზარდაცემული დედა ლიდა, ბიცოლა ალექსანდრა, ბიძია დავითი ლადანიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს სამუდამოდ დაუვიწყარ ტფილისის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტის

შალიკო გიორგის-ძე ლადანიძის

უდროოდ გარდაცვალებას 3333

გულდამწვარი მეუღლე ნინო, შვილი როზიკო, დედა კატო, ძმა სოლომონი, დები: აკოფინა, ვერა და ევგენი, რძალი ქეთო იუწყებიან, რომ 30 აპრილს 12 საათზე, ახალსენაკში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარ

კაპიტონ ჯანჯღავას

ხსოვნის აღსანიშნავად. 1005

სახაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904.